დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 29 იანვარი - 4 თებერვალი

N 6 1524

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



# აზოტის ჰიპოქსია

6, 7

## ამერიკაში სიკვდილით დასჯის ახალი მეთოდი გამოიგონეს!



## გიგლა ბარამიძე: უკრაინა არ იგებს, უკრაინა არ აგებს, უკრაინა ნადგურდება!

საქართველოს წინაშე მალე დადგება ტერიტორიული მთლიანობის უსისხლოდ აღდგენის საკითხი!

2-4



„ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ აუცილებლად უნდა შედგეს, სხვანაირად ამ ქვეყანას მოსვენება არ უწერია!“



10

## ქართული ფეხბურთის „ოქროს აკვანი“ საფრთხეშია!





„უნდა დახვრიტო ის, ვისაც თუნდაც ფიქრად გაუელვებს, რომ „დინამოს“ ბაზა — ეს ეროვნული საგანძური გაყიდოს!“

„მთელი ქვეყანა დადგება ფეხზე, „დინამოს“ ბაზას არ დავთმობთ!“





12, 13

## ლეგენდარული ფეხბურთელები განგაშს ტეხენ!

*პოლიტიკოსი, დიპლომატი და აღმოსავლეთმცოდნე* ***გიგლა ბარამიძე*** *მრავალთვიან დუმილს არღვევს და იმ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პროცესებზე გვესაუბრება, რომლებიც საქართველოში და საქართველოს გარშემო ვითარდება:*

# „ბიძინა ივანიშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ საქართველო მშვიდობიანი განვითარების გზას ადგას მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში სისხლის წვიმა მოდის!“

— ბოლო 6 თვის განმავლობაში ტელევიზიასა და პრესასთან კონტაქტი არ მქონია, რადგან საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი, თუმცა, საქართველოში მიმდინარე პროცესებისათვის თვალ-ყურის მიდევნებას მაინც აქტიურად ვახერხებდი და ყველაფრის საქმის კურსში ვარ. **თბილისში რამდენიმე დღის წინათ დავბრუნდი და გადავწყვიტე, დიდი პაუზის შემდეგ პირველი ინტერვიუ „ასავალ-დასავალს“ მივცე, რადგან თქვენი გაზეთი მუდამ სიმართლის სადარაჯოზე დგას, ბევრი ბრძოლა და ტკივილი გამოიარეთ, დიდ განსაცდელებს გაუძელით და, ყველაფრის მიუხედავად, სახე შეინარჩუნეთ.** ამიტომაც არის, რომ მრავალრიცხოვანი მკითხველი გყავთ არამხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, სადაც პირადად გავხდი მომსწრე, თუ როგორ ელოდებიან ქართველი ემიგრანტები „ასავალ-დასავალის“ ყოველ ახალ ნომერს.

**— დიდი მადლობა! თქვენთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა და დარწმუნებული ვართ, „ასავალ-დასავალის“ მრავალრიცხოვანი მკითხველიც მუდამ გულისყურით ეცნობა თქვენს ინტერვიუებს. მოდით, საუბარი პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების თემით დავიწყოთ...**

— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება ცალსახად დადებითი მოვლენაა, რადგან მისი მასშტაბი და გამოცდილება არამხოლოდ მმართველ გუნდს, არამედ ქვეყანას სჭირდება. დღეს, მსოფლიოში შექმნილი უმძიმესი და ურთულესი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოსათვის აუცილებელი ხდება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღება, რაც ივანიშვილის მსგავსი ძლიერი ფიგურის გარეშე წარმოუდგენელია.

არც „ქართული ოცნების“ წევრი ვარ და არც პირადად **ბიძინა ივანიშვილს** ვიცნობ, მაგრამ წლებია, თვალს ვადევნებ ქართულ პოლიტიკაში მის ნაბიჯებს და შემიძლია, თამამად ვთქვა — გარდა იმისა, რომ ძლიერი ბიზნესმენი და დიდი მასშტაბის ქველმოქმედია, ზედმიწევნით კარგად იცის დიდი პოლიტიკაც. მეტსაც გეტყვით — **ბიძინა ივანიშვილს ჭკუას უნდა დაეკითხოს არამხოლოდ საქართველოს ხელისუფლება, არამედ ევროკავშირის ხელმძღვანელობაც, რომელიც კორუფციულ და ბიუროკრატიულ პრობლემებშია ჩაძირული.**

მოკლედ, დიდი იმედი მაქვს, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება მარტო მმართველ გუნდზე კი არა, ქვეყანაზეც სასიკეთოდ აისახება. სხვა თუ არაფერი, **ბიძინა ივანიშვილის უდიდესი დამსახურებაა, რომ საქართველო მშვიდობიანი განვითარების გზას ადგას მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში სისხლის წვიმა მოდის!**

**— გაქვთ თუ არა მოლოდინი, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას მმართველ გუნდში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოჰყვება?**

— „ქართულ ოცნებაში“ გარკვეული საკადრო ცვლილებები თუ გადაადგილებები, ალბათ, მოხდება, რადგან გუნდის განახლება და ახალი სისხლის გადასხმა ყოველთვის სჭირდება, თუმცა, ივანიშვილის დაბრუნებას მე უფრო მასშტაბურად ვუყურებ და ვფიქრობ, იგი ბევრად მნიშვნელოვანი მისიით შემოვიდა პოლიტიკაში, ვიდრე მმართველი გუნდის განახლებაა.

თქვენთან ინტერვიუებში მუდმივად აღვნიშნავდი, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიო და ამერიკის შეერთებული შტატების ერთპიროვნული ჰეგემონია დასასრულს უახლოვდებოდა... აი, ახლა სწორედ ეს დრო დადგა და ქართული მედიის დიდმა ნაწილმა რამდენიც არ უნდა ატყუოს საქართველოს მოსახლეობა, როგორც არ უნდა დაუმალოს მსოფლიოში მიმდინარე რეალური პროცესები, ფაქტი ჯიუტია — **ჩვენ თვალწინ მრავალპოლუსიანი მსოფლიო ყალიბდება და იწყება დიდი და პატარა სახელმწიფოების ეროვნული გამოღვიძებისა და სუვერენული ინტერესების წინ წამოწევის პროცესი.** ვფიქრობ, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაც, უპირველეს ყოვლისა, იმას უკავშირდება, რომ მალე საქართველოს წინაშე დადგება **ტერიტორიული მთლიანობის** უსისხლოდ, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით აღდგენის საკითხი, რაშიც დიდი ქვეყნები ჩაერთვებიან.

**— სხვათაშორის, ივანიშვილმა სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გააკეთა განსაკუთრებული აქცენტი, როცა „ქართული ოცნების“ ყრილობაზე გამოვიდა და პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ განაცხადა. გარდა ამისა, ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების კვალდაკვალ, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა — ქვეყანა გასაერთიანებლად უნდა მოემზადოსო! თქვენი აზრით, დიდი პოლიტიკის კულისებში რამე ისეთი ხდება, რასაც ჯერ ვერ ვხედავთ?**



## გიგლა ბარამიძე:



ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ყრილობაზე. 2023 წლის 30 დეკემბერი

# ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნება, უპირველეს ყოვლისა, იმას უკავშირდება, რომ მალე საქართველოს წინაშე დადგება ტერიტორიული მთლიანობის უსისხლოდ აღდგენის საკითხი!

— ყველაფერზე ღიად საუბარი, ალბათ, მიზანშეწონილი არ იქნება და მეც ბოლომდე ვერ გავხსნი ფრჩხილებს, მაგრამ **ვფლობ ინფორმაციას, რომ საქართველოს გაერთიანების კუთხით მართლაც მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყება.** სწორედ ამიტომ არიან ასე გამწარებული ოპოზიციად წოდებული რევანშისტული ჯგუფები და ამის გამო აქვთ მონგრეული ბოლმიანი სიფათები ნაცებსა და ნეონაცებს, რომელთათვისაც საქართველოს ყოველი წარმატება პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასია. **ომი უნდოდათ და არ გამოუვიდათ! სამოქალაქო დაპირისპირება უნდოდათ და არ გამოუვიდათ!** გაიხსენეთ, რა თქვა ამერიკაში ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრაზე **საერთაშორისო მაწანწალა სააკაშვილის ბიძამ თემურ ალასანიამ** — საქართველო რაც უფრო გახლეჩილი და ერთმანეთს დატაკებული იქნება, უკეთესიაო! დიახ, ქართული სახელმწიფოს დაუძინებელი მტრების — **ნაცებისა და ნეონაცების** ოცნება გაერთიანებული კი არა, გახლეჩილი და დაქსაქსული საქართველოა!

**— „ნეონაცებს“ ვის უწოდებთ?**

— ვინც ახლა ვითომ ახალი ოპოზიციური პოლუსის ჩამოყალიბებასა და ე.წ. მესამე ცენტრის შექმნას ცდილობს, ყველანი **ნეონაცები** არიან და ძველი ნაცსექტისაგან არაფრით განსხვავდებიან!

## ნაცებიც და ნეონაცებიც იმ მოღალატეების სულიერი და იდეური შთამომავლები არიან, რომლებმაც თბილისიდან გაქცეული აღა-მაჰმად-ხანი უკან

## „2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაცბანდაც და ნეონაცბანდაც საბოლოოდ უნდა განადგურდეს!“

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ვართ, რომ **ჩვენი წვლილი შევიტანოთ გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების საქმეში,** რომელიც მთლიანად რეგიონის ქვეყნებს და ხალხს სარგებელს მოუტანს. დიდი ოპტიმიზმით და იმედის თვალით შევყურებთ **აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის** მიმდინარე დიალოგს. მინდა, გამოვთქვა ჩვენი იმედი, რომ **სომხეთ-აზერბაიჯანი მალე გააფორმებენ სამშვიდობო შეთანხმებას,** რაც უდავოდ ხელს შეუწყობს და გააგრძელებს **რეგიონში არსებულ მშვიდობას, სტაბილურობას,** რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნებისთვის, ჩვენი ერებისთვის.

„ინტერპრესნიუსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მიტროპოლიტი*



**გაანებეთ ეკლესიასთან ჭიდაობას თავი, გამოწვევას მივიღებთ და უბრალოდ დამარცხდებით** — მუქარის გარეშე. არაფერზე დგახართ, არც სარწმუნოება, არც მრწამსი არ გაქვთ, რამით რომ შეგვიტიოთ. **ჩვენთან თუ რაიმე ცუდია, გამოვასწორებთ, თქვენ თქვენ თავებს მიხედეთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



ახალგაზრდობის ნაწილს იმით უტენიან თავს, რომ სწორედ **მანქანების დამსხვრევების, სიწმინდეების დამზიანებლების, პოლიციელებისთვის ცეცხლის წამკიდებლების და საკუთარი ქვეყნის გამლანძღველების** დაცვაა პატრიოტიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების გამოხატულება.

„მარშალპრესი“

# „უკრაინა არ იგებს, უკრაინა არ აგებს, უკრაინა ნადგურდება!“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ჩინეთის პრეზიდენტი სი ძინპინი

## მოაბრუნეს – ერეკლე მეფეს მეზარბაზნეები აღარ ჰყავსო!

**ესენი არიან იმ მოღალატეების შთამომავლები, რომლებიც თბილისში მჯდომი არაბი ამირას ჯარში იბრძოდნენ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ, რათა მეფეს თბილისი საქართველოსათვის ვერ დაებრუნებინა!**

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში **ნაცბანდაც და ნეონაცბანდაც** საბოლოოდ უნდა განადგურდეს და პოლიტიკურ მტვრად იქცეს! საერთოდ, 2024 წლის არჩევნებს ქართული პარლამენტარიზმის ზეობა უნდა მოჰყვეს და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვდნენ არა საშოვარზე გამოსული სალახანები, არამედ პიროვნებები, რომლებიც უცხოეთიდან ნაკარნახევი და თავსმოხვეული კანონების ნაცვლად საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამის კანონებს მიიღებენ!

**— საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ პარლამენტმა აუცილებლად უნდა მიიღოს კანონი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ, რათა დაუსჯელი არ დარჩნენ ნატა ფერაძის მსგავსი ექსტრემისტები, რომლებიც ტაძრებში შევარდნასა და ხატების შებილწვას გაბედავენ! როგორია თქვენი შეფასება წმინდა მატრონას ხატის გარშემო ატეხილ აყიოტაჟთან დაკავშირებით?**

— რაც ნაცლიბერალური სექტის ჭინკამ — **ნატა ფერაძემ** ჩაიდინა, ეს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მორიგი ფაზაა, ხატზე გამოსახული სტალინის ფრაგმენტი კი მხოლოდ საბაბია, რომელიც ქართული ეკლესიის შეურაცხყოფისათვის გამოიყენეს. ახლა ბევრი ამბობს — **ნატა ფერაძე და მისნაირი ჭინკები** უნდა დაისაჯონო, მაგრამ ისინი ღმერთისგან უკვე დასჯილები არიან და ამიტომაც სჩადიან ასეთ სისაძაგლეებს! ადამიანი საკუთარი სამშობლოს, რწმენისა და ეკლესიის მტერი რომ იქნება, ამაზე მეტი სასჯელი რა უნდა მიიღოს და ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა დაემართოს?!

დარწმუნებული ვარ, ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ კიდევ არაერთ შეტევას ვიხილავთ, მაგრამ **ჭინკების ყოველი მცდელობა ჩანასახშივე განწირულია, რადგან მართლმადიდებლობას, რომელიც ისტორიულად ქართული სახელმწიფოებრიობის ბალავარია, ვერასოდეს ვერცერთი მტერი ვერ მოერია.** როგორ ფიქრობთ, **ქეთევან დედოფალი** რატომ ეწამა მართლმადიდებლობისათვის? განა იგი ფანატიკოსი იყო? არამც და არამც! ბაგრატიონის ქალმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობა მართლმადიდებლობაზე იდგა და ამიტომაც გაწირა თავი. მას სპარსეთის შაჰის კარზე მრავლად მყოფი კათოლიკე მისიონერები სთავაზობდნენ — თუ მუსულმანობის მიღება არ გინდა, კათოლიკე გახდი და გადარჩები, რადგან ვატიკანის შიშით შაჰი სიკვდილით ვეღარ დაგსჯისო, მაგრამ **ქეთევან დედოფალმა** ეს არ გააკეთა — არათუ ისლამზე, კათოლიციზმზეც არ გაცვალა მართლმადიდებლობა, რათა საქართველო საქართველოდ დარჩენილიყო და დღეს ჩვენ ქართულად გვესაუბრა. ეს საქართველოს დღევანდელმა შინაურმა და გარეულმა მტრებმაც კარგად იციან და მართლმადიდებლობას სწორედ იმიტომ ებრძვიან, რომ ქართველ კაცში **სახელმწიფოებრიობის განცდა** მოშალონ.

**— ოპოზიციის წარმომადგენლები, რომლებსაც თქვენ ნაცებად და ნეონაცებად ყოფთ, აქტიურად იბრძვიან საქართველოს ჩინეთთან დაახლოების წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა პროდასავლური გზიდან გადახვევას ნიშნავს. ამაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— **ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმება გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი წარმატება, რასაც საქართველომ დღევანდელი ხელისუფლების პირობებში მიაღწია.** ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში ჩინეთი შეიძლება, საქართველოს პირდაპირი გარანტორი გახდეს რუსეთთან ურთიერთობაში, რომელზეც მას უზარმაზარი გავლენა აქვს. აღარაფერს ვამბობ უზარმაზარ ფინანსებზე, ინვესტიციებსა და პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელზე, რისი მიღებაც საქართველოს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობით შეუძლია.

ჩვენი ყველა პარტნიორი, აშშ-ით დაწყებული და ევროკავშირით დამთავრებული, ჩინეთთან ახლო ურთიერთობის დამყარებაზე ოცნებობს. ნეიტრალურმა შვეიცარიამაც კი სულ ახლახან ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო ევროკავშირს ჩინეთთან წელიწადში ტრილიონიანი სავაჭრო ბრუნვა აქვს. აშშ-ის პოლიტიკური ელიტა წელიწადნახევრის განმავლობაში ლამის ეხვეწებოდა ჩინეთის პრეზიდენტ **სი ძინპინს,** რომ **ჯო ბაიდენს** შეხვედროდა, თუმცა, მაღალი დონის აუდიენციას მაინც ვერ მიაღწია და ძინპინი ამერიკის პრეზიდენტს მხოლოდ კალიფორნიაში ეკოლოგიის საკითხებზე გამართული ფორუმის ფარგლებში შეხვდა.

ასე რომ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას ამბობენ საქართველო-ჩინეთის ურთიერთობაზე ბოღმისაგან სახემონგრეული და პოლიტიკოსების ქურქში გახვეული ნაცჭინკები, რომლებიც საქართველოს ოფიციალური მტრები არიან და მათი ადგილი პოლიტიკაში კი არა, სულ სხვაგანაა.

# „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში ჩინეთი შეიძლება, საქართველოს პირდაპირი გარანტორი გახდეს რუსეთთან ურთიერთობაში!“

**— მაინც სად არის მათი ადგილი?**

— ციხეში! ოღონდ საკანში და არა ოროთახიან ლუქს-პალატაში! გარდა ამისა, სააკაშვილსა და მის ყველა დამქაშს ქართველი ხალხისათვის მოპარულ-წართმეული მილიონები უნდა ჩამოერთვას და სახელმწიფო ბიუჯეტს დაუბრუნდეს! **ეტაპით უნდა ჩამოიყვანონ და ციხეში გაამწესონ უკრაინაში — ზელენსკის საფარქვეშ თბილად მოკალათებული ნაცებიც,** პირველ რიგში, **ზურაბ ადეიშვილი და გია ლორთქიფანიძე,** რომლებმაც საქართველოში არაერთგზის მოაწყვეს ბუჩა თუ მარიუპოლი!

**— ზელენსკი ახსენეთ და... როგორია დღეს რეალური ვითარება ფრონტზე — უკრაინა ომს იგებს თუ აგებს?**

— შემიძლია, პირდაპირ ვთქვა — **უკრაინა არ იგებს, უკრაინა არ აგებს, უკრაინა ნადგურდება!**

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, რომ უკრაინის კონტრშეტევა ჩაფლავდებოდა და ასეც მოხდა. უკრაინის ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა **ლუცენკომ** ამასწინათ განაცხადა — ომის დაწყებიდან დღემდე **500 ათასი უკრაინელი სამხედრო** დაღუპული და დასახიჩრებულიო, თუმცა, სხვადასხვა ობიექტური და სანდო საერთაშორისო წყაროს მიხედვით, მსხვერპლი კიდევ უფრო დიდია. უკრაინიდან წასული ლტოლვილების რიცხვი **17 მილიონს** აღწევს, უკრაინამ დაკარგა აზოვის ზღვა, დაკარგა ოთხი უზარმაზარი რეგიონის დაახლოებით 70-80 პროცენტი, დაკარგა ატომური სადგურები, ყოველდღიურად იბომბება უკრაინის სამხედრო-სამრეწველო ობიექტები... ქვეყანა მთლიანად დოტაციაზე ზის და უცხოეთმა ფულის ჩარიცხვა ერთი დღით რომ დაუგვიანოს, ვერც ჯარი იომებს და ვერც ხელფასებისა და პენსიების გაცემა მოხერხდება...

ყოველივე ამის ფონზე, ევროპელი ლიდერები გამოდიან და ცინიკურად აცხადებენ — ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ უკრაინამ ბრძოლა გააგრძელოს, რათა ჩვენს ქვეყნებში რუსეთის შემოჭრა და ომი ავიცილოთო! ცალკე ამერიკელი პოლიტიკოსები იძახიან — უკრაინის ომი ჩვენი ყველაზე დიდი ინვესტიცია არისო და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პირველი პირი კონგრესს მოუწოდებს — უკრაინის ფინანსურ დახმარებას მწვანე შუქს თუ აუნთებთ, ამ თანხების 90 პროცენტი ისევ ამერიკაში დარჩებაო! იგივე განაცხადა ევროკავშირის ერთ-ერთმა ლიდერმაც — თუ ამერიკა ვერ გამოუყოფს უკრაინას 40 მილიარდ დოლარს, ამას ჩვენ გავაკეთებთ, მაგრამ აქედან ლომის წილი ისევ ევროკავშირის საწარმოებში დარჩებაო! ე.ი. ამერიკისა და ევროკავშირის საწარმოებმა შეუფერხებლად უნდა იმუშაონ და ევროპელ და ამერიკელ მუშახელს დასაქმების პრობლემა არ შეექმნას, უკრაინელმა ხალხმა კი სისხლი უნდა ღვაროს და ომში გაწყდეს! — ასეთია **კოლექტიური დასავლეთის** ცინიკური მიდგომა უკრაინის ტრაგედიისადმი.

**— თუმცა, უკრაინასთან ომში რუსეთიც ხომ ზარალდება და სუსტდება?**

— რა თქმა უნდა, რუსეთი სერიოზულ ზარალს განიცდის, მაგრამ ომში მის დამარცხებაზე საუბარი, უბრალოდ, არასერიოზულია! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეუძლებელია, ბირთვულმა სახელმწიფომ არაბირთვულ სახელმწიფოსთან ომი წააგოს, ასეთი პრეცედენტი ისტორიას არ ახსოვს! გარდა ამისა, **რუსეთის არმიაში მოხალისეებისა და საკონტრაქტო სამხედროების რიგი დგას მაშინ, როცა უკრაინის ჯარში ადამიანებს ძალით მიერეკებიან!**

ნაცბანდის ტელევიზიები საქართველოს მოსახლეობას ეუბნებოდნენ, რომ ომის დაწყებიდან ორ თვეში რუსეთის ეკონომიკა ჩამოინგრეოდა, მაგრამ — **ტყუილი!** ამბობდნენ, რომ რუსეთში აჯანყება მოხდებოდა და პუტინის ხელისუფლებას დაამხობდნენ, მაგრამ — **ტყუილი!** ამბობდნენ, რომ რუსეთი რაკეტებისთვის სარეცხი მანქანის ჩიპებს ხმარობდა და ისიც მალე გაუთავდებოდა, მაგრამ — **ტყუილი!** ამბობდნენ, რომ რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცეოდა და სანქციებს ვერ გაუძლებდა, მაგრამ — **ტყუილი!** ევროკავშირი და ამერიკა რუსეთს ერთი ხელით ვითომ სანქციებს უწესებენ, მეორე ხელით კი იმავე რუსეთისგან მილიარდობით დოლარის ღირებულების პროდუქციას ყიდულობენ!

**და კიდევ: ტყუილია,** რომ ეს მხოლოდ რუსეთ-უკრაინის ომია! უპირველეს ყოვლისა, ეს არის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ომი ახალი მსოფლიო რეალობისა და რესურსებისათვის, უკრაინას კი პოლიგონად და საზარბაზნე ხორცად იყენებენ!

**— აშკარაა, რომ ისრაელისა და „ჰამასის“ ომმა დასავლეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში უკრაინის თემა უკანა პლანზე გადასწია... თქვენ, როგორც აღმოსავლეთმცოდნე, რას იტყვით ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე უმძიმეს პროცესებზე და როგორ ფიქრობთ, რა შედეგით დასრულ-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „რუსეთის დამარცხებაზე საუბარი, უბრალოდ, არასერიოზულია! შეუძლებელია, ბირთვულმა სახელმწიფომ არაბირთვულ სახელმწიფოსთან ომი წააგოს, ასეთი პრეცედენტი ისტორიას არ ახსოვს!“

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის დასკვნაში** საუბარი იყო იმის შესახებ, რომ **თითქოს სააკაშვილი არის მარტო და, ფაქტობრივად, სამარტოო საკანს უთანაბრდება ეს გარემოება.** რას ნიშნავს მარტო ყოფნა — ეს არის მისი სურვილი, რომ საკანშიც და პალატაშიც მარტო ყოფილიყო. **მას დღეის მდგომარეობით ჰყავდა 3 ათასი ვიზიტორი არასრულ 2 წელიწადნახევარში, ყოველდღიურად სტუმრობენ ოჯახის წევრები და საათებს ატარებენ მასთან.** თუ უნდა, რომ ვინმე შევუსახლოთ, გამოხატონ ამის შესახებ სურვილი და **ვიპოვით ვინმე სხვა პატიმარს, თუ ვინმეს ექნება მასთან ერთად გაჩერების სურვილი და შევუსახლებთ როგორც პალატაში, ასევე შემდგომში საკანშიც.**

„ახალი თაობა“

**გელა ნიკოლაიშვილი**
*უფლებადამცველი*



**ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტმა** დაასკვნა, რომ **სააკაშვილის** წამებას ადგილი არ ჰქონია. **სააკაშვილს ზონაში ყოფნა ჯერ არ ეკუთვნის.** ის ჯერ არ არის მსჯავრდებული ბევრ ისეთ საქმეზე, რომელიც მიმდინარეა, **ოთხ საქმეზე ბრალდებულია.**

„ახალი თაობა“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**გიორგი გახარიასა და ლევან ხაბეიშვილს** შორის არანაირი იდეოლოგიური, გონებრივი **განსხვავება აღარ არის!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



თავდასხმა და მტრული რიტორიკა **საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ** ხორციელდება **ევროპის, დასავლეთისა და ლიბერალიზმის სახელით.**

„ახალი თაობა“



ხადა — მოლოდინი გვაქვს, რომ საერთაშორისო სასამართლო ისრაელის ქმედებებს გენოციდად აღიარებს!

— ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა **ჟოზეფ ბორელმა** პირდაპირ განაცხადა — **ღაზის სექტორში მიმდინარეობს აპოკალიფსური მასშტაბის ნგრევა, როგორიც მეორე მსოფლიო ომის დროსაც კი არ ყოფილა და ამის მოთავე ისრაელიაო!** მეტიც, მან აღნიშნა, რომ „ჰამასი" თავის დროზე თვითონ ისრაელმა შექმნა და აფინანსებდა ფათჰის, ანუ „პალესტინის განთავისუფლების მოძრაობის" წინააღმდეგ ბრძოლაში. ევროპარლამენტის ლიდერებმა ახლახან განაცხადეს, რომ ისრაელს უფლება არა აქვს, პალესტინელებს თვითგამორკვევა და სა**არა, იდეაა, რომელსაც მებრძოლი დანაყოფები და გენერალიტეტი არამხოლოდ მდინარე იორდანის დასავლეთ ნაწილსა და ღაზის სექტორში, არამედ სხვა ქვეყნებშიც ჰყავს.**

მოკლედ, მთელი ცივილიზებული სამყაროს ჩართულობა და ძალისხმევაა საჭირო, რომ ახლო აღმოსავლეთში სისხლისღვრა შეწყდეს, მაგრამ არსებობს კი საამისო ნება? პირიქით, მსოფლიოში ომის აჩრდილი დაძრწის, რომელსაც მეტი და მეტი ცხელი წერტილი სჭირდება მეტი იარაღის გასაყიდად და მეტი მილიარდების მოსახვეტად!

**— ასეთ რთულ და ფეთქებადსაშიშ ვითარებაში როგორ უნდა მოიქცეს პატარა საქართველო, რომ მშვიდობა შეინარჩუნოს?**

— დიდი **შოთა რუსთაველი** გვეუბნება — „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები"... ჭკუით უნდა ვიყოთ, ემოციებს არ ავყვეთ და ჩვენი საქმე ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ, სხვების კარნახისა და დირექტივების გარეშე.

და კიდევ: მშვიდობიანი განვითარების გზას რომ არ ავცდეთ, აუცილებელია, სახელმწიფომ კანონზე დაფუძნებული სიმკაცრე და პრინციპულობა გამოიჩინოს შინაური მტრების — ნაცებისა და ნეონაცების მიმართ, რომელთა მთავარი დავალება და მიზანი საქართველოს საომარ ავანტიურაში ჩათრევაა ისევე, როგორც ეს 2008 წელს გააკეთეს!

*ესაუბრა*
***ჟაბა ხუბუა***

# გიგლა ბარამიძე:

# ეტაპით უნდა ჩამოიყვანონ და ციხეში გაამწესონ უკრაინაში ზელენსკის საფარქვეშ თბილად მოკალათებული ნაცების, პირველ რიგში, ადეიშვილი და გია ლორთქიფანიძე!

*დასაწყისი მე–2 გვერდზე*

**დება ეს სისხლისმღვრელი კონფლიქტი?**

— თავისი ნაქები სპეცსამსახურებისა და არმიის მიუხედავად, ფაქტია, რომ ისრაელს „ჰამასთან" ომში ძალიან უჭირს. თავიდან **ნეთანიაჰუს** მთავრობა აცხადებდა, რომ „ჰამასს" თვენახევარში გაანადგურებდა, მაგრამ სამთვენახევარია გასული და სისხლისღვრას დასასრული არ უჩანს.

„ჰამასის" თავდასხმის შედეგად ისრაელში **1400 ადამიანის** დაღუპვა, რა თქმა უნდა, უდიდესი ტრაგედია იყო, მაგრამ დღეს ღაზის სექტორში ენით აღუწერელი უბედურება ტრიალებს — **25 000 მშვიდობიანი მოსახლეა** დახოცილი და აქედან **8200 ბავშვია.** ისრაელმა ამ სამხედრო ოპერაციისათვის უკვე 60 მილიარდი დოლარი დახარჯა, მაგრამ შედეგი, ფაქტობრივად, არა აქვს. მეტიც, ისრაელს თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის განმავლობაში არასოდეს დაუკარგავს იმდენი ცოცხალი ძალა და ტანკი, რამდენიც „ჰამასმა" ამ დროისათვის გაუნადგურა. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ ისრაელი „ჰამასის" სახით ებრძვის არა სახელმწიფოს, არამედ დაჯგუფებას, რომელსაც არც რეგულარული არმია ჰყავს, არც — თვითმფრინავები და არც — ჯავშანტრანსპორტიორები.

**როცა ერთი ტერორისტის გასანადგურებლად 500 მშვიდობიან მოსახლეს ამოხოცავ, ამას სპეცოპერაცია აღარ ჰქვია, ეს უკვე სხვა რამეა, რასაც არ მინდა, თავისი სახელი დავარქვა.**

**— თქვენ შეიძლება, მოერიდოთ სახელის დარქმევას იმისათვის, რასაც ისრაელი ღაზაში აკეთებს, მაგრამ უკვე ხმამაღლა გაისმის განცხადებები, რომ ეს პალესტინელების გენოციდია! სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ჰააგის სასამართლოში სარჩელიც კი შეიტანა მოთხოვნით, რომ ღაზის სექტორში მიმდინარე მოვლენებს გენოციდის კვალიფიკაცია მიეცეს, ხოლო თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაც**ხელმწიფოს შექმნა აუკრძალოს, ხოლო გაეროს უშიშროების საბჭოში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი იძულებული გახდა, ეთქვა — **პალესტინელ ხალხს უფლება აქვს, დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნასო!**

სინამდვილეში, პალესტინელი ხალხი სწორედ საერთაშორისო საზოგადოების მიერ არის მოტყუებული!

**— რას გულისხმობთ?**

— როცა ისრაელის სახელმწიფო იქმნებოდა, პარალელურად, გაეროს ოფიციალურ დოკუმენტებში ჩაიწერა, რომ უნდა შექმნილიყო პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც დღემდე არ მომხდარა, რადგან ამას ისრაელი საფრთხეში მიიჩნევს.

არადა, თუ პალესტინის სახელმწიფო არ შეიქმნება, ომი და სისხლისღვრა კიდევ მრავალი ასწლეული გასტანს! **„ჰამასი" რომც გაანადგურონ, ამით მაინც არაფერი შეიცვლება, რადგან „ჰამასი" უბრალოდ სამხედრო დაჯგუფება კი**

**უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი,** ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი **ზურაბ ადეიშვილი** და **უკრაინის კონტრდაზვერვის დირექტორის პირველი მოადგილე,** ქართული მართლმსაჯულების მიერ ძებნილი **გია ლორთქიფანიძე**





## „თუ პალესტინის სახელმწიფო არ შეიქმნება, ომი და სისხლისღვრა კიდევ მრავალი ასწლეული გასტანს!"







# ავ

***ამ წერილის სათაური ერთგვარი ნაირსახეობაა ბერძნული სიტყვისა — ჰაგიოგრაფია, რომელიც წმინდანთა წამებისა და ცხოვრება-მოქალაქეობის აღწერას ნიშნავს.***

ტერმინ **ავგიაგრაფიის** პირველი ნაწილი — **ავგია** ცნობილი მეფეა ძველი ბერძნული მითოლოგიიდან, რომლის ურიცხვი საქონლის თავლა მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ვერავინ დაასუფთავა, სანამ გმირთაგმირი ჰერაკლე არ გამოჩნდა და ნეხვის ბუდე მდინარის მეშვეობით ერთ დღეში არ გაწმინდა.

მაგრამ ჩვენ შემთხვევაში სახელი **ავგია** დაკავშირებულია არა მითიურ ბერძენ მეფესთან, არამედ გაავებულ ლიტერატორ **გია მურღულიასთან,** რომელიც სწორედ ნეხვით სავსე თავლაში ნებივრობს, რადგან სკოლაში **ჰაგიოგრაფიის** ნაცვლად „თანამედროვე ქართული ლიტერატურის" სწავლებას ლობირებს!

**მურღულიამ,** რომელიც ასლან აბაშიძით დაწყებული, შევარდნაძე-სააკაშვილით გაგრძელებული და დღევანდელი ხელისუფლებით დამთავრებული, ყველა ხელისუფლების პოლიტიკურ საწოლშია ნაკოტრიალები, წინა კვირას სოციალური ქსელების მეშვეობით ასეთი რამ განაცხადა:

> ***„ბოლო ათწლეულებში ყველგან აქცენტი არის გადატანილი თანამედროვე ლიტერატურის სწავლებაზე. თუ ჩვენ შვილებს ვზრდით 21-ე საუკუნისთვის, მათ უნდა გაიაზრონ, რა არის თანამედროვე ადამიანის მისწრაფებები, პრობლემები, განწყობები, იმედები, ოცნებები, მთავარი საფიქრალი.*** *ამას ყველაფერს სრულფასოვნად თანამედროვე ლიტერატურა გამოხატავს. ბერძნები ორ ჰაგიოგრაფიულ ტექსტზე მეტს არ ასწავლიან, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პატივს არ მიაგებენ ჰაგიოგრაფიას? არ ნიშნავს!* ***ჩვენ, ქართველებმა, ქრისტიანობაც და ჰაგიოგრაფიაც ბერძნებისგან ვისწავლეთ. ამჯერად სამ ჰაგიოგრაფიულ ტექსტს ვასწავლით, სამივე ძალიან მეძვირფასება, მაგრამ როგორც კი დადგება ხოლმე საკითხი, რაღაცას შევეღიოთ და მიმოხილვის წესით ვასწავლოთ, იმწუთას იწყება საუბარი, რომ წარსულ კულტურას პატივს არ სცემენ და ა.შ. რაც რეალობას არაფრით უკავშირდება.*** *მაგალითად, ფრანგები, რომლებსაც მე-19 საუკუნის ბრწყინვალე ლიტერატურა აქვთ, ამ საინტერესო ეპოქის ერთ-ორ ნიმუშს ასწავლიან. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათ სკოლის სპეციფიკა ესმით და ისიც ესმით, სკოლა რა ამოცანებს წყვეტს.* ***სკოლაში ყველაფერი კი არ უნდა ასწავლო, უნდა ასწავლო იმდენი, რაც ბავშვის განვითარებისთვისაა საჭირო.*** *ყველაფრის სწავლება შეუძლებელია და მიუღწეველ ამოცანას ისახავს.* ***ჩვენ ჯერჯერობით ვსაზღვრავთ ჩვენი არსებობის ველს, სივრცეს. მათ შორის, ეს ვერსიაც ძალიან აქტიურად განიხილება."***

დავიწყოთ იმით, რომ **გია მურღულია,** რომელიც დღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **გიორგი ამილახვრის** კონსულტანტია, ცნობილი ჩამშვებიც გახლავთ, რომელმაც გაგანია ანდროპოვის დროს თავისი მოწაფეები დააბეზღა და მშობლებთან ერთად **კაგებეში** დაკითხვებზე არბენინა...

აი, რას წერს ამის შესახებ სოციალურ ქსელებში სააკაშვილისა და მისი გარყვნილი ხროვის მიერ დახვრეტილი **აკადემიკოს გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე,** რომელიც სწორედ **გია მურღულიას** მოსწავლე იყო.

> *„80-იან წლებში 23-ე სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის სრულიად ახლებური მასწავლებელი მოვიდა. ახალგაზრდა კაცი ყველასგან განსხვავებული იყო. ის დროა, როდესაც ეროვნული მოძრაობა ძლიერდებოდა და ხალხში ანტიკომუნისტური განწყობა მატულობდა. მოსწავლეებმა მთელი გულით შეიყვარეს და, რაც მთავარია, მთელი არსებით მიენდნენ.* ***ერთ დღესაც ერთ-ერთი უფროსი კლასის ბავშვებს კომუნისტური რეჟიმისთვის სრულიად მიუღებელ კითხვებზე წერილობითი პასუხის გაცემა სთხოვა და დაჰპირდა, რომ ყველაფერი საიდუმლოდ მასთან დარჩებოდა. რა თქმა უნდა, ბავშვებმა საყვარელი მასწავლებლის თხოვნა დაუფიქრებლად შეასრულეს და გულწრფელი პასუხები გასცეს.*** *წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როდესაც მალე საკუთარი ნაწერები გაზეთის ფურცლებზე იხილეს.* ***მასწავლებელმა სტატია დაწერა და საკუთარი მოსწავლეები უმოწყალოდ „ჩაუშვა". დაინგრა სკოლა, განათლების სამინისტრო, საქართველო... იყო პედსაბჭოები, მშობლების და მოსწავლეების წინ და უკან თრევა...*** *ბავშვები დაიხოცნენ იმედგაცრუებით, სხვა ნაკლებად ადარდებდათ. როგორღაც გადაიარა ყველაფერმა და თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა კაცმა „წონაც" კი შეიძინა —* ***მთელმა საქართველომ გა-***

# გიაგრაფია




## ჰაგიოგრაფიისა და ავგიას თავლის შესახებ








## სააკაშვილის მიერ დახვრეტილი აკადემიკოს გურამ შარაძის ქალიშვილი გია მურღულიას ხელს ადებს!

## გიორგი ამილახვარო, მოიშორეთ ეს ახვარი მურღულია და წაართვით ციანიდი!

***იცნო. ამასობაში ჩემი კლასის მასწავლებელი გახდა. თან რა დროს — მე-8 კლასში, როდესაც ჰაგიოგრაფიასა და „ვეფხისტყაოსანს“ გავდიოდით.*** *ვიცოდი, რას წარმოადგენდა, მაგრამ მომაჯადოვა! და მაშინ ამ საგანში საუკეთესო თუ ვიყავი, მისი დამსახურებაცაა.*

***დაინგრა საბჭოთა კავშირი, მიჰყვა საქართველოც. რა არ გამოვიარეთ. კაცს თმაში ჭაღარა შეერია, სახელი და პატივი მოემატა. ყოველთვის თბილად იყო... და აი, გახდა თბილისის 24-ე სკოლის დირექტორი.***

*2007 წელს მოკლეს მამაჩემი. სულ ახალი დასაფლავებული იყო და სახლში ქალი მოვიდა, ამ სკოლის მასწავლებელი, სახეს იხოკავდა ტირილით... დედაჩემს და მე ასეთი რამ მოგვიყვა: პედსაბჭოზე* ***გურამ შარაძის*** *მკვლელობა ახსენეს და დირექტორის პასუხი იყო —* ***აქამდე უნდა მოგვეკლა!*** *მაშინვე ვკითხე პრესის მეშვეობით —* ***რატომ უნდა მოგეკლათ გურამ შარაძე-მეთქი, მაგრამ ჩემი საყვარელი მასწავლებლისგან პასუხი არ მიმიღია.***

*გავიდა დრო. შოკმა ასე თუ ისე გამიარა. ისევ ბევრი რამ გამოვიარეთ. გადავარდა სააკაშვილის რეჟიმი. ჩემს საყვარელ მასწავლებელს ვხედავდი ხოლმე ეკრანზე. ახლა ხომ უკეთესად ვიცოდი, რას წარმოადგენდა, მაგრამ მაინც მაჯადოებდა მისი ლაპარაკი და უსაზღვრო განათლება. ვფიქრობდი —* ***ნუ ეყვარება მამაჩემი, გამოადგეს ბავშვებს, ახალ თაობას-მეთქი და აი, სად შევცდი, აქ დავაშავე...***

***არ არსებობს ადამიანი, ვისაც გურამ შარაძე სძულს და რამე დროში არ მოიჭრას თავი. უმთავრესი კი ისაა, რომ ეს კაცი საშიშია ბავშვებისთვის და მისი ცოდნა-განათლება, რომლითაც მანიპულირებს, არის საწამლავი.***

*ძნელი ყოფილა გრანტების ტვირთისგან თავის დახსნა.* ***ახლა ხარკს უხდის ტროცკისტებს და კარგად დააკვირდით — სოლიდარობას პირდაპირ კი არ უცხადებს, ხელისუფლების არხზე*** *(სადაც არ აჭაჭანებენ არავის)* ***ზის და „ჩერეზ“ გიორგი სააკაძე ებრძვის ხელისუფლებას, კვერს უკრავს ჭინკებს და ეუბნება — მე თქვენი ვარ!***

***მოხერხება ხომ უნდა?!“***

მოკლედ, პატივცემულო მკითხველო, 2007 წლის 20 მაისს, როცა შუბლგახვრეტილი **გურამ შარაძის** გვამი მელიქიშვილისა და ჯანაშიას ქუჩების გადაკვეთაზე ცხელ ასფალტზე რამდენიმე საათის განმავლობაში უძრავად იდო, ხოლო ვინმე **სატანისტი ოთარ ქაროსანიძე** აწ განსვენებული შარაძის მობილურ ტელეფონზე გახარებული მესიჯს მესიჯზე აგზავნიდა — **„აჰა, ჩაძაღლდი, ფაშისტო?!“** — სწორედ ამ დროს სააკაშვილისა და კანალიზატორ **კახა ლომაიას** სკოლის დირექტორი **გია მურღულია** პედსაბჭოზე, თურმე, აცხადებდა — **„გურამ შარაძე ადრე უნდა მოგვეკლაო!“**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მივმართავ განათლების მინისტრ **გიორგი ამილახვარს** — **ბატონო გიორგი, თქვენი კონსულტანტი, ლიტერატურის დოქტორი გია მურღულია ქონდაქარი, ასტიონა და გურამ შარაძის იდეური მკვლელია. ამიტომ ფრთხილად იყავით და ამ არსებასთან საჭმლის ჭამას ერიდეთ, ემანდ სადმე სამსალა არ შეგასვათ და მერე ლაშა ბუღაძის, რატი ამაღლობლის, ზაზა ბურჭულაძისა და „თანამედროვე ქართული ლიტერატურის“ სხვა ამძუვნებული „მამების“ პედსაბჭოზე არ განაცხადოს — ამილახვარი ადრე უნდა მოგვეკლაო!**

სხვათაშორის, ლიტერატურის დოქტორ **გია მურღულიას** შევახსენებთ, რომ ჰიტლერის მარჯვენა ხელი და ფაშისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრი, **რაიხსკანცლერი გებელსიც** ლიტერატურის დოქტორი იყო...

ახლა კი **მურღულიას** ფეისბუქნაბოდვრის შესახებ...

**დოქტორო მურღულიავ,** რომ ბრძანებთ, საქართველოში ქრისტიანობა საბერძნეთიდან შემოვიდა და ბერძნები დღეს ორ ჰაგიოგრაფიულ ტექსტზე მეტს არ ასწავლიან ბავშვებს სკოლაშიო, ეს ამბავი ყურით მოათრიეთ თუ დაგესიზმრათ?

**საქართველოში ქრისტიანობა ბერძნებმა კი არა, უშუალოდ ქრისტეს მოციქულებმა — ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს პირველ საუკუნეში. ხარაგაულში, მიტოვებულ სოფელ სახვლარის მაღლა, ახლაც არის ღრუბლებს ზემოთ აზიდული ულამაზესი და უმშვენიერესი რკინის ჯვარი, სადაც მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა სწორედ რკინის ჯვარი აღმართა.**

საერთოდ, ამ საკითხზე, ანუ ვინ გააქრისტიანა საქართველო, თავის დროზე ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის დიდი დავიდარაბა ატყდა, მაგრამ 1057 წელს ჩვენმა წმინდა მამამ **გიორგი მთაწმინდელმა** ანტიოქიის პატრიარქის **იოანე მეექვსის** წინაშე ღირსეულად დაიცვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. **მაშინ წმინდა გიორგი მთაწმინდელმა სასულიერო კრებულის წინაშე ისიც ბრძანა, რომ, როცა საბერძნეთს ხატმებრძოლობა არყევდა და ქვეყანაში მღვდელი აღარ იპოვებოდა, რომელიც სქიზმასა და უბედურებაში არ იქნებოდა ჩავარდნილი, გუთების ეპისკოპოსი იოანე მცხეთაში ჩამოიყვანეს და იქ აკურთხეს!**

**დოქტორო მურღულიავ,** ასეც რომ არ იყოს, მაშინდელ საბერძნეთსა და დღევანდელ საბერძნეთს ადარებთ ერთმანეთს, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გარყვნილ სოდომისტთა ე.წ. პარადები იმართება? **ბერძენთაგან ჩვენ რა უნდა გადმოვიღოთ? ან რა უნდა ვისწავლოთ ფრანგებისგან, რომელთა მე-19 საუკუნის ლიტერატურას მართლაც ვაღმერთებ, მაგრამ დღეს ფრანგები ხომ ეკლესიებს წვავენ და ღვთის სახლებში ძაღლებისა და კატების საქორწინო ცერემონიალებს აწყობენ?**

აქედან გამომდინარე, რომ წერთ და მოსახლეობას თავგზას ურევთ, **„ბოლო ათწლეულებში ყველგან აქცენტი არის გადატანილი თანამედროვე ლიტერატურის სწავლებაზე“-ო,** რას გვთავაზობთ, **„შუშანიკის წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“** ნაცვლად **მამუკა ხაზარაძის** ტუალეტის მჯღაბნელების შემოქმედება ვასწავლოთ ქართველ მოსწავლეებს?

„ასავალ-დასავალის“ მკითხველმა და მთელმა საქართველომ კარგად უწყიან, თუ რას წერენ და რა სიტყვებს ისვრიან პირიდან ტორეზა მოსები და ისინი, რომლებმაც „თავსაფრიანი ბოზები“ დაწერეს...

**გიორგი მერჩულემ** „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ქართველობისა და საქართველოს განმსაზღვრელი უნივერსალური ფორმულა რომ გაგვიცხადა და გვითხრა — **„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“-ო!** — ეს ქართველმა არ უნდა ისწავლოს და „ანტიტყაოსანი“ ან „მელიატულეფია“ დაიზეპიროს?

კრემლის ღორ-ძაღლები და საფლავიდან ამოსაგდები **მიხეილ სუსლოვის** ქართველი მყეფრები დევნიდნენ და, ფაქტობრივად, კრძალავდნენ **დიდი ქართველი აკადემიკოსის პავლე ინგოროყვას** გახმაურებულ მეცნიერულ ნაშრომს „გიორგი მერჩულე“, სადაც აფხაზეთი საქართველოსა და ქართული სამყაროს განუყოფელ და ორგანულ ნაწილად არის გამოცხადებული. **აფხაზეთი რომ ოდითგანვე საქართველო იყო, სწორედ ამიტომაც ჩავიდა გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთში, სადაც „მეფემან აფხაზთამან დემეტრე დიდითა პატივითა პატივ-სცა და ადგილსა კეთილსა დაამკვიდრა“.** ეს აფხაზთა მეფე **დემეტრე მეორე,** დიდი **ლეონ მეორის** შვილი გახლდათ, რომელმაც დასავლეთ საქართველოში შემოჭრილი მამაშვილ **გია და ლაშა ბუღაძეების წინაპარი, არაბი სარდალი ბუღა-თურქი** არაერთხელ დაამარცხა და დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო გავლენა გააძლიერა.

**თუ ეს ქართველ ბავშვებს არ ეცოდინებათ, თუ ჩვენს შთამომავლობას მხოლოდ ზაზა ბურჭულაძისა და ლაშა ბუღაძის პორნოქმნილებებით, ანდა ლევან ბერძენიშვილის ბინძური ტყუილებით გავზრდით,** რომელმაც ქრისტიანობისთვის წამებულ წმინდა დედოფალ შუშანიკზე თქვა — **შუშანიკს ახლოსაც არ გაუვლია იმასთან, რასაც ქრისტიანობა ქადაგებდა. შუშანიკი ბოლმის, სიძულვილისა და ბოროტების ქალია. შვილები სძულდა, მათი სახელის გაგონებაც არ უნდოდა!“-ო** — მაშინ ან სკოლა რად გვინდა და ან განათლების სამინისტრო?

გადმოცემის თანახმად, ლიტერატურის დოქტორმა, **რაიხსკანცლერმა გებელსმა** თავი **კალიუმციანიდით** მოიწამლა და ძაღლიც მიაკვდა...

სწორედ **ციანიდი** მიჰქონდათ გერმანიაში პატრიარქთან, რათა მოეწამლათ...

დიდი ეჭვი მაქვს, რომ ლიტერატურის დოქტორი **გია მურღულიაც ციანიდით** მიმოდის და საქართველოს სიცოცხლის წყაროს წამლავს!

**გიორგი ამილახვარო, მოიშორეთ ეს ახვარი მურღულია და წაართვით ციანიდი!**

სხვათაშორის, **„ახვარი“** არაბული სიტყვაა და ქართულად **„საქონელს“** ნიშნავს...

***დიტო ჩუბინიძე***


გია მურღულია და გიორგი ამილახვარი

# აზოტის ჰიპოქსია

***2024 წლის 25 იანვარს, ადგილობრივი დროით, 20 საათსა და 25 წუთზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში და პირველად მსოფლიოს ისტორიაში მოხდა ადამიანის სიკვდილით დასჯა აზოტის ჰიპოქსიის გამოყენებით. ალაბამას შტატში აღსრულებული ამ უპრეცედენტო და კანონით უზრუნველყოფილი ბოროტების მსხვერპლი აღმოჩნდა 58 წლის კენეტ იუჯინ სმიტი, რომელიც გასამართლდა ჯერ კიდევ 1988 წელს ელიზაბეტ სენეტის შეკვეთილი მკვლელობისათვის და 36 წელი ელოდა განაჩენს.***



**დანაშაულის ჩადენისა და დაპატიმრების მომენტში კენეტი სმიტი 22 წლის იყო**



**58 წლის კენეტი სმიტი 36 წლის წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონის სახელით იქნა გაგუდული**

სიკვდილმისჯილ **სმიტს** სპეციალური ნიღაბი მოარგეს და 15 წუთის მანძილზე ასუნთქებდნენ სუფთა აზოტს. პირველი 2 წუთი, „სი-ენ-ენის" ცნობით, იგი სრულ გონებაზე იყო... სასიკვდილო რიტუალის დაწყებამდე **სმიტმა** მიმართა წამების რიტუალზე დამსწრეთ: **„დღეს ალაბამამ აიძულა კაცობრიობა, უკან გადაედგა ნაბიჯი. მე მივდივარ სიყვარულში, მშვიდობასა და სინათლეში!"**

აღსანიშნავია, რომ **სმიტისათვის** გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულება მხოლოდ მეორე ჯერზე მოხერხდა. **2022 წელს მისი ლიკვიდაცია სასიკვდილო ინიექციით სურდათ, მაგრამ ნემსის ვენაში შეყვანა ვერ მოხერხდა. სმიტის** დაცვა თვლიდა, რომ მომხდარის შემდეგ არნახული სისასტიკე იქნებოდა მისი მოკვდინების ახალი მცდელობა, მაგრამ სასამართლომ სიკვდილით დასჯაზე ხელი არ აიღო.

ცხადია, **სმიტი** უცოდველი არ ყოფილა — **1988 წელს მან დანით 8 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა** ვესტსაიდის ეკლესიის პასტორის **ჩარლზ სენეტის** მეუღლეს. გამოძიების ცნობით, **ელიზაბეტ სენეტის** მკვლელობა უშუალოდ ქმრის მიერ იყო შეკვეთილი და გადახდილი 1000 დოლარის საფასურად სასულიერო პირი აპირებდა, დაუფლებოდა სადაზღვევო თანხებს, თუმცა, გამოძიების დაწყებისთანავე თავი მოიკლა.

**სმიტის** სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ 1989 წელს **ნაფიცმა მსაჯულებმა** მოითხოვეს, თუმცა, აპელაციამ განაჩენი შეცვალა და საქმე ხელახალ ძიებაში დაბრუნდა. 1996 წელს **11-მა ნაფიცმა მსაჯულმა** იგი კვლავ დამნაშავედ ცნო და სიკვდილის ნაცვლად მუდმივი პატიმრობა განუჩინა, თუმცა, მოსამართლემ **სმიტის** ცოცხლად დატოვება მიზანშეუწონლად ცნო.

დამნაშავემ სიკვდილმისჯილთა საკანში საერთო ჯამში **30 წელი** გაატარა და გასულ კვირას მისთვის საბედისწერო დღეც დადგა. მოკვდინების მეთოდების შერჩევის პერიოდში ალაბამას შტატის სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ასე აანონსებდა **სმიტისათვის** გათვალისწინებული ექსპერიმენტული გაგუდვის რიტუალს: **„სიკვდილმისჯილს აზოტი 15 წუთის მანძილზე უნდა ასუნთქონ ან 5 წუთი მას შემდეგ, რაც მონიტორზე ელექტროკარდიოგრამის სწორხაზოვანი იმპულსი გამოისახება".** უფრო „ჰუმანური" აღმოჩნდა ალაბამას შტატის გენერალური პროკურატურა, რომლის მტკიცებით, **ჟანგბადის უკმარისობა ცნობიერების მეყსეულ დაკარგვას გამოიწვევს და აზოტის ჰიპოქსია ავარიაში მოხვედრილი ადამიანის სიკვდილს დაემსგავსება — მომენტალურსა და გონებით გაუაზრებელს.**

ადვოკატები იმთავითვე ამახვილებდნენ ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ ჰერმეტული ნიღაბი ცდისპირს ცხვირსა და პირს უფარავს, რაც შეუძლებელს ხდის, მას სიკვდილის წინ ლოცვის სიტყვები აღმოხდეს ან უკანასკნელი სურვილი ამოთქვას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს საოლქო მოსამართლის პოზიცია: **„მართალია, აზოტით მოკვდინება სიკვდილით დასჯის ექსპერიმენტული მეთოდია, მაგრამ თავის დროზე სასიკვდილო ინიექციაც სიახლე იყო".** უფრო მეტიც, მისი სიტყვებით, **„სმიტისათვის არც არის გარანტირებული უმტკივნეულო სიკვდილი და არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ აზოტის ჰიპოქსია მას მაინცა და მაინც დიდ ტკივილს მიაყენებს".**

მართალია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში **რავინა შამდასანიმ** განაცხადა, რომ **„აზოტით მოკვდინება შეიძლება, წამებასაც კი გავუთანაბროთ, რაც ეწინააღმდეგება აშშ-ის ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის კუთხით",** — მისი პროტესტი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.



**მკვლელობის შემკვეთი პასტორი და მისი მეუღლე გვერდიგვერდ განისვენებენ**

ფართომასშტაბიანი პროტესტის მიუხედავად, საოლქო სასამართლოს უმაღლესი იერარქები თვლიდნენ, რომ **„სიკვდილით დასჯის რიტუალი იმ შემთხვევაშიც კი არ შეწყდება, თუკი სმიტს სუფთა აზოტის შესუნთქვისას პირღებინება დაეწყება და ამის აღსაკვეთად მან უმჯობესია, თავისი უკანასკნელი ტრაპეზი შედარებით ადრე ან სულაც წინა დღისათვის გადაიტანოს".**

**ცნობისათვის:** სიკვდილით დასჯა **აზოტის ჰიპოქსიის** გზით ამერიკის სამმა შტატმა — **ალაბამამ, ოკლაჰომამ და მისისიპიმ** — დაუშვა, თუმცა, ალაბამას გარდა ჯერჯერობით სხვაგან არ გამოუყენებიათ.

საკუთრივ აზოტით ადამიანზე ზემოქმედების შესწავლა გაცილებით ადრე დაიწყო. **მართალია, ჰაერი ისედაც შეიცავს 80 პროცენტამდე აზოტს, მაგრამ სუფთა სახით მისი შესუნთქვა, როგორც 60-იან წლებში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, დაახლოებით მე-20 წამზე იწვევს გონების დაკარგვასა და კრუნჩხვებს.**

ამერიკის ვეტერინართა ასოციაციისა და ცხოველთა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით, **„აზოტის ჰიპოქსია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თუნდაც ცხოველების მიმართ განხორციელებული ევთანაზიის დროს, რადგან არც თუ ისე სწრაფმოქმედია, როგორც გვარწმუნებენ. კატები და ძაღლები გრძნობენ მოახლოებულ სიკვდილს გაცილებით ადრე, ვიდრე გონებას დაკარგავენ. აი, ღორის მოსაკვდინებლად კი, სულ მცირე, 7 წუთია საჭირო!"**

**არსებობს კიდევ ერთი ანგარიშგასაწევი მომენტი** — თუ სიკვდილმისჯილი სპეციალური ნიღბით აზოტის მიწოდებისას სუნთქვას შეიკრავს ან ღრმა ჩასუნთქვისაგან თავს შეიკავებს, მოკვდინების პროცესი დროში გაიწელება. ამიტომ, მავანთა მოსაზრებით, **აზოტის ჰიპოქსიას** ისევე, როგორც ამა თუ იმ ინიექციით მოკვდინებას წინ უნდა უსწრებდეს **ანესთეზიის პროცედურა,** მაგრამ არცერთ ფარმაცევტულ კომპანიას არ სურს, გაჟღერდეს სიკვდილის გამომწვევი ნივთიერების დასახელება და შეიბღალოს მისი რეპუტაცია.

**„და მაინც, ამერიკის შეერთებული შტატების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ იქ, ერთი მხრივ, სურთ ადამიანის სიკვდილით დასჯა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ სურთ, რომ ეს პროცესი ბარბაროსულად გამოიყურებოდეს!"** — ეს თავად ამერიკელი იურისტის **რობერტ დანემის** აზრია, რომელიც სასიკვდილო განაჩენების პრობლემების შემსწავლელ საინფორმაციო ცენტრს ხელმძღვანელობს, მაგრამ **სად წაუხვალ სტატის-**

## კვირგვინოსნები



**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*

რაც დრო გადის, ვრწმუნდებით, რომ **აუცილებელია როგორც ამ პოლიტიკური რეჟიმის — ნაცმოძრაობის გასამართლება, ასევე 2008 წლის ომის დეტალური გამოძიება** — დადგა დრო, რომ ყველამ აგოს პასუხი. „ინტერპრესნიუსი"



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის" ერთ-ერთი ლიდერი*

**2008 წლის ომთან დაკავშირებით გამოძიება აუცილებლად ჩასატარებელია** იმიტომ, რომ საზოგადოებამ სიმართლე იცოდეს და, ასევე, **მსგავსი არავინ აღარ გაბედოს საქართველოში.** „აიპრესი"



**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის" წევრი*

**ნაციონალური მოძრაობა** არის პოლიტიკური ძალა, რომელსაც საავტორო უფლებები გააჩნია **ადამიანის წამებაზე, ბიზნესის რეკეტზე, ტელევიზიების მიტაცებაზე, ეკლესიის ნგრევაზე.** „აიპრესი"



**ვლადიმერ ბოჭიაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*

გასაკვირია, რატომ ერქვა ოპოზიციისთვის 2012 წლამდე **ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას ქველმოქმედება და რატომ ეძახიან დღეს იგივე ქველმოქმედებას პოლიტიკურ მიზნებს.** „იმედინიუსი"



**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*

**გვაქვს ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა არჩეული,** მეთოდურად მივყვებით ამ პოლიტიკას და ამ ღირებულებით **საქართველოს უახლოეს მომავალში გავაერთიანებთ.** „რეზონანსი"



**ედუარდ გვენეტაძე**
*ექსპერტი*

აუცილებელია, **საქართველოში ჩატარდეს ნიურნბერგის მსგავსი პროცესი,** რათა ერთხელ და სამუდამოდ აღიგავოს პირისაგან მიწისა ის საშინელება, რასაც **მიშიზმ-ფაშიზმი** ჰქვია. „იმედინიუსი"

# საქართველოში სიკვდილით დასჯის ამკრძალავი ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეს ამერიკაში სიკვდილით დასჯის ახალი მეთოდი გამოიყენეს!



სანოლი, რომელზეც სიკვდილმისჯილი დააბეს და აზოტის ჰიპოქსიით გაგუდეს

ალს ესწრებოდა 1988 წელს მოკლული კენნეტის 2 ვაჟიშვილი, რომელთაც სურდათ იმაში დარწმუნება, რომ დედის მკვლელი ცოცხალი აღარაა.

**კანონი, რომლის ძალითაც ამერიკის შეერთებულ შტატებში აზოტის ჰიპოქსია გახდა ნებადართული, 2018 წელს მიიღეს. მომხრეთა მტკიცებით, ეს სიკვდილით დასჯის ყველაზე ეფექტური და ჰუმანური მეთოდია.**

•

დღეისათვის სიკვდილით დასჯა ნებადართულია **მსოფლიოს 55 ქვეყანაში** და საერთოდ აღარ გამოიყენება **112 სახელმწიფოში.** „ემნესტი ინტერნეშნლ"-ის ცნობით, **ჩინეთის** გამოკლებით, 2022 წელს მსოფლიოში სასჯელის უმაღლესი ზომა გამოყენებულ იქნა 883 შემთხვევაში, ხოლო ევროპის მასშტაბით დაშვებულია მხოლოდ **ბელორუსეთში.** სასიკვდილო განაჩენთა სიაში ლიდერობენ **ჩინეთი, ირანი, საუდის არაბეთი, ერაყი და პაკისტანი. რუსეთში** სიკვდილით დასჯა აკრძალულია **1997 წლის 16 აპრილიდან.** ამავე **წლის 11 ნოემბერს** საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა **ედუარდ შევარდნაძის** ინიციატივას სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

**ტიკას, რომლის მიხედვითაც აშშ-ის 27 შტატში სიკვდილით დასჯა ლეგალურია და მხოლოდ 8 შტატშია გამოცხადებული მასზე სხვადასხვა სახის მორატორიუმი?** ამასთან, 2023 წლის მანძილზე ამერიკაში მართალია, მხოლოდ 24 კაცი მოაკვდინეს, მაგრამ 2300-ზე მეტი ელოდება ფატალური განაჩენის აღსრულებას!

სიკვდილით დასჯის წინ **სმიტი** მოინახულეს ცოლმა, ვაჟიშვილმა, ორმა მეგობარმა და ადვოკატმა. მკვლელის უკანასკნელ მენიუში შედიოდა: სტეიკი, კვერცხი და კარტოფილის ჩხირები, რომელთა მიმართაც იგი გულგრილი დარჩა. ბოლო ზარი **კენეტ სმიტმა** განახორციელა მეუღლის ტელეფონზე. **აზოტის ჰიპოქსიის** რიტუ-



დიანა – სიკვდილით დასჯილი კენეტ სმითის ცოლი

### ბოლოთქმა

ამერიკაში სიკვდილმისჯილის ექსპერიმენტული მეთოდით — **აზოტის ჰიპოქსიით** მოკვდინება მოხდა **2024 წლის 25 იანვარს, ედუარდ შევარდნაძის** დაბადების 99-ე წლისთავზე.

***გიორგი ოქროსცვარიძე***



***გასულ კვირას არასრულწლოვანი შვილის გამათხოვრების ბრალდებით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა 35 წლის ქალბატონს, რომელსაც 15-წლიანი სასჯელი ემუქრება. ამასთან, უცნობია, რა ბედი ელის 17 წლის მოზარდს, რომელიც ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ხატებს, სანთლებს და წვრილმან ნივთებს ყიდდა და დედას ამ გზით მოპოვებულ ფულს გადასცემდა.***

# გაჭირვება, ბაბა!

დაკავებული ქალბატონის უფლებადამცველის თქმით, დედა შვილს მარტო ზრდიდა, ხშირად ქუჩაში მასთან ერთად ვაჭრობდა და ეს იყო მათი ერთადერთი შემოსავალი. **ჩვენ არ ვაპირებთ ამ ფაქტის სამართლებრივ შეფასებას, მუხლებისა და კანონების მორგებას ამ საქმეზე, ვსაუბრობთ უკიდურეს გაჭირვებაზე, შიმშილსა და მძიმე სოციალურ ფონზე, რამაც მარტოხელა დედას შვილი ქუჩაში სამოწყალოდ გააშვებინა.** თუკი, ამ ქალბატონს მრავალწლიან პატიმრობას მიუსჯიან, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი მწარედ არის აცდენილი რეალობას, არ ითვალისწინებს ცხოვრების სიავისაგან გაუბედურებული დედა-შვილის ტრაგედიას და მათ ერთმანეთს აშორებს. ვინ უპატრონებს 17 წლის გოგოს, რომლის დედაც ციხეში უნდა გამოკეტონ? **დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,** რომ მას ხვალ-ზეგ ისევ ქუჩაში წააწყდებით ხატებითა და სანთლებით ხელში, რათა კვლავ მოწყალება გთხოვოთ და პატიმარ დედას საპყრობილეში ლუკმა-პური მიუტანოს. **ეს არის ცხოვრების კანონი და კეთილგონიერ კაცობრიობას მშობლის სიყვარულის, ზნეობისა და მორალის დაგმობის კანონი ჯერ არ შეუქმნია.** ამ დედასა და შვილს შორის შუამდგომებს გაგონილი არ ექნებათ დიდი ფილოსოფოსის ნიკოლოზ ბერდიაევის დედის — **ალინა ბერდიაევას** მიერ საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა — **უცნობი ებრაელი ქალის ნაცვლად გაზის კამერაში შესვლა, ოღონდაც კი ეს ქალი თავის შვილთან არ დაეშორებინათ.**

როცა ვსაუბრობთ თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ მიღწევებზე, ჩვენს ქვეყანაში 35 წლის ქალი დაუსაქმებელი არ უნდა იყოს, ხოლო 17 წლის გოგონა სკოლაში უნდა სწავლობდეს და ქუჩაში არ უნდა უხდებოდეს მოწყალების თხოვნა. **სკოლას მანდატურები მხოლოდ მკაცრი წესრიგისა და კარში საჭვრეტად კი არ უნდა ჰყავდეს, არამედ ბავშვების ყოველდღიური ყოფით უნდა ინტერესდებოდნენ.** ამერიკის სასამართლო ისტორიაში არსებობს ფაქტი, როცა მშიერი ბავშვი პურის მოპარვის გამო დაიჭირეს, თუმცა, იგი მოსამართლემ დარბაზიდან გაათავისუფლა და დამსწრეთ ასეთი სიტყვებით მიმართა: **„პურის ქურდობა სამარცხვინოა, ამაში ჩვენ ყველანი და, მათ შორის მეც, დამნაშავეები ვართ, ამიტომ საკუთარ თავს და დარბაზში მსხდომთ — ყველას 10 დოლარით ვაჯარიმებ. მაღაზია კი დაჯარიმდება ათასი დოლარით მშიერი ბავშვის პოლიციაში გადაცემის გამო".**

ქალაქის გზებსა და გზაჯვარედინებზე ირეკლება ქვეყანაში არსებული უკიდურესი გაჭირვება, მანქანის ფანჯრებში იცქირებიან მშიერი თვალები და მოწყალებას ითხოვენ, მათ შორისაა ის 17 წლის გოგონაც, სხვა მისი თანატოლები თუ მასზე უმცროსებიც... **რატომ არ ინტერესდებიან ქუჩაში ხელგაწვდილი ბავშვების ცხოვრებით, ვისთან მიაქვთ ნაწყალობევი ფული ან სად და როგორ ეძინათ მათ წინა ღამეს?!** ყოფილა შემთხვევები, სახეზე სამედიცინო ნიღაბაფარებული მოზარდები შუქნიშანზე გაჩერებული მანქანების მძღოლებს მოწყალებას კი არ სთხოვდნენ, „დუბინკებით" შეიარაღებულები მუქარით ფულს სძალავდნენ. **რატომ არავინ იკვლევდა, რატომ იყვნენ ეს ბავშვები** აგრერიგ აგრესიულები და გაბოროტებული? ისიც ხომ რეალობაა, რომ მცირეწლოვნებზე ზრუნვის მომიზეზებით ხშირად ხდება გაჭირვებული ოჯახებისათვის ბავშვების ჩამორთმევა და უცნობ დედობილ-მამობილთან მათი გადანაწილება. ისიც ფაქტია, რომ რამდენიმე წლის წინათ მშობლებს მოცილებულმა მოზარდმა თავი მოიკლა...

სოციალურმა სამსახურებმა ძალიან კარგად იციან საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებთა რაოდენობაც და გაჭირვების მიზეზებიც, ზოგი აღარც სოციალურ დახმარებას ითხოვს, რადგან ერთხელ მიღებული უარის შემდეგ გადარჩენის სხვა გზას მიაგნო და ამასწინათ დატუსაღებული 35 წლის მარტოხელა დედის მსგავსად, შვილთან ერთად წვრილმანებით ვაჭრობს ან მოწყალებას ითხოვს.

ამ სამიოდე წლის წინათ გავრცელებული სტატისტიკით, 30 ათასამდე ბავშვს საქართველოში არ გააჩნდა წყლითა და საპნით ხელის დაბანის პირობები, კატასტროფულად იყო გაზრდილი არასრულწლოვანთა თვითმკვლელობისა თუ თვითმკვლელობის მცდელობის შემთხვევები... **თუკი ერევიან ბავშვთა და დედათა ცხოვრებაში, მაშინ დახმარებაც გაუწიონ ეკონომიკური ცხოვრების გასაუმჯობესებლად ან ფსიქოლოგიური კუთხით მაინც. ნუთუ მშობლის ციხეში გამომწყვდევა და შვილის ღვთის ანაბარა დატოვება ჰუმანიზმის გამოხატულებაა?**

წლების წინათ, როდესაც მიუსაფარ მოხუცთა სახლ „კათარზისიდან" რეპორტაჟებს ვამზადებდი და მოხუცები თავიანთი შვილების შესახებ მიყვებოდნენ, უყურადღებობით გულდათუთქულ მშობლებსაც კი სიხარულით ენთებოდათ თვალები მათ ხსენებაზე, ცრემლი სდიოდათ და თუკი ვინმე აუგად მოიხსენებდა, რისხვას ვერ მალავდნენ. ამ მშობლებსა და შვილებს თავიანთი მძიმე ცხოვრების საიდუმლო ჰქონდათ, პატივისცემას ითხოვდნენ და არა გაკიცხვას.

**ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოში — ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში — ლუკმა პურისათვის მებრძოლი დედა-შვილი სხვადასხვა ნაპირზე აღმოჩნდა, მათ ერთობას კანონის ცივი და უგრძნობი ხელი შეეხო, ხოლო საზოგადოებამ ვერ იზრუნა მათ დაცვაზე.**

ჯერჯერობით, სიტუაცია ისეთია, როგორც ტრაგიკულ სპექტაკლში, ამ დედა-შვილს შორის სასტიკი სიღარიბის ფარდაა ჩამოშვებული. იქნებ თანაგრძნობამ გაიმარჯვოს და ბრმა კანონებმა გულის კარნახით აღასრულონ მართლმსაჯულება!

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



**ჩემი მთავარი ამოცანა საკუთარ თავზე მეტად, ჩვენი ხალხის დახსნაა** — მსოფლიოში არცერთი ქვეყანა, **რუსეთის გარდა,** არ აღიარებს, რომ მე სისხლის სამართლის დანაშაული ჩავიდინე. „ინტერპრესნიუსი"

**სოფო ჯაფარიძე**
*პატიმარ მიხეილ სააკაშვილის წარმომადგენელი*



**მიხეილ სააკაშვილი** არის ლიდერი, რომლის ერთმა მიმართვამ **შეუძლია, გამოიყვანოს ქვეყანაში ასიათასობით ადამიანი,** მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანას, ისე როგორც არასოდეს, **სჭირდება ხელისუფლების მშვიდად გადაბარება.** „აიპრესი"

**თენგიზ წულაძე**
*სახალხო დამცველთან არსებული კონსილიუმის წევრი, ექიმი*



**მიხეილ სააკაშვილის** სომატური მდგომარეობა გაუმჯობესებულია, **სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება,** მაგრამ მკურნალობა უნდა გაგრძელდეს — **მნიშვნელოვანია ფსიქიატრის ჩარევა, გამოხატულია შფოთვა და დეპრესია.** „ინტერპრესნიუსი"

**ბაჩო ლოლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი*



ნაციონალური მოძრაობის ახალი მენეჯმენტი **სააკაშვილის უპირობო გათავისუფლების ლოზუნგით მოვიდა, სპეცრაზმით ათავისუფლებდნენ.** როდესაც ასეთ დაპირებას გასცემ, კითხვებიც ჩნდება. „პირველი არხი"

**პეტრე ცისკარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი*



**ბიძინა ივანიშვილმა** გამოიჩინოს გამბედაობა, **მიხეილ სააკაშვილი გამოუშვას ციხიდან** და არჩევნებზე ხალხმა გადაწყვიტოს, ვის ანდობს ქვეყანას. „პირველი არხი"



# ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ – 1918 ᲬᲔᲚᲡ, ᲮᲔᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲒᲝᲛᲐᲛᲓᲔ, ᲗᲣ ᲮᲔᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲩᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ?

*ძველი და ახალი სტილების საბედისწერო **13-დღიანმა აცდენამ** ჩვენს ყოველდღიურობაში აურაცხელი პარადოქსი შვა: დიდი **ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ** სოციალისტური რევოლუცია **(ამჟამად ოქტომბრის გადატრიალება. რედ.),** მართალია, **ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ** მოხდა, მაგრამ **ნოემბერში** აღნიშნავდნენ და ბავშვებს ლექსად გამოთქმულ გაუგონარ სისულელესაც აზეპირებინებდნენ: **„ოქტომბრის დილა გათენდა, დღეს შვიდი ნოემბერია!“***

უფრო მეტიც, **ᲘᲚᲘᲐ ᲰᲐᲕᲰᲐᲕᲐᲫᲘᲡ** მკვლელობის დღე — **1907 წლის 30 აგვისტო** ახალი სტილით **1907 წლის 12 სექტემბრად** გადაკეთდა და კითხვაზე — **ილია ზაფხულში მოკლეს თუ შემოდგომაზე?** — ბავშვს არასწორი და ფრიად აბსურდული პასუხი უნდა გაეცა, რომლის მიხედვითაც ილია **შემოდგომაზე** მოკლულად იქნებოდა გამოცხადებული! არადა, **ზაფხულის ბოლოსწინა დღეს, 30 აგვისტოს,** წიწამურთან მომხდარ ტრაგედიის მეორე დღესვე, **1907 წლის 31 აგვისტოს, ანუ ზაფხულის ბოლო დღეს,** გაზეთი „ისარი“ გამოეხმაურა: **„საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე“...**

დიახ! ეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც **ᲘᲚᲘᲐ ᲰᲐᲕᲰᲐᲕᲐᲫᲔ** სწორედაც რომ **ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ** მოკლეს და არა **ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ (როგორც ეს უამრავ საცნობარო ლიტერატურაშია მითითებული)** ერთადერთი უტყუარი დოკუმენტია რეალური სურათისა და განწყობის გადმოსაცემად, რომელიც იმ კონკრეტულ დღეს **ავბედით 30 აგვისტოს (და არა 12 სექტემბერს)** სუფევდა. **1907 წლის 12 სექტემბერს (ანუ უკვე შემოდგომაზე) ᲘᲚᲘᲐ ᲰᲐᲕᲰᲐᲕᲐᲫᲔ** უკვე სამი დღის დასაფლავებული იყო მთაწმინდაზე (!)

ამდენად, კითხვაზე — **ილია ჭავჭავაძე ზაფხულში მოკლეს თუ შემოდგომაზე?** — არსებობს ერთადერთი სწორი პასუხი: **ილია ჭავჭავაძე მოკლეს 1907 წლის 30 აგვისტოს** (ზაფხულში) **და დაკრძალეს 1907 წლის 9 სექტემბერს** (შემოდგომაზე), ხოლო ილიას მკვლელობის თარიღად **1907 წლის 12 სექტემბრის** გამოცხადება მეკალენდრე-მწიგნობართა საყოველთაო ინერციის ნაყოფია. ამავე ლოგიკით, სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ (იგივე თბილისის ქართული უნივერსიტეტის)** დაარსების თარიღად **1918 წლის 8 თებერვლის** გამოცხადება, რადგან სინამდვილეში ცნობა ამ ფრიად ღირსსახსოვარი თარიღის შესახებ **1918 წლის 26 იანვრის** პრესაშია დაბეჭდილი. **მართალია, 26 იანვარი ახალი სტილით 8 თებერვალია,** მაგრამ რეალურად ეს ამბავი **იანვარში** მოხდა და არავითარ შემთხვევაში — **თებერვალში,** როცა იგივე ძველი და ახალი სტილების აღრევის შედეგად ავტომატურად იქნა გადმოკალენდრებული **დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეც!** არადა, ისტორიული ფაქტია: **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲤᲔ 1125 წლის 24 იანვარს** მიიცვალა. დიახ — **ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ** და არამც და არამც **ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ!**

წინამდებარე წერილში ჩვენ შეგნებულად არ ვამახვილებთ ყურადღებას **იულიუსის კალენდრის ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲠᲘᲗ** ჩანაცვლების ასპექტებზე ჯერ კიდევ 1582 წელს რომის პაპ **ᲒᲠᲘᲒᲝᲚ XIII**-ის მიერ, არც ასტრონომიული აუცილებლობით გამოწვეული რეფორმის ნიუანსებს განვიხილავთ, არც **ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ** მიერ **1918 წლის 26 იანვარს** ხელმოწერილ **დეკრეტს** გამოვედევნებით, რომლის მიხედვითაც **1918**



ისარი

საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე

„ისარი“ 31 აგვისტო 1907 წ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲘᲡᲐᲠᲘ“, 1907 ᲬᲚᲘᲡ 31 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ**



26 იანვარი (8 თებერვალი ახ.სტ.) – ხსენება წმ. მეფე დავით IV აღმაშენებლისა (+1125)

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატია განხილვა შემოწმებული სტატია რედაქტირება

მასალა ვიკიპედიიდან — თავისუფალი ენციკლოპედია

„თსუ“ ამ გვერდზე გადმოდის. სხვა მნიშვნელობებისთვის იხილეთ თსუ (მრავალმნიშვნელოვანი).

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** (თსუ) — საქართველოს უძველესი და უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი. დაარსდა 1918 წლის 8 თებერვალს [ძვ. სტ. 26 იანვარს], დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისში, ძველი გიმნაზიის შენობაში. ამავე წლის 3 სექტემბერს ეწოდა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი იყო იმ დროს მთელ კავკასიაში.

Декретъ о введеніи въ Россійской республикѣ западно-европейскаго календаря.

Въ цѣляхъ установленія въ Россіи одинаковаго почти со всѣми культурными народами исчисленія времени, Совѣтъ Народныхъ Комиссаровъ постановляетъ ввести по истеченіи января мѣсяца сего года въ гражданскій обиходъ новый календарь. Въ силу этого:

1) Первый день послѣ 31 января сего года считать не 1-мъ февраля, а 14-мъ февраля, второй день—считать 15-мъ и т. д.

10) До 1 іюля сего года писать, послѣ числа каждаго дня по новому календарю, въ скобкахъ число по до сихъ поръ дѣйствовавшему календарю.

Предсѣдатель Совѣта Народныхъ Комиссаровъ В. Ульяновъ (Ленинъ).

Помощникъ Нар. Комис. по Иностраннымъ Дѣламъ Чичеринъ.

Народные Комиссары: Шляпниковъ, Петровскій, Амосовъ, Оболенскій.

Секретарь Сов. Нар. Комис. Горбуновъ.

**ლენინის 1918 წლის 26 იანვრის ე.წ. დეკრეტი რუსეთის ფედერაციის დასავლეთ-ევროპულ კალენდარზე გადასვლასთან დაკავშირებით**

**წლის 14 თებერვლიდან რუსეთის ფედერაცია დასავლეთ-ევროპულ კალენდარზე გადავიდა** და ამ დღიდან ყველა დოკუმენტი თუ მოვლენა, რომელიც **1918 წლის 1 თებერვლამდე** პერიოდს ეხება, **იულიუსის კალენდრით („ძველი სტილი)** თარიღდება, ხოლო **1918 წლის 1 თებერვლიდან** — **გრიგორიანული კალენდრით („ახალი სტილი“).**

იმ ფაქტმა, რომ ე.წ. **ლენინური დეკრეტის** მიღებისას, იულიუსისა და გრიგორიანული კალენდრების სხვაობა **13 დღეს** შეადგენდა, განაპირობა ფრიად სახამუშო და ძნელად აღსაქმელი რეალობა: **1918 წლის 31 იანვრის შემდეგ 1 თებერვლის ნაცვლად, მოსახლეობას ერთბაშად 14 თებერვალი გაუთენეს!**

ასე იქცა 25 დეკემბერი 7 იანვრად **(თუმცა, დეკემბერს შერჩა ძველქართული დასახელება ქრისტეშობისთვე)**, ხოლო ერის ისტორიული მეხსიერებიდან დღემდე არ ამოდის ფასდაუდებელი წყობილსიტყვაობა — **„ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო“;** ასე გამოცხად-

და ილიას მკვლელობის დღე — **30 აგვისტო 12 სექტემბრად...** ასე იქცნენ **18-19 იანვრის შემდეგ დაბადებულები** თებერვალში დაბადებულებად, **18-19 თებერვლის შემდეგ დაბადებულები** — მარტში დაბადებულებად და ა.შ. მართლაც როგორია — კაცი აპრილის მიწურულს გაჩნდე და გიმტკიცონ — გინდა თუ არა, მაისში მოევლინე ქვეყნიერებასო!

თქვენ წინაშეა **გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 26 იანვრისა და 27 იანვრის** ნომრები. აღნიშნული გამოცემა იმ **თბილისის უნივერსიტეტის** გახსნას გვაუწყებს, რომლის დაარსების თარიღად ახალ ჟამთაღრიცხვას აყოლილი უნებლიე მეკალენდრენი **8 თებერვალს** აცხადებენ და აღნიშნავენ კიდეც! არადა, ამ უბრწყინვალეს დღეს თბილისში **იანვარი** იდგა, ამ ამბის ამსახველი გაზეთიც **იანვრით** იყო დათარიღებული... რაღა მაინცა და მაინც უნივერსიტეტის დაარსების დღეს მოაწერა **სულძაღლმა ულიანოვმა** ხელი იმ ავადსახსენებელ დეკრეტს, რომლის ძალითაც **ძველი და ახალი სტილების** არსებობას მიეცა სტარტი პოსტრუსული იმპერიის ფარგლებში?!

დიახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი **1918 წლის 26 იანვარს** დაარსდა, დაარსდა იმ **დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს,** რომელიც ამ დღიდან **793 წლით ადრე,** ასევე **იანვრის თვეში** მიიცვალა, ძველქართულად **აპნისად** რომ იწოდების!

# პრესამ შემოინახა


პარასკევი, 1918 წ. იანვარი 26 (8 » 21

საქართველო

ქართული უნივერსიტეტის გახსნა. დღეს, იანვრის 26 ქართული გიმნაზიის შენობაში (წყნეთის ქ. № 51) გაიხსნება ქართული უნივერსიტეტი. წინაიდგან დღეს დავით აღმაშენებლის დღეობა არის და გიმნაზიის ეკლესიაც მის სახელობაზეა აგებული, ამისთვის ეკლესიაში საკათალიკოსო წირვა იქნება შესრულებული და ეკლესიაშივე გადახდილ იქნება პარაკლისი. უნივერსიტეტი გაიხსნება პირველ საათზედ უნივერსიტეტის დარბაზში შემდეგი წესით: უნივერსიტეტს გახსნილად გამოაცხადებს ქართულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ა. ჩხენკელი; შემდეგ სიტყვებს წარმოსთქვამენ — 1) უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, 2) უნივერსიტეტის რექტორი და 3) სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი. მიწვეულნი არიან სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

ხიონისტების გამარჯვება ებრაელთა არჩევნებში. გუშინ გამოირკვა

გაზეთი „საქართველო“, პარასკევი, 1918 წლის 26 იანვარი


შაბათი, 1918 წ. იანვარი 27 (9 » 22

საქართველო

ქრონიკა

თბილისი.

უნივერსიტეტის გახსნა. გუშინ შუადღის 1 საათზე გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.

აკაკი წერეთლის გარდაცვალების 3 წლის თავი. იანვრის 26-ს შეს-

გაზეთი „საქართველო“, შაბათი, 1918 წლის 27 იანვარი

1918 год

| | ЯНВАРЬ | | | | | ФЕВРАЛЬ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ПОНЕДЕЛЬНИК | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | | 18 | 25 |
| ВТОРНИК | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | | 19 | 26 |
| СРЕДА | 3 | 10 | 17 | 24 | 31 | | 20 | 27 |
| ЧЕТВЕРГ | 4 | 11 | 18 | 25 | | 14 | 21 | 28 |
| ПЯТНИЦА | 5 | 12 | 19 | 26 | | 15 | 22 | |
| СУББОТА | 6 | 13 | 20 | 27 | | 16 | 23 | |
| ВОСКРЕСЕНЬЕ | 7 | 14 | 21 | 28 | | 17 | 24 | |

**ასე რომ,**

პასუხი კითხვაზე — **თბილისის უნივერსიტეტი 1918 წელს, ხეში წყლის ჩადგომამდე, დაარსდა თუ ხეში წყლის ჩადგომის შემდეგ?** — პასუხი ერთადერთია: თბილისის უნივერსიტეტი **1918 წლის 26 იანვარს** დაარსდა, **თებერვლის დადგომამდე, როცა ხეში წყალი ჯერ კიდევ არ იყო ჩამდგარი!**

*ლაშა თაქთაქიშვილი*

# სოზარ სუბარი: ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ აუცილებლად უნდა შედგეს, სხვანაირად ამ ქვეყანას მოსვენება არ უწერია!



***მოძრაობა „ხალხის ძალის“ წარმომადგენლები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებაზე, ქართული „ნიურნბერგის პროცესისა“ და სააკაშვილის რეჟიმის სისტემური გასამართლების აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ! დაგვიანებული ხომ არ არის და რამდენად შესაძლებელია იმის გაკეთება ახლა, რასაც ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი ხელისუფლებისაგან ჯერ კიდევ 12 წლის წინათ ითხოვდა? ამ თემაზე „ხალხის ძალის“ ერთ-ერთ ლიდერს, პარლამენტის წევრ სოზარ სუბარს ვესაუბრებით:***

— წარსულს სწორი და ზუსტი შეფასება თუ არ მივეცით, ნორმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძალიან გაძნელდება. მითუმეტეს, ნაციონალური მოძრაობა არსად გამქრალა და როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს ანგრევდა სახელმწიფოს, სჩადიოდა სამშობლოს ღალატს და ასრულებდა უცხო ქვეყნების დაკვეთებს, დღესაც იმავეს აგრძელებს იმ ფარგლებში, რისი შესაძლებლობაც შერჩა. სწორედ ამის გამოა აუცილებელი, შედგეს **ქართული „ნიურნბერგის პროცესი“** და სააკაშვილის რეჟიმის ნამოქმედარს მიეცეს როგორც პოლიტიკური, ისე სამართლებრივი შეფასება.

რა თქმა უნდა, ჯობდა, ეს უფრო ადრე მომხდარიყო, თუმცა, ბევრი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა.

**— მაინც რა მიზეზებმა შეუშალა ხელი „ქართულ ოცნებას“, თუნდაც იგივე 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებული საკითხები ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოეძიებინა?**

— ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ 2008 წლის ომთან დაკავშირებით საქართველოს საერთაშორისო სასამართლოებში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელები ჰქონდა შეტანილი, ასეთ დროს კი ომში საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე თუ დავიწყებდით საუბარს, შეიძლებოდა, საერთაშორისო დონეზე რუსეთთან სასამართლო დავები ვერ მოგვეგო და ქართული სახელმწიფოს ინტერესები დაგვეზიანებინა.

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ საქართველო არ არის ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია, საერთაშორისო ზეწოლას ყურადღება არ მიაქციოს და ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც თავად თვლის საჭიროდ.

**— კი მაგრამ, დღეს რა შეიცვალა — ქართული სახელმწიფო ისე გაძლიერდა, რომ საერთაშორისო წნეხთან გამკლავება შეუძლია?**

— დღეს საქართველო სუვერენიტეტის გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას! როცა „ხალხის ძალა“ ჩამოვაყალიბეთ, ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, რომ საქართველოს **სუვერენიტეტისათვის** უნდა გვებრძოლა, რამაც კოლექტიურ ნაცმოძრაობაში შოკი გამოიწვია. მათი რიგებიდან პარლამენტის წევრი არ დარჩა, რომელმაც არ განაცხადა, რომ ჩემ მიერ სუვერენიტეტის ხსენება, თურმე, პუტინიზმის გამოხატულებაა, რადგან პუტინი ხმარობს ტერმინს — **„სუვერენული დემოკრატია“**... ჟურნალისტები პარლამენტის დერეფნებში ცოფიანებივით დამდევდნენ და მეკითხებოდნენ — სიტყვა **„სუვერენიტეტი“** პუტინისაგან ხომ არ გადმოიღეთო? კითხვაზე კითხვითვე ვპასუხობდი — რადგან პუტინი **„სუვერენულ დემოკრატიას“** ახსენებს, **„სუვერენიტეტთან“** ერთად სიტყვა **„დემოკრატიაც“** ხომ არ ამოვიღოთ ხმარებიდან-მეთქი?

საბოლოო ჯამში, ყინულის გარღვევა შევძელით და მივაღწიეთ რეალობას, როცა ქართულ სახელმწიფოს ძალუძს, თავისი სუვერენული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს. შესაბამისად, იმის დროც დადგა, სააკაშვილის რეჟიმის ქმედებებს, მათ შორის, 2008 წლის ომის დროს ჩადენილ დანაშაულებს, პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მივცეთ.

სხვათაშორის, კარგი მაგალითი მოგვცეს იმ ქვეყნებმა, რომლებსაც, თურმე, ჩვენზე მეტი დემოკრატია აქვთ და ჩვენზე ადრე მიიღეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

**— რას გულისხმობთ?**

— მოლდოვის ხელისუფლებამ ოპოზიციური პარტია **„შორი“** პრორუსულ ძალად გამოაცხადა და პოლიტიკური საქმიანობა აუკრძალა, არადა, ამ პარტიას რუსეთის წისქვილზე წყალი ისე ძლიერად ნამდვილად არ დაუსხამს, როგორც ამას სააკაშვილი და ნაცმოძრაობა აკეთებდნენ წლების განმავლობაში. ბოლოს და ბოლოს, პარტია „შორის“ გამო მოლდოვას ტერიტორიების 20 პროცენტი არ დაუკარგავს.

## „ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ ნაციონალური მოძრაობის აკრძალვასა და სააკაშვილის რეჟიმის სისტემურ გასამართლებას გულისხმობს!“

**— 2008 წლის ომთან დაკავშირებით კონკრეტულად რა უნდა იყოს გამოძიების საგანი და სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი რა სახის დანაშაულები შეიძლება, გამოიკვეთოს?**

— 2006 წელს სააკაშვილმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მიერ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დე ფაქტო აღადგინა და მას მცხეთა-მთიანეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ახალგორის რაიონიც შეუერთა, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა სამშობლოს ღალატი. როგორც საბოლოოდ გაირკვა, ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ნაცმოძრაობის მიერ არალეგიტიმურად ჩატარებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის არჩევნებიც იმას ემსახურებოდა, რომ რუსეთისათვის საოკუპაციო საზღვრები რაც შეიძლება მეტად გაეფართოებინა.

**— კოდორის ხეობისათვის „ზემო აფხაზეთის“ დარქმევაც ამ გეგმის ნაწილი ხომ არ იყო?**

— აფხაზეთში ომის დამთავრების შემდეგ, 1994 წლის დასაწყისში, საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა ე.წ. **მოსკოვის ხელშეკრულება,** რომლითაც განისაზღვრა, თუ რა რაოდენობის სამხედრო კონტინგენტის შეყვანა და რა ტიპის იარაღის შეტანა შეეძლო საქართველოს ხელისუფლებას კოდორის ხეობაში. 2006 წელს, როცა სააკაშვილმა კოდორში ჯარი შეიყვანა, პირველ რიგში, დაერია კოდორის გმირ დამცველებს, რომლებიც ხეობას 1993 წლიდან იცავდნენ და იქ საქართველოს იურისდიქციას ინარჩუნებდნენ. ბევრი მათგანი დააპატიმრეს და ზოგი ციხიდან ცოცხალი ვეღარ გამოვიდა. ნაწილი იძულებული გახადეს, ხეობიდან გაქცეულიყო. განსაკუთრებით სასტიკად მოექცნენ იმ ადამიანებს, რომლებიც, თავის დროზე, კოდორის ხეობის დაცვას ხელმძღვანელობდნენ — **ემზარ კვიციანი** და მისი დისშვილი **ბაჩუკი არღვლიანი** იძულებული გახადეს, სამშობლოდან გაქცეულიყვნენ, ხოლო ემზარის და — **ნორა კვიციანი** გამოგონილი ბრალდებით გამოკეტეს ციხეში.

ამის შემდეგ სააკაშვილმა კოდორის ხეობაში შეიყვანა იმ რაოდენობის ჯარი და შეიტანა იმ ტიპის შეიარაღება, რაც 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულებით აკრძალული იყო. 2006 წლის ოქტომბერში გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №1716, რომელშიც პირდაპირ ეწერა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია მოსკოვის ხელშეკრულება. სააკაშვილს არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ საერთაშორისო პარტნიორების მობილიზებით ხელი შეეშალა ამ რეზოლუციის მიღებისათვის. შედეგად, სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებამ რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა იმის გასაკეთებლად, რაც კოდორის ხეობაში ორი წლის შემდეგ — 2008 წლის აგვისტოში გააკეთა.

კოდორის ხეობისათვის **„ზემო აფხაზეთის“** დარქმევაც სიმბოლური აქტი იყო, რომლითაც სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსეთს უთხრა — ეს ტერიტორიაც წაიღეო!

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი და მისი გუნდი ამ ყველაფერს სიბრიყვით აკეთებდნენ თუ სამშობლოს ღალატს გამიზნულად სჩადიოდნენ?**

— 2006 წელს **ემზარ კვიციანი** დაბეჯითებით მეუბნებოდა — სააკაშვილს კოდორის ხეობის რუსეთისათვის ჩაბარება აქვს ჩაფიქრებულიო, მაგრამ კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი. გახსოვთ, როგორც სახალხო დამცველი, სააკაშვილის ხელისუფლებას მწვავედ ვაკრიტიკებდი, მაგრამ მაინც ვერ წარმომედგინა, სამშობლოს ღალატს თუ ჩაიდენდნენ. სამწუხაროდ, **ემზარ კვიციანი** ასი პროცენტით მართალი აღმოჩნდა და უამრავი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილი სამშობლოს ღალატს გამიზნულად სჩადიოდა.

**— შეგიძლიათ, კონკრეტული ფაქტები დაასახელოთ?**

— 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, 2 ოქტომბერს, ნაციონალური მოძრაობის ხუთმა დეპუტატმა ხელი მოაწერა ევროსაბჭოს რეზოლუციას, რომელშიც ეწერა, რომ ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები საქართველომ დაიწყო, ქართველმა ჯარისკაცებმა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი დაარღვიეს და გამოიყენეს აკრძალული იარაღი, მათ შორის, კასეტური ბომბები... სამაგიეროდ, ნაცმოძრაობის მიერ ხელმოწერილ ევროსაბჭოს რეზოლუციაში არაფერი ეწერა იმის შესახებ, რომ აკრძალული იარაღი, რეალურად, რუსეთის მიერ იქნა გამოყენებული. უფრო მეტიც, სააკაშვილის ხელისუფლებამ გააქრო ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც რუსეთის მიერ საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული იარაღის გამოყენებას ცხადყოფდა.

**— როგორ თუ გაქრო?**



ნიურნბერგის პროცესი – ნაცისტი დამნაშავეების გასამართლება. 1945 წლის 20 ნოემბერი – 1946 წლის 1 ოქტომბერი

## „უნდა დაიწყოს კოლექტიური ნაცმოძრაობის გასამართლების მასშტაბური პროცესი, რომლის ერთ-ერთი ნაწილიც იქნება სამშობლოს ღალატისა და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპანტისათვის ჩაბარების გამოძიება!“

# „უამრავი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ სააკაშვილი სამშობლოს ღალატს გამიზნულად სჩადიოდა!“



პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში – მიხეილ სააკაშვილის გასამართლება. 2021 წელი

— საუბარია ბალისტიკური რაკეტა **„ისკანდერის“** ფრაგმენტზე, რომელიც აგვისტოს ომის დროს გორში იქნა აღმოჩენილი. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ, როცა სტრასბურგის სასამართლოში ვამტკიცებდით, რომ რუსეთი საქართველოში არამხოლოდ შემოიჭრა, არამედ აკრძალული იარაღიც გამოიყენა, რუსული მხარის წარმომადგენლები დაგვცინოდნენ, რადგან ხელში არავითარი ნივთმტკიცება არ გვეჭირა იმ ფოტოს გარდა, რომელზეც გორისთვის ნასროლი „ისკანდერის“ ფრაგმენტი იყო აღბეჭდილი. ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ საგულდაგულოდ გადამალული ნივთმტკიცება გვეპოვა და როცა სტრასბურგის სასამართლოს დარბაზში რაკეტის ნარჩენები შევიტანეთ, რუსეთის წარმომადგენლები შოკში ჩავარდნენ.

საერთოდ, როგორც სტრასბურგში, ისე ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში ჩვენთვის ძალიან რთული იყო 2008 წლის ომთან დაკავშირებული დავების მოგება, რადგან ნაციონალური მოძრაობის მიერ საქართველოს წინააღმდეგ შექმნილი მტკიცებულებების გაბათილება გვიხდებოდა, მაგრამ მაინც წარმატებით გავართვით თავი და უმნიშვნელოვანესი სასამართლო პროცესები მოვიგეთ.

**— კიდევ რა დანაშაულები ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს?**

— სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი კიდევ ერთი უმძიმესი დანაშაულია ის, რომ **კონფლიქტის ზონიდან მშვიდობიანი მოსახლეობა არ გამოიყვანეს.** მეტიც, როცა კოდორის ხეობიდან ჯარი გაჰყავდათ, მოსახლეობას არწმუნებდნენ — ადგილზე დარჩით, არაფერი გემუქრებათო! მაშინ ერთ-ერთი ვიყავი, ვინც კოდორის მცხოვრებლებს აქტიურად ვურეკავდი და ვარწმუნებდი, რომ ხეობაში დარჩენა ძალიან საშიში იყო, რადგან რუსული ჯარი აუცილებლად შევიდოდა იქ. კიდევ კარგი, მოსახლეობამ დაგვიჯერა, თორემ მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა.

ხელისუფლებამ ხალხი მიატოვა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში, ფრონეს ხეობაში, ახალგორში... არც კი გააფრთხილეს, რომ საფრთხე ემუქრებოდათ, საწვავიც კი არ მისცეს, რომ თავიანთი ტრანსპორტით მაინც გამოსულიყვნენ. ბოლოს მოსახლეობამ თავისით დაიწყო გამოსვლა, მაგრამ ბევრმა ვერც გამოაღწია. მინიმუმ, 70 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა იმის გამო, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საომარი ზონიდან მოსახლეობის ევაკუაცია არ მოახდინა და ადგილობრივები რეალური საფრთხის შესახებ არ გააფრთხილა.

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის ხელისუფლებამ ესეც შეგნებულად გააკეთა, რათა მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი რაც შეიძლება დიდი ყოფილიყო?**

— 2008 წელს სააკაშვილის მთავარი ამოცანა იყო, მსოფლიოსათვის ეჩვენებინა რუსეთის, როგორც აგრესორის, სახე. ასე სჭირდებოდათ მის დამკვეთებსა და პატრონებს, რადგან მაშინ ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებში **მაკკეინი** იყრიდა კენჭს.

**— ე.ი. საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უნდა დაიწყოს გამოძიება სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილი ომის დანაშაულებთან და სამშობლოს ღალატთან დაკავშირებით?**

— **უნდა დაიწყოს კოლექტიური ნაცმოძრაობის გასამართლების მასშტაბური პროცესი, რომლის ერთ-ერთი ნაწილიც იქნება სამშობლოს ღალატისა და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპანტისათვის ჩაბარების გამოძიება.**

არც ის იყო შემთხვევითი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს პარლამენტში შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლითაც დაიწყო კოდექსიდან სამშობლოს ღალატის მუხლის ამოღების პროცედურა. მისი ბოლომდე მიყვანა ომამდე ვერ მოასწრეს, მაგრამ ომიდან ერთ თვეში **სამშობლოს ღალატის მუხლი** მაინც გააუქმეს, რაც ირიბი მტკიცებულებაა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება **სამშობლოს ღალატს** წინასწარი განზრახვით სჩადიოდა.

აუცილებელია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აღდგეს მუხლი ზუსტად ასეთი ფორმულირებით: **„სამშობლოს ღალატი“.**

**— გარდა ომის დანაშაულებისა, სააკაშვილის ხელისუფლების კიდევ რომელი ქმედებები უნდა გახდეს გამოძიებისა და ქართულ „ნიურნბერგის პროცესზე“ განსჯის საგანი?**

— გამოძიებული უნდა იქნას სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი სისტემური დანაშაულები, მათ შორის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2023 წელს ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა გლდანის ციხის ყოფილი პატიმრის **აკაკი ოჩიგავას** საქმეზე, სადაც პირდაპირ ითქვა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა სისტემურ და სისტემატურ წამებას. სტრასბურგის სასამართლოს სწორედ ეს ფორმულირება — **„სისტემური და სისტემატური წამება“** — გახლავთ საფუძველი, რომ არამხოლოდ ციხის ცალკეული ჯალათები, არამედ მთლიანად სააკაშვილის რეჟიმი გასამართლდეს!

**— კონკრეტულად მაინც როგორი სახე უნდა ჰქონდეს ქართულ „ნიურნბერგის პროცესს“ და როგორ წარმოგიდგენიათ მისი განაჩენების რეალური აღსრულება?**

— ეს პროცესი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ნაციონალური მოძრაობის აკრძალვას გულისხმობს, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით, კონკრეტულ დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემას. **ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ აუცილებლად უნდა შედგეს, სხვანაირად ამ ქვეყანას მოსვენება არ უწერია.** ქართულ პოლიტიკაში აგენტოკრატიასა და აგენტების თარეშს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი.

**— თუმცა, უცხოელი აგენტების რეგისტრაციის კანონის მიღება ვერ მოახერხეთ...**

— როცა ვამბობთ, რომ კოლექტიური ნაცმოძრაობა აგენტების ბანდაა და უცხო ქვეყნების ინტერესებით მოქმედებს, ეს ძალიან ბევრ რამეში ჩანს. უკრაინაში ომის დაწყების დღიდან დღემდე არ განელებულა მათი ბრძოლა, რომელიც საქართველოს ომში ჩათრევას ისახავს მიზნად და ამის უამრავი მტკიცებულება არსებობს თუნდაც კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა საჯარო განცხადებების სახით.

გაიხსენეთ, რამხელა ზეწოლა და პროპაგანდისტული შტურმი იყო ხელისუფლებაზე, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს შეერთებოდა... იყო პირდაპირი ბრალდებები, თითქოს საქართველოს სანქციების გვერდის ავლისთვის იყენებდნენ, მაგრამ ორი წლის განმავლობაში ამის დამადასტურებელი ერთი ფაქტიც კი არ არსებობს. სამაგიეროდ, აღმოჩნდა, რომ რაკეტებსა და ტანკებში გამოსაყენებელი ჩიპების 70 პროცენტი რუსეთში ევროპიდან და ამერიკიდან შედის, ჩვენ კი ატამს თუ არ შევიტანდით რუსეთის ბაზარზე, თურმე, ამით ჩამოვაქცევდით რუსულ ეკონომიკას.

**— უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ თქვენ აქტიურად საუბრობდით იმ დიდ წნეხზე, რომელსაც ე.წ. დასავლელი პარტნიორები საქართველოს ხელისუფლებაზე რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნის მიზნით ახორციელებდნენ. დღეს რა ვითარებაა ამ მხრივ?**

— უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ელჩები და ჩამოსული მაღალი რანგის სტუმრები საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებთან კაბინეტებში შედიოდნენ და კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ საქართველოს რუსეთთან ომი დაეწყო. პირდაპირ ეუბნებოდნენ — **„აბა, რისთვის გეხმარებით და არმია რისთვის აგაშენებინეთ? თქვენი ჯარი დღეს გაცილებით ძლიერია, ვიდრე 2008 წელს იყო და რუსეთთან ომი შეგიძლიათ, რუსეთი მარცხდება და ამაში თქვენი წვლილი უნდა შეიტანოთო!“**

პარალელურად მიდიოდა საზოგადოებრივი აზრის დამუშავება, რომ თითქოს საქართველო ოკუპანტის მხარეს დგას, მოძმე უკრაინას არ ეხმარება და ასე შემდეგ... სწორედ ეს პროპაგანდა უნდა გადაგვეტეხა, რისთვისაც ხალხის სწორი ინფორმირება იყო საჭირო. ამიტომაც გამოვედით „ქართული ოცნებიდან“, შევქმენით **„ხალხის ძალა“** და ამაყები ვართ, რომ ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო — **ჩვენ, ხელისუფლებასთან ერთად, მშვიდობა შევინარჩუნეთ და ქვეყანა დაღუპვას გადავარჩინეთ.** თუმცა, ყველაფერი ჯერ არ დამთავრებულა, გლობალური ომის პარტია კიდევ არაერთხელ ეცდება საქართველოს გამოყენებას თავისი ავი მიზნებისათვის და ამის შესახებაც ვეტყვით სიმართლეს ქართველ ხალხს.



ნიურნბერგის პროცესი – ნაცისტი დამნაშავეების გასამართლება. 1945 წლის 20 ნოემბერი – 1946 წლის 1 ოქტომბერი

„აუცილებელია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში აღდგეს მუხლი ზუსტად ასეთი ფორმულირებით:

## «სამშობლოს ღალატი!»

*ესაუბრა*
***გიორგი ძაძამია***

# ქართული ფეხბურთის «ოქროს აკვანი» საფრთხეშია!

***არც ისე შორეულ წარსულში ევროპული ფეხბურთის ნამდვილი გრანდის, დღეს კი გასაცოდავებული და გამაჩანჩალებული თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა, ბიზნესმენმა რომან ფიფიამ, როგორც ჩანს, გუნდის კრიზისიდან გამოყვანის გზებზე ტვინი დიდხანს იჭყლიტა და ბოლოს გენიალური გამოსავალი მოიფიქრა: თბილისში, დიღმის მასივში, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის ქუჩაზე მდებარე „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა, რომელიც ასევე ლეგენდარული ფეხბურთელისა და მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას სახელს ატარებს, უნდა დაანგრიოს!***







*ჰო, არაფერი მოგესმათ და მოგეჩვენათ — **თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი** აცხადებს, რომ კლუბის განვითარებისათვის საჭიროა, საწვრთნელი ბაზა სხვა ადგილას აშენდეს და „დინამოს“ ბავშვთა აკადემიასთან ერთად ერთ სივრცეში განთავსდეს, ხოლო იმ ტერიტორიაზე, სადაც „დინამოს“ ისტორიული ბაზა ჯერ კიდევ მდებარეობს, შეიძლება, საუნივერსიტეტო ქალაქი გაშენდეს.*

***რომან ფიფიას ამ განცხადებამ საფეხბურთო საზოგადოება ძალიან შეაშფოთა და გააბრაზა. ბევრი ეჭვობს, რომ დიღომში „დინამოს“ საწვრთნელი ბაზის ადგილას მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების აშენება იგეგმება და ისტორიული ადგილი, რომელიც ქართული ფეხბურთის დიდებასა და ეროვნულ სიხარულთან ასოცირდება, მალე ბეტონის ჯუნგლებად გადაიქცევა.***

*სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ ვეწვიეთ თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ ფეხბურთელებს, რომლებიც დანგრევის საფრთხის წინაშე მდგარი ისტორიული ბაზის დასაცავად ბოლომდე ბრძოლას აპირებენ.*

*ვეტერან „დინამოელებს“ **ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე** პატარა ოფისი აქვთ — სულ ერთი ოთახი, სადაც ყოველდღე იკრიბებიან და ფეხბურთისა თუ ქვეყნის ჭირ-ვარამზე ბჭობენ. ჰოდა, იქ მივედით. შეხვალ თუ არა, თავი მუზეუმში გეგონება — კედელზე გაკრული ფოტოებიდან და პლაკატებიდან მთელი ქართული ფეხბურთის დიდებული ისტორია შემოგცქერის ისე, როგორც ეგვიპტის პირამიდების წინ მდგარმა ნაპოლეონ ბონაპარტმა მიმართა თავის ჯარს — **ამ პირამიდებიდან თქვენ 40 საუკუნე გადმოგყურებთო!** აქ არიან **ბორის პაიჭაძე, ბასა ლოლობერიძე, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი,** სხვა დიდები და მაგრები... ეს ფოტოებსა და პლაკატებზე, თორემ ცოცხალი ლეგენდებიც აგერ სხედან. **პირველ სიტყვას თავიანთ შორის ყველაზე ახალგაზრდას — ფეხბურთში ერთადერთ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს გელა ქეთაშვილს უთმობენ და ისიც იწყებს:***




გელა ქეთაშვილი:

## ,,დინამოს“ დიღმის ბაზა ქართული ფეხბურთის საპატრიარქოა და მისი დანგრევა ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული იქნება!

დავით მუჯირი:



## უნდა დახვრიტო ის, ვისაც თუნდაც ფიქრად გაუელვებს, რომ „დინამოს“ ბაზა – ეს ეროვნული საგანძური გაყიდოს!

— „დინამოს“ ბაზა ქართული ფეხბურთის მატიანეა — თაობების და თანაც, რა თაობების გამზრდელი, ტიტანების სამჭედლო. აგერ, ახლა ვეტერანი ფეხბურთელების ოფისში ვსხედვართ და შეხედეთ, რა ფოტოებია კედლებზე გაკრული — **ბორის პაიჭაძე, მიშა მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი,** სხვა ლეგენდები... 1983 წლის ბოლოს ქუთაისის „ტორპედოდან“ თბილისის „დინამოში“ რომ გადმომიყვანეს და პირველად შევაღე საწვრთნელი ბაზის კარი, ჯადოსნურ სამყაროში ამოვყავი თავი — მსოფლიო დონის ვარსკვლავების გარემოცვაში, რომლებიც სწორედ ამ ბაზაზე აღიზარდნენ. პირდაპირ ვიტყვი — „დინამოს“ დიღმის ბაზა ქართული ფეხბურთის საპატრიარქოა და მისი დანგრევა ქართველი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული იქნება.

**გიორგი ჭილაია:** — 16 წლის ვიყავი, როცა თბილისის „დინამოში“ ამიყვანეს და ბედნიერებისაგან მთელი ღამე ვერ დავიძინე. საწვრთნელ ბაზაზე დილის 9 საათზე ვიყავი დაბარებული, მაგრამ ვერ მოვითმინე და ერთი საათით ადრე მივედი. **ბივი ჩოხელმა მურთაზ ხურცილავასთან** შემიყვანა ოთახში და ამხელა ფეხბურთელი რომ დავინახე, სიხარულისაგან კინაღამ გავგიჟდი.

დღეს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს რომ მაყურებელი ესწრება, იმაზე ათჯერ მეტი ხალხი დადიოდა „დინამოს“ ბაზაზე ჩვენი ვარჯიშების საყურებლად. გულშემატკივრები ღობესთან იყრიდნენ თავს, ბევრი ხეებსა და ბოძებზეც კი ადიოდა, რომ ენახა, როგორ ვვარჯიშობდით, ვინ რა ფინტს გააკეთებდა და როგორ გოლს შეაგდებდა...

**გელა ქეთაშვილი:** — მაშინ ხშირად ხუმრობდნენ, დიღმის მასივში დაბრეცილი ხეები იზრდებაო, რადგან „დინამოს“ საწვრთნელი ბაზის გარშემო ხალხი ხეებზე ადიოდა ვარჯიშების საყურებლად.

**გიორგი ჭილაია:** — „დინამოს“ დიღმის ბაზაზე მსოფლიო დონის ლეგენდები არიან აღზრდილნი და მისი გაყიდვა თუ დანგრევა კატეგორიულად დაუშვებელია, **არავის მივცემთ საშუალებას, ამხელა ისტორიას გადაუაროს.** მარტო ჩვენი კი არა, მთელი ერის აზრია, რომ „დინამოს“ ბაზა უნდა დარჩეს იქ, სადაც არის — დიღმის მასივში.

**— როგორ ფიქრობთ, თბილისის „დინამოს“ პრობლემა დღეს საწვრთნელი ბაზის ადგილმდებარეობაშია? ან კრიზისიდან გამოსავალი ის არის, რომ ბაზა და აკადემია ერთ სივრცეში განთავსდეს?**

**გელა ქეთაშვილი:** — დიდი სისულელეა იმაზე ფიქრი, თითქოს „დინამოს“ მძიმე მდგომარეობას საწვრთნელი ბაზის სხვა ადგილას გადატანა და აკადემიასთან ერთად ერთ სივრცეში განთავსება უშველის... აქ სულ სხვა რაღაცაშია საქმე და ყველა კარგად ვხვდებით, რაც ხდება — **მავანს სურს, ბაზის ადგილას საცხოვრებელი კომპლექსები წამოჭიმოს, კომერციული თუ ბიზნესსივრცეები მოაწყოს და ეს ისტორიული, საფეხბურთო თვალსაზრისით წმინდა ად-**

# «დინამოს» ისტორიულ ბაზას დანგრევა ემუქრება!



## ვახტანგ (ტუხა) ქორიძე:

### მთელი ქვეყანა დადგება ფეხზე, „დინამოს“ ბაზას არ დავთმობთ!



## გიორგი ჭილაია:

### „დინამოს“ დიღმის ბაზაზე მსოფლიო დონის ლეგენდები არიან აღზრდილნი და არავის მივცემთ საშუალებას, ამხელა ისტორიას გადაუაროს!

ბილი საკუთარი ჯიბის გასქელების წყაროდ აქციოს.

**— „დინამოს“ პრეზიდენტმა რომან ფიფიამ განაცხადა, რომ შესაძლოა, ბაზის ადგილას საუნივერსიტეტო ქალაქი აშენდეს...**

— საუნივერსიტეტო ქალაქი კარგია, მაგრამ ამისათვის თბილისში სხვა ტერიტორია არ არსებობს? **მაინცდამაინც „დინამოს“ უნდა დააჭირონ წიხლი და ამხელა ისტორია თავზე დაგვანგრიონ?** არ გამოვა ეს საქმე, გამორიცხულია.

**ოთარ გაბელია:** — თუ ვინმეს საუნივერსიტეტო ქალაქის აშენება უნდა, სხვა ადგილი ნახოს, **„დინამოს“ ბაზა კი იქ უნდა დარჩეს, სადაც ისტორიულად მდებარეობს და დარჩება კიდეც, მის გაუქმებასა თუ დანგრევას არავინ დაუშვებს.**

**ვახტანგ (ტუხა) ქორიძე:** — არ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, „დინამოს“ ბაზა დარჩება იქ, სადაც არის და დარჩება ისე, როგორც არის, მას არც ჩვენ დავთმობთ და არც — ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები, მთელი ქვეყანა დადგება ფეხზე! **კახი კალაძემაც** ყველასათვის გასაგებად განაცხადა — **სანამ მე ვარ თბილისის მერი, „დინამოს“ ბაზა არ დაინგრევაო!**

**გელა კეტაშვილი:** — თბილისის „დინამო“ მხოლოდ საფეხბურთო კლუბი არ ყოფილა, ეს იყო მთელი ქართველი ერის სახე და ეროვნული იდენტობის გამოხატულება. **არამხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივრები, არამედ მთელი ერი არ დაუშვებს, რომ დიდი და ბრწყინვალე ისტორიის განუყოფელი ნაწილი — „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა დაინგრეს!**

**ნუკრი კაკილაშვილი:** — „დინამოს“ ბაზა მთელი ჩემი ცხოვრებაა, საკუთარ სახლში არ მიცხოვრია იმდენი ხანი, რამდენიც იქ მაქვს გატარებული. **ჩემთვის და ყველა „დინამოელისათვის“ დიღმის ბაზა იგივე ოჯახია და არავის მივცემთ უფლებას, ოჯახი წაგვართვას.**

**დავით მუჯირი:** — როგორ შეიძლება, ქართველ ადამიანს ასეთი რამ აზრად მოუვიდეს?! **უნდა დახვრიტო ის ადამიანი, ვისაც თუნდაც ფიქრად გაუელვებს, რომ „დინამოს“ ბაზა — ეს ეროვნული საგანძური გაყიდოს!** ნურავის ექნება ილუზია, რომ ამას ქართული საფეხბურთო საზოგადოება, ასეულათასობით გულშემატკივარი და მთლიანად ქართველი ხალხი დაუშვებს!

## P.S.

თუ ხალხური ლეგენდის თანახმად, ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვანია დავანებული და მასში ის ყრმა წევს, რომელსაც ქართველი „ჩუმის ნატვრითა ნატრულობს“, **ქართული ფეხბურთის „ოქროს აკვანი“ თბილისში, დიღმის მასივის ტერიტორიაზე დგას და მას „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა ჰქვია.**

ვეტერანი „დინამოელები“ — ლეგენდარული ფეხბურთელები, რომლებმაც ქართული ფეხბურთის სასახელო და საამაყო ისტორია დაწერეს, დიღმის ბაზის დათმობას არ აპირებენ და თუ საჭირო გახდა, მის დასაცავად უკომპრომისოდ იბრძოლებენ. **ქართული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდებს ამ ბრძოლაში მთელი საქართველო გვერდით დაუდგება!**

*ესაუბრა* **ჯაბა ხუბუა**

## ნუკრი კაკილაშვილი:

### ჩვენთვის «დინამოს» დიღმის ბაზა იგივე ოჯახია და არავის მივცემთ უფლებას, ოჯახი წაგვართვას!



## კვირგვინოსანი მსხვილი პლანით



**კახა კალაძე,** *თბილისის მერი*

**„დინამოს“ დიღმის საწვრთნელი ბაზის დანგრევის გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, ვიდრე დედაქალაქის მერი ვარ.** ამას არასდროს გავაკეთებ. ამ ადგილმა უამრავი უნიჭიერესი თაობა გამოზარდა. **მისი დანგრევა კატეგორიულად მიუღებელია. არავის ვურჩევ, რომ ამ ბაზაზე ხელი ასწიოს და დაანგრიოს.** თუ ვინმეს ახალი ბაზის აშენება უნდა, ამაში ვინ ზღუდავს? უამრავი ტერიტორია და შესაძლებლობაა, სადაც ამის გაკეთება შეიძლება, **ეს ბაზა კი არის ისტორია, რომელიც უნდა დარჩეს დედაქალაქს და ჩვენს ქვეყანას.**

„პირველი არხი“

# „საამაყოა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წინდახედულობა გამოიჩინა და ამათ ომობანაში არ აჰყვა!“



## ჯეფრი სილვერმანი:



ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი ღარიბაშვილი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე. 2023 წლის 30 დეკემბერი

***ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს უფროსი, ამერიკელი ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი აფასებს საქართველოსა და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს:***

# ივანიშვილი მესიჯს უგზავნის ევროპას – თუ გსურთ, ისე მომექცეთ, როგორც ოლიგარქს, საკუთარი ხალხის გვერდით ვდგავარ და ვარ ხალხისთვის!

— მსოფლიო პოლიტიკასა და არჩევნების ისტორიაში ასეთი დამთხვევა არასოდეს მომხდარა — **2024 წელს არჩევნები ტარდება მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში და, სტატისტიკის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს 4 მილიარდზე მეტი ადამიანი, ფაქტობრივად, დედამიწის ნახევარი მოსახლეობა!** ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი ერა იწყება და გეოპოლიტიკური ვითარებაც ამის მიხედვით შეიცვლება. შემოდგომაზე ამერიკაში 47-ე პრეზიდენტს აირჩევენ, უფრო ადრე, გაზაფხულზე — მომავალ ევროპარლამენტარებს. რუსეთშიც საპრეზიდენტო არჩევნებია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელ კურსს ქვეყნები ნაკლებად შეიცვლიან, მსოფლიოში დაძაბული სიტუაცია და ომები ისევ გაგრძელდება, თუმცა, „ჭკვიანი თავი“ თუ გამოჩნდა, დედამიწაზე მდგომარეობა შეიძლება დასტაბილურდეს!

**— ვინ გეგულებათ ასეთ პიროვნებად მსოფლიო პოლიტიკაში?**

— თუკი ამერიკაში დემოკრატებმა და ჯო ბაიდენმა, ჯამბაზებივით, საიდანღაც „თეთრი კურდღელი“ არ ამოაძვრინეს, დიდი უპირატესობით, დონალდ ტრამპი გაიმარჯვებს. სწორედ ამიტომ ხდება მასზე თავდასხმა და სასამართლოებში გამოძახება ხან თაღლითობის ბრალდებით და ხანაც გაუპატიურების ბრალდებით. მაინც ვერ ერევიან — ტრამპი პრინციპული კაცია და ამ გზით მისი დაოკება შეუძლებელია. ერთადერთი, რაც მას გააჩერებს, მკვლელობაა, სხვა ყველაფერი წყლის ნაყვაა, რადგან ტრამპი ამერიკელებს უყვართ და ბევრი მომხრე ჰყავს! **უკრაინაში ომის სიმძიმემ ამერიკელი ხალხი დააზარალა, ფასები აწეულია და გადასახადების გადამხდელები წნეხის ქვეშ არიან.** რესპუბლიკელებიც უკვე მხარს აღარ უჭერენ ამ ომის დაფინანსებას. ასე რომ, ბაიდენს გამარჯვების ნაკლები შანსი აქვს.

**უკრაინაში ომს ვაფასებ როგორც ბაიდენ-ზელენსკის დანაშაულებრივი სინდიკატის საქმიანობას, რომელიც დიდ ფულს შოულობს. ეს ყველაფერი ცუდად დასრულდება არა რუსეთის, არამედ უკრაინელი ხალხისთვის.**

უკრაინელებმა ზელენსკის უნდა მოსთხოვონ პასუხი, რადგან წაგებული ომის გაგრძელებით, ის უკრაინელ საჯიშე ბიჭებს ხორცსაკეპი მანქანისაკენ ერეკება. ამ ყველაფრის შედეგს ასე ვხედავ: ბაიდენი საკუთარ საწოლში მოკვდება არაბუნებრივი მიზეზით, რადგან ბევრი რამ იცის კორუფციის ანატომიის შესახებ, ხოლო ზელენსკის კედელთან მიაყენებენ! ხომ ნახეთ, დავოსში ჩინეთის დელეგაციამ ზელენსკისთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. **ჩინეთმა იცის, რაც ხდება უკრაინაში!**



ვოლოდიმირ ზელენსკი და ჯო ბაიდენი

**— ამაზე ხმამაღლა საუბრობენ უკრაინის ყოფილი მაღალჩინოსნებიც, რომელთაც უნდოდათ საქართველოს ჩაბმა ამ ომში...**

— დიახ, თუნდაც **არესტოვიჩი,** რომელიც, ალბათ, ფულს წაპნიდა უკრაინაში შესული დახმარებებიდან და შეიარაღებიდან, ჯიბეშიც ამერიკული პასპორტი ედო, პარაშუტიც მომზადებული ჰქონდა და იცოდა, სად იყო უსაფრთხო დაშვების ადგილი. საამაყოა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წინდახედულობა გამოიჩინა და ამათ ომობანაში არ აჰყვა!

**— ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებაც პოლიტიკაში ომის საშიშროებითაა გამოწვეული?**

— ივანიშვილი ხმამაღალ მესიჯს უგზავნის ევროპას: **თუ გსურთ, ისე მომექცეთ, როგორც ოლიგარქს, საკუთარი ხალხის გვერდით ვდგავარ და ვარ ხალხისთვის!** ბრძნული ნაბიჯების გადადგმით მან ევროპას აჩვენა, რომ სახელმწიფოს მართვაში შეუცვლელია. ივანიშვილს პირადი დაცვის მიზნით იმუნიტეტიც სჭირდება, რომელიც მას მაღალი თანამდებობის დაკავების შედეგად მიენიჭება, რადგან კარგად იცის — „ქართულ ოცნებაში“ ბევრია ისეთი, ვინც გაითავისა ნაციონალური მოძრაობის მავნე ჩვევები და კორუფციაში ჩაეფლო. ამასთან, საქართველო განვითარების ახალ გზას ადგას და ძალიან მნიშვნელოვანია ზესახელმწიფოსთან — ჩინეთთან თანამშრომლობა. **კარგი იქნება, საქართველოს რუსეთთანაც შეძლოს დიალოგი, რადგან სრულიად ნათელია, რომ დასავლეთი უკრაინისთვის უკვე „ცარიელ ქვითრებს“ წერს და საქმე ისე მიდის, რომ რუსეთი უკრაინას ცოტა სხვაგვარად „გადაიფორმებს“.**

ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთი თვალს არ ხუჭავს სამეზობლოში არსებულ არეულობაზე და სათავისოდ აწყობს გეგმებს. შესაძლოა, აჭარაში **ასლან აბაშიძე** დაბრუნდეს და ამას გარკვეული დაპირისპირება და არეულობა მოჰყვეს. ამიტომ ვფიქრობ, ეს არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ბიძინა ივანიშვილი კვლავ შემოვიდა პოლიტიკაში.

**— გასათვალისწინებელია ოპოზიციის ერთგვარი გააქტიურებაც...**

— არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი აგრძელებს თავდასხმას საქართველოს ეკლესიასა და მართლმადიდებლობაზე. ასე იყო უკრაინაში და ასე ხდება დღეს საქართველოში. არადა, სწორედ ეკლესია ინარჩუნებს ძლიერ საქართველოს და მტკიცედ ეწინააღმდეგება დივერსიული ჯგუფების მცდელობას, დაარღვიონ ქვეყანაში არსებული ტრადიციული ღირებულებები. გვახსოვდეს — ვიდრე ნაციონალური მოძრაობა და სხვა ოპოზიციური პარტიები უცხოეთიდან ფინანსდებიან, ისინი არ შეწყვეტენ საქართველოში სიტუაციის არევას და ყველა ბინძური ხერხით შეეცდებიან ხელისუფლებაში დაბრუნებას, რადგან არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში ვერ მოვლენ.

**— სააკაშვილი „ვივამედიდან“ მოუწოდებს ქართველ ხალხს, ახლავე დაიხსნან პატიმრობიდან.**

— სააკაშვილმა ხმამაღლა განაცხადა, რომ უკრაინელი პოლიტიკოსია, უკრაინის მოქალაქე და სასამართლო პროცესზეც თარჯიმანი მოითხოვა, ასე რომ, ქართველმა ხალხმა რატომ უნდა დაიხსნას?! როცა საბოლოოდ მოიხდის სასჯელს, დაუყოვნებლივ უნდა იყოს დეპორტირებული თავის ახალ სამშობლოში და საქართველოში შემოსვლა უნდა აეკრძალოს!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## „ამ ყველაფრის შედეგს ასე ვხედავ: ბაიდენი საკუთარ საწოლში მოკვდება არაბუნებრივი მიზეზით, რადგან ბევრი რამ იცის კორუფციის ანატომიის შესახებ, ხოლო ზელენსკის კედელთან მიაყენებენ!“

**№7 (243) ★ 2024 წლის 29 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან**

*— „უკრაინაში არსებული ვითარება ამ დღეებში აბსოლუტურად სხვა განზომილებაში გადავიდა და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთზე დასავლეთის გამარჯვება გამორიცხულია!“ —* ***ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი პარტია „სოლიდარობა მშვიდობისათვის“ გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა მიხეილ ქლენტმა:***

— დასავლეთის იმედი, რომ უკრაინა ძლევამოსილ კონტრშეტევას განახორციელებდა — საბოლოოდ მოკვდა. **თუ მოვლენები დღევანდელი ინერციით გაგრძელდება, რუსეთს რამდენიმე თვეში სრული სამხედრო უპირატესობა ექნება — აკი, რამდენიმე დღის წინ უკვე კიევის დაბომბვას შეუდგა!**

ამასთან, ისრაელის სამხედრო ოპერაციისგან განსხვავებით, რომელსაც უკვე ათასობით მშვიდობიანი მოსახლე ემსხვერპლა, თავად გაეროს გენერალური მდივანი აღნიშნავს, რომ **რუსეთის სამხედრო ოპერაციები საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი წესების მკაცრად დაცვით და მაღალი სიზუსტით ტარდება.** სახეზეა ნათელი სურათი — დასავლეთი ჩიხშია, არ იცის, ომი როგორ გააგრძელოს, ხოლო რამდენიმე დღის წინ გაეროს უშიშროების საბჭოზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლავროვმა** მკვეთრად განაცხადა, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება ამერიკის და ევროპის მხრიდან შემოთავაზებულ დაზავების სცენარს!

**— მაგრამ ყველა ომი ოდესმეზავით მთავრდება. ზავის სანაცვლოდ, რა მოთხოვნები აქვს რუსეთს?**

— დასავლეთის მიზანია, როგორმე შეაჩერონ რუსეთის ძლევამოსილი შეტევები, მაგრამ რუსეთი აღარ მალავს, რომ მხოლოდ მისთვის სასარგებლო პირობებში დათანხმდება ზავის დადებას. იგი მოითხოვს, რომ ნატომ თავი დაანებოს უკრაინასა და საქართველოს, ხოლო მისი საზღვრები შემოიფარგლოს 1997 წლის მდგომარეობით! ამჯერად უკვე რუსეთი შეუდგა აღმოსავლეთ ევროპიდან ნატოს გაძევების ძალისმიერ პოლიტიკას და არ გაჩერდება, ვიდრე მიზანს არ მიაღწევს. რუსეთის მთავარი მიზანია, დასავლეთთან დისტანცირების მიზნით თავის გარშემო შექმნას ბუფერული ზონები. ასეთი ზონები რუსეთს გააჩნდა საბჭოთა კავშირის პერიოდში: სამხრეთით — კავკასია, აღმოსავლეთით — სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, ჩრდილოეთით ბალტიისპირეთი და თავს დაცულად გრძნობდა. ახლაც, ტერიტორიების მიტაცებას კი არა, მხოლოდ ბუფერის შექმნას აპირებს.

**— რა ბერკეტები რჩება დასავლეთს რუსეთის წინსვლის შესაჩერებლად?**

— უმთავრესი ბერკეტი ომის რუსეთის საზღვრებში გადატანაა და ეს მოხერხდება, თუ ევროპა უკრაინას მიაწვდის საბრძოლო რაკეტებს, რომლებიც 500 კილომეტრის სიშორით შეძლებენ ობიექტის დაზიანებას. ამჟამად უკრაინა თავისი ხელისუფლებიანად აბსოლუტურად დემორალიზებულია, ყველაფერზე მიდის, მაგრამ ეს მეტად სახიფათო თამაშია, რადგან, თავის მხრივ, რუსეთს საპასუხოდ შეუძლია ბირთვული იარაღი გამოიყენოს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც ასეთი რაკეტებით უკრაინას მოამარაგებენ. ამ მოტივით, უკრაინისთვის რაკეტების მიწოდებაზე უარი განაცხადა გერმანიამ და ეს ტვირთი თავის თავზე აიღო ბრიტანეთის პრემიერმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ კიევში ჩავიდა და შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმა. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე დაიბომბება მშვიდობიანი მოსახლეობა, რაც გახდება იმის საფუძველი, რომ რუსეთი უფრო მსხვილმასშტაბიან კონფლიქტში ჩაერთოს. ამის პარალელურად ჩვენ ვიღებთ ასეთ მოცემულობას: რუსეთი-ირანი-ჩინეთი — როგორც ერთიანი სავაჭრო-ეკონომიკური სივრცე, რომელიც პერსპექტივაში მთლიანად შეცვლის ეკონომიკურ სურათს არამარტო აზიაში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაშიც!

**— რა დამოკიდებულება აქვს ჩინეთს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან?**

— ჩინეთი აღიარებს რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას და აუცილებლობის შემთხვევაში, როგორც **სი ძინპინი** აცხადებს — მზად არის, მხარიც დაუჭიროს, რაც პირდაპირ იმას ნიშნავს, რომ რუსეთს არასოდეს ექნება სამხედრო ოპერაციებში ცოცხალი ძალის პრობლემა! მეტიც — თუ კონფლიქტი აღმოსავლეთ ევროპაში გადაინაცვლებს, მასში რამდენიმე ასეული ათასი ჩრდილოკორეელი სამხედრო ჩაერთვება. თუმცა, რუსეთს, უკრაინისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე ცოცხალი ძალის პრობლემა ისედაც არა აქვს — დღეში 1000-1200 მოქალაქე ეწერება მოხალისეებად, უკრაინაში კი მეომრები აღარ ჰყოფნით. აკი, უკრაინის ხელისუფლებამ მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს ყველა ბრძოლისუნარიანი უკრაინელი მამაკაცის დეპორტაციისკენ.

**იმის მიუხედავად, რომ რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთმა 12 ათასზე მეტი ეკონომიკური სანქცია დააწესა, დღეს რუსეთის ეკონომიკა მსოფლიოში მე-5 ადგილს იკავებს, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზე განიხილება.**

ისე მოხდა, რომ ამ ომით რუსეთმა სარფიანად იხეირა და ეს არ არის პირველი შემთხვევა. ასე მოხდა **ნაპოლეონის და ჰიტლერის** რუსულ სივრცეში შემოჭრის დროსაც. რუსეთი მადლობელი უნდა იყოს, რომ დასავლეთმა საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოაფხიზლა.

ახლა, როცა რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვე რჩება, დასავლეთი ყველაფერს იღონებს რუსეთის შიგნით უკმაყოფილების გამოწვევისთვის და ეს მისი ბოლო მცდელობა იქნება. **რუსეთი მზად არის ასეთი წინააღმდეგობების გადასალახად, რადგან დასავლეთმა უნებურად გააღვიძა რუსი მოქალაქის მენტალობა, რომელიც დარწმუნდა, რომ სრულად განადგურებას უპირებენ.** ასე რომ, საპრეზიდენტო არჩევნების წინ რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება ახალი წარმატებების მოპოვებას.

**— განა რუსეთს არ შეუძლია, წერტილოვანი დარტყმით უკრაინის ლიდერის ზელენსკის ლიკვიდაცია, რაც ომის დასრულებას დააჩქარებს?**

— 1943 წლის შემდეგ სტალინი ყოველმხრივ ზრუნავდა, რათა ჰიტლერი ცოცხალი დარჩენილიყო, რადგან მეორე მსოფლიო ომი სწორედ იმ შედეგით დასრულებულიყო, როგორითაც დასრულდა. ამიტომ ამ ეტაპზე რუსეთს სწორედ ზელენსკი აწყობს უკრაინის ლიდერად! მეტიც — რუსეთს შეუძლია, კიევი და მისი შემოგარენი რამდენიმე დღეში აიღოს, მაგრამ ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნების საკითხი არ გაირკვევა, ამას არ გააკეთებს.

საქართველოს აქვს იმის პერსპექტივა, რომ რამდენიმე დიდი სახელმწიფო, მათ შორის, ჩინეთი და რუსეთი — ჩვენი უსაფრთხოების გარანტები გახდნენ. მთავარია, რომ დასავლეთმა თუნდაც ხატთან დაკავშირებული ინციდენტით ვერ შეძლო ლიბერასტული ოპოზიციის დარაზმვა. უფრო მეტიც, დასავლეთს უკვე თავად დაუდგა პრობლემები და ვფიქრობ, საქართველოსთვის ვეღარ მოიცლის!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



**«1943 წლის შემდეგ სტალინი ყოველმხრივ ზრუნავდა, რათა ჰიტლერი ცოცხალი დარჩენილიყო... ამიტომ ამ ეტაპზე რუსეთს სწორედ ზელენსკი აწყობს უკრაინის ლიდერად!»**

**„საპრეზიდენტო არჩევნების წინ რუსეთი მაქსიმალურად შეეცდება ახალი წარმატებების მოპოვებას!“**



## მიხეილ ქლენტი:

# უახლოეს თვეებში რუსეთი უკრაინის ომში გადამწყვეტ უპირატესობას მოიპოვებს!

**არის ასეთი აზრი! ★**

## ისტორიკოსის თვალით ★

# სვიმონ მასხარაშვილი: სტალინს არასოდეს შეპარვია ეჭვი იმაში, რომ ჰიტლერს თავი არ მოუკლავს და გერმანიიდან გაიყვანეს!



***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ ბუნებაში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც 1945 წლის 30 აპრილს ჰიტლერის თვითმკვლელობას დაადასტურებს. სამაგიეროდ, მოიპოვება სერიოზული მონაცემები იმის შესახებ, რომ იმ ნარკოკარტელების უკან, რომლებსაც ლათინური ამერიკის ვერცერთი ხელისუფლება ვერ უპირისპირდებოდა, სწორედ ყოფილი ფაშისტი სამხედროები იდგნენ და ჰიტლერიც სწორედ ლათინურ ამერიკაში, კერძოდ, არგენტინაში შეიძლება გაქცეულიყო:***



— 1945 წლის 30 აპრილს, როცა 21.45 საათზე ქართველმა **მელიტონ ქანთარიამ** და რუსმა **მიხეილ ეგოროვმა** რაიხსტაგის კენწეროზე გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს, გავრცელდა ცნობა, რომ ადოლფ ჰიტლერმა თავის მეუღლესთან — ევა ბრაუნთან ერთად ბუნკერში თავი მოიკლა. ამ ინფორმაციას მაშინდელი მსოფლიო და, უპირველეს ყოვლისა, სტალინი, სკეპტიკურად შეხვდნენ. სტალინის მემუარისტთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, თითქოს თავიდან ბელადმა ჰიტლერის თვითმკვლელობის ვერსია ირწმუნა და განაცხადა — ამ არამზადამ მაინც შეძლო და სასამართლოს თავი აარიდაო! მაგრამ, დიდი ალბათობით, ეს მავანთა მონაჭორია, რადგან სტალინს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არასოდეს შეპარვია ეჭვი იმაში, რომ ჰიტლერს თავი არ მოუკლავს და გერმანიიდან გაიყვანეს!

**— და მაინც, ვის ასახელებდა სტალინი ჰიტლერის მფარველად და მხსნელად?**

— სტალინი ხელს, ძირითადად, ამერიკელებისკენ იშვერდა და აცხადებდა, რომ მათ ჰიტლერს გერმანიიდან გაღწევისა და საკუთარ კონტროლს დაქვემდებარებულ არგენტინაში მიმალვის საშუალება მისცეს. ამ ეჭვს აძლიერებდა ის ფაქტი, რომ ფაშისტი სამხედრო დამნაშავეები ძირითადად სწორედ არგენტინაში გაიხიზნენ. აქ იმალებოდა **ადოლფ ეიხმანიც** — „ჰოლოკოსტის არქიტექტორი“, რომელიც 1960 წლის 11 მაისს ებრაულმა „მოსადმა“ პირდაპირ ქუჩიდან მოიტაცა და საიდუმლო ვითარებაში ისრაელში ჩაიყვანა, სადაც 1962 წელს სიკვდილით დასაჯეს. ცნობილია, რომ, მაგალითად, ჰოლივუდის კინოვარსკვლავის, ულამაზესი **უმა თურმანის** ბაბუა — დედის მამა — ფაშისტური ვერმახტის ცნობილი პოლკოვნიკი იყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ლათინურ ამერიკაში გადასახლდა და ძალიან ცნობილი ბიზნესმენი გახდა.

**— სად და როდის იკარგება ბერლინში ჰიტლერის კვალი?**

— ბერლინის შტურმის დროს საბჭოთა უშიშროებამ იპოვა ორი ან მეტი ადამიანის დამწვარი გვამი. არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი ადამიანის ცხედარი იყო, რადგან ძვლები ძალიან გახლდათ დაზიანებული. შედარებით დაუზიანებელი ჩანდა ქვედა ყბის ერთი ძვალი, რომელსაც „პლომბების“ კვალი ეტყობოდა. ჰიტლერის პირადმა კბილის ექიმმა დაადასტურა, რომ ეს მის მიერ გაკეთებული „პლომბები“ იყო და ყბა ნამდვილად ეკუთვნოდა ჰიტლერს.

1946 წელს, როცა აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის ადმინისტრაციაში მეორე კაცად მუშაობდა, სტალინმა უშიშროების გენერალ **ივან სეროვს** დაავალა, ხელახლა მოეძებნა ჰიტლერის ძვლების სავარაუდო ნაშთები და საგულდაგულოდ გაენადგურებინა. ეს დავალება სეროვმა შეასრულა. რაც შეეხება ყბის ძვალს, ის მოსკოვში ჩამოიტანეს. სეროვის ცნობილ მემუარებში, რომელიც მისი ავტოფარეხის ერთ-ერთ კედელში, აგურებს შორის აღმოაჩინეს ჩაშენებული, ჰიტლერის სავარაუდო ძვლების ადგილსამყოფლის შესახებ არაფერი წერია. სეროვი მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ სტალინის ბრძანება ნამდვილად შეასრულა და ძვლები გაანადგურა.

მოგვიანებით, ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს, მოსკოვის საიდუმლო არქივები ამერიკელებისთვის გახსნეს და რამდენადაც 2008 წლამდე ხელმისაწვდომი იყო, ამერიკელებმა სულ ეშელონებით გაიტანეს ფაშისტებთან დაკავშირებული მასალები, რომლებსაც უკავშირდება **რიჩარდ პაიფსის, იური ჟუკოვისა და სპიცინის** მიერ გამოცემული უნიკალური კვლევები რუსეთის ისტორიის უახლესი პერიოდის შესახებ. მოკლედ, **სტალინისა და ბერიას არქივების გარდა, რომლებზეც პირადად პუტინს აქვს თათი დადებული, ამერიკელი და რუსი მეცნიერები, ფაქტობრივად, ყველგან შეუშვეს.**

**— როგორც ვიცი, იმ ქვედა ყბის ძვლის წარმომავლობის საკითხი საბოლოოდ „დნმ“-ის გაშიფვრის შემდეგ გაირკვა!**

— 2004 წელს, როცა ამერიკასა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ ნორმალური ურთიერთობა იყო, პუტინის ადმინისტრაციამ ხსენებული ქვედა ყბა დნმ-ის დონეზე შესწავლის მიზნით დროებით გადასცა ამერიკელებს. ბუნებრივია, დაისმის კითხვა — რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც ამერიკის შეერთებული შტატები, როცა დნმ-ის კვლევა სხვა ქვეყნებშიც იყო შესაძლებელი? ცხადია, აქ მნიშვნელოვანი გახლდათ ე.წ. შესადარებელი მასალის ფაქტორი. ქვედა ყბის ძვლის კვლევას და დნმ-ის ტესტს აზრი არ ექნებოდა, თუ შედეგებს სხვა მონაცემებს არ შეადარებდნენ. ამ თვალსაზრისით, შეერთებული შტატები მართლაც იდეალური ქვეყანა გახლდათ, რადგან იქ ადოლფ ჰიტლერის ძმის შვილიშვილები ახლაც ცხოვრობენ.

**— ისინი ჰიტლერის გვარს ატარებენ?**

— არა, ჰიტლერის ძმის სამივე შვილიშვილს გვარი გადაკეთებული აქვს, ანტიფაშისტები არიან და შვილებს მიზანმიმართულად არ აჩენენ — **ჩვენი მოდგმა უნდა ამოწყდესო!** მოკლედ, საფრანგეთში დაბადებული ერთი კაცისაგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებდა და ამაყობდა — ჰიტლერის უკანონო შვილი ვარო! — ამერიკაში მცხოვრები ჰიტლერის ძმის შვილიშვილები ძალიან მომნანიებელი ხალხია... გარდა ამისა, ევროპაში მოიძებნებიან **ევა ბრაუნის** ნათესავები, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას დიდად არც მალავენ, ასევე ჰიტლერის დის შთამომავლებიც... მოკლედ, ქვედა ყბის ძვალს ამერიკაში ჩაუტარდა სრული ანალიზი და აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში ის ეკუთვნოდა 40 წლამდე ქალს, ანუ დამტკიცდა, რომ ჰიტლერის პირადი დანტისტი იტყუებოდა და ქვედა ყბის ძვალი საერთოდ არ ეკუთვნოდა ჰიტლერს.

**— იქნებადა, ევა ბრაუნის ძვალი იყო?**

— ცხადია, კვლევა ამ მიმართულებითაც გააგრძელეს და ქვედა ყბის ძვლის **დნმ** შეადარეს ევა ბრაუნის უახლოესი ნათესავების **დნმ**-ს, მაგრამ ვერაფერი საერთო ვერ აღმოაჩინეს. მოკლედ, **იმ ქვედა ყბის ძვალს, რომელსაც საბჭოთა უშიშროება ასე საგულდაგულოდ უფრთხილდებოდა და ინახავდა, არც ადოლფ ჰიტლერთან და არც ევა ბრაუნთან საერთო არაფერი აქვს.** აქედან გამომდინარე, დამწვარი ძვლების ნაშთი, რომელიც საბჭოთა უშიშროებამ იპოვა, შეუძლებელია ან ჰიტლერთან და ან ევა ბრაუნთან რაიმე კავშირში ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამერიკელებმა ის ძვალი მოსკოვში დააბრუნეს და მრავალთვიანი კვლევების შედეგებიც გამოაყოლეს.

**— სხვათაშორის, ჰიტლერის კანცელარიის უფროსზე მარტინ ბორმანზეც იყო ეჭვი, რომ გერმანიიდან გაიქცა!**

— ეს ეჭვები ბორმანზე ნამდვილად არსებობდა, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინათ ბერლინის ერთ-ერთი ხიდის მიდამოებში აღმოაჩინეს მამაკაცის გვამი, რომლის დნმ-ის ანალიზმაც დაადასტურა, რომ ცხედარი ნამდვილად ეკუთვნოდა **მარტინ ბორმანს.** ერთ-ერთი მონაცემის თანახმად, თვითმხილველებმა დაინახეს, რომ ბორმანი ამ ხიდზე გადადიოდა. როგორც ჩანს, ხიდის დაბომბვის დროს იგი დაიღუპა. ჰიტლერს უკანასკნელ დღეებში ინტენსიური კონტაქტი სწორედ **მარტინ ბორმანთან** ჰქონდა, რომელიც 1945 წლის მაისის პირველ რიცხვებში უნდა დაღუპულიყო.

**გებელსისა და მისი ცოლის** ცხედრების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათ ნამდვილად თავი მოიკლეს. ჰიტლერს ბოლოს გებელსთანაც გამუდმებული კონტაქტი ჰქონდა... დანარჩენი, ვისთანაც ჰიტლერი ხშირად ურთიერთობდა, იყო მისი დაცვა. ფიურერის დაცვის წევრები საბჭოთა ტყვეობაში აღმოჩნდნენ და გამოძიებას ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს ჰიტლერისა და ევა ბრაუნის თვითმკვლელობის შესახებ. ჰიტლერის პირადი დაცვის არცერთი წევრი დღეს ცოცხალი აღარ არის!

**— არსებობს თუ არა სხვა მონაცემები ჰიტლერის შესაძლო გაუჩინარების შესახებ?**

— გაგახსენებთ გერმანელების მიერ გადაღებულ კინოკადრებს, როცა ჰიტლერი ჰიტლერიუგენდის წევრებს ესალმება და ლოყაზე ხელს უთათუნებს. ამ კადრებში ფიურერს ხელი აშკარად უცახცახებს, რამაც საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერებში წარმოშვა ზღაპრები — აქაოდა, ფიურერის ბუნკერი ტყვიით იყო დაფარული და სწორედ ამ ნივთიერების მავნე ზემოქმედების შედეგი მის ჯანმრთელობაზეც აისახაო. გერმანელი ფიზიკოსები და ქიმიკოსები მაშინდელ მსოფლიოში საუკეთესონი იყვნენ და როგორ ფიქრობთ, არ



**„იმ ქვედა ყბის ძვალს, რომელსაც საბჭოთა უშიშროება ასე საგულდაგულოდ უფრთხილდებოდა და ინახავდა, არც ადოლფ ჰიტლერთან და არც ევა ბრაუნთან საერთო არაფერი აქვს!“**



ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი



„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰიტლერის სპეცსამსახურების ნაწილი – „შტაზ“-ში, ხოლო ნაწილი ლათინური ამერიკის ქვეყნების ნარკოკარტელებში გადაჯგუფდა, მაშინ ფიურერის კვალი სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძებოთ!“

ეტყოდნენ ჰიტლერს, ტყვიის გარსით ბუნკერის დაფარვა ჯანმრთელობისთვის უკიდურესად სახიფათო რომ იქნებოდა? ეს რიტორიკა, ცხადია, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს! გარდა ამისა, ასეთი ბუნკერები ჰიტლერს ვინიცაშიც ჰქონდა და პრუსიაშიც, სადაც მომსახურე პერსონალი გარეთ გამოუსვლელად თვეობით მუშაობდა, მაგრამ არცერთს პარკინსონი არ დამართვია.

**— მაშინ რა გამოდის, იმ ცნობილ კინოკადრებში ჰიტლერის ნაცვლად მისი ორეულია?**

— ცხადია, ორეულია! არავითარი პარკინსონი ჰიტლერს არ ჰქონია და ეს ზღაპრები გავრცელდა სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშჩოვის ეპოქაში. არადა, ამ კადრების გადაღებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1944 წელს, ჰიტლერი საჯარო გამოსვლების დროს ძველებურად ომახიანად და მედგრად გამოიყურებოდა. ბუნებრივად დაისმის კითხვა — ჰიტლერი, რომელიც მთელი ცხოვრება გამოწკეპილი დადიოდა, გერმანელმა კინოდოკუმენტალისტებმა ლოთივით ჩამოძონძილი, ხელებაცახცახებული და ნანგრევების ფონზე როგორ გადაიღეს? 1945 წლის მარტში უკვე ცხადი იყო, რომ ბერლინი აუცილებლად დაეცემოდა. აქედან გამომდინარე, ეს კადრები სწორედ ჰიტლერის ბრძანებით იქნა გადაღებული და რაიხსკანცელარიაში შენახული, რათა მოკავშირეებისთვის შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ფიურერი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ცხადია, ეს ყველაფერი მას საშუალებას მისცემდა, შეუმჩნევლად გაპარულიყო ქვეყნიდან. ფაქტია — ამ კადრებმა საბჭოთა კავშირის, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურებს სერიოზულად აუბნია თავგზა და აფიქრებინა, რომ ასეთი დემორალიზებული და განადგურებული ჰიტლერი აუცილებლად თავს მოიკლავდა. ამასობაში ფიურერი გაუჩინარდა... ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავიდან ბოლომდე ვეთანხმები სტალინის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ჰიტლერს თავი არ მოუკლავს და გაიქცა!

**— ამერიკელებმა იცოდნენ, სად გაიქცა?**

— ამერიკელებს თუ ეცოდინებოდათ, მაშინ ამას საბჭოთა კავშირშიც შეიტყობდნენ, რადგან ბერიას მიერ შექმნილი სპეცსამსახური ამერიკელებისას სჯობნიდა! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჰიტლერის სპეცსამსახურების ნაწილი — „შტაზ“-ში, ხოლო ნაწილი ლათინური ამერიკის ქვეყნების ნარკოკარტელებში გადაჯგუფდა, მაშინ ფიურერის კვალი სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძებოთ!

***ესაუბრა***

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „ჰიტლერის ძმის სამივე შვილიშვილს გვარი გადაკეთებული აქვს, სამივე ანტიფაშისტია და შვილებს მიზანმიმართულად არ აჩენენ – ჩვენი მოდგმა უნდა ამოწყდესო!“

პარალელური ბიოგრაფიები ★

# ჩან კაიშისა და თინ კუიშის შესახებ

***როგორც გაირკვა და თავადაც დაადასტურა, თინა ხიდაშელს და მის არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც „სამოქალაქო იდეა“ ჰქვია, ამერიკასთან, დიდ ბრიტანეთთან, პოლონეთთან, ნორვეგიასთან და შვეიცარიასთან ერთად ტაივანიც აფინანსებს, რომელიც ოფიციალურად ჩინეთის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ, ფაქტობრივად, განკერძოებულია და ამერიკელების ხელშეწყობით „ჩინეთის აფხაზეთად“ არის ქცეული.***









რაკი **ხიდაშელს** ტაივანელები ფულს უხდიან, ეს იმას ნიშნავს, რომ **თინამ** უნდა ლანძღოს ჩინეთი და მხარი დაუჭიროს ტაივანის „დამოუკიდებლობას“. სხვანაირად ის ფულს ვერ მიიღებს და უკანალს ვერ გაისუქებს.

იყო დრო, როცა ხიდაშელსა და მისთანებს ჯაშუშური საქმიანობისთვის განკუთვნილ ხელფასს ამერიკელები პირდაპირ ამერიკის საელჩოდან უხდიდნენ. მაგალითად, ვიცნობ კაცს, რომელიც წლების წინათ ამერიკის საელჩოში მუშაობდა, სწორედ იქიდან ფული გამოჰქონდა და **თინა ხიდაშელს, დავით უსუფაშვილს, ბათუ ქუთელიას, გიორგი მარგველაშვილსა** და სხვა ნომრიან აგენტებს ურიგებდა. ამავე კაცისგან ისიც ვიცი, რომ ცნობილი სასწავლებელი **„ჯიპა“** საქართველოში სწორედ ამერიკის სპეცსამსახურების შესავსებად შეიქმნა!

მოკლედ, გავიდა დრო და **თინა ხიდაშელისა და მისთანების** დაფინანსების მეთოდები და წყაროები შეიცვალა — **თინას და მის ქმარს, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ჯერ — კომპარტიაში, ხოლო ახლა უკვე მამუკა ხაზარაძის გვამში წვერებიანად შეძვრა, დღეს მწვანე დოლარებს წაღმა-უკუღმა ისე ატენიან, რომ შუამავლები და ფოსტალიონები აღარ სჭირდებათ.** ასე და ამრიგად, სტაჟიანი ჯაშუშების — **უსუფაშვილ-ხიდაშელის ოჯახში** ნიადაგ დოლარების შრიალი ისმის, რომელსაც ხან — **ნორვეგიიდან,** ხან — **პოლონეთიდან,** ხან — **დიდი ბრიტანეთიდან** და როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, **ტაივანიდანაც** კი ურიცხავენ!

## ტაივანიდან მიღებული სალაფავის სანაცვლოდ თინა ხიდაშელი ჩინეთს, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთგული

## მხარდამჭერი და სტრატეგიული პარტნიორია, უჩხიკინებს და „დემოკრატიასა“ და „ადამიანის უფლებების დაცვას“ უწუნებს.

როცა **ხიდაშელს** ჰკითხეს — **ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებ თუ არაო?** — გაიკვირვა — **მე ხომ საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ვარ, რომელიმე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე პოზიცია მქონდესო!**

მოკლედ, სალაფავს თუ მიუგდებენ და მუცელს ამოუყორავენ, ხიდაშელი პირდაპირ იტყვის — **აფხაზეთი და ტაივანი საქართველოსა და ჩინეთის დიქტატისგან უნდა გათავისუფლდესო!**

კაცმა რომ თქვას, ეს ერთხელ უკვე თქვა კიდეც, როცა წლების წინ რუსეთში გამართულ ერთ-ერთ სოროსისტულ შეკრებაზე განაცხადა — **აფხაზეთის დამოუკიდებლობა საქართველოს ვერ წააქცევს, მაგრამ კორუფცია ბოლოს მოუღებსო!**

ასეთია ფულით მოღორებული ჯაშუშის ცხოვრება.

**ჩან კაიში,** რომელსაც ერთხანს სტალინთანაც ჰქონდა ურთიერთობა, დიდი რეფორმატორი და სახელმწიფო მოღვაწე იყო, ხოლო **ფარსადანებისა და ჯაშუშების პარტიის წევრი თინა ხიდაშელი,** რომელიც ტაივანიდან გადმორიცხული სალაფავის გამო საქართველოს მტრობს და ჩინეთს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებისკენ უბიძგებს, **ჩან კაიში** არა, მაგრამ **თინ კუიში** ნამდვილად არის! ეს სახელი მას უთუოდ შეეფერება.

ახლა კი ცოტა რამ **ჩან კაიშის** შესახებ...

რომ არა 1937 წელს იაპონიის აგრესია და სტალინის მიერ **მაო ძედუნისთვის** გაწეული სამხედრო დახმარება, ჩინეთის მმართველი პარტია დღესაც **გენერალისიმუს ჩან კაიშის** „გომინდანი“ იქნებოდა. სხვათაშორის, ამას **მაო ძედუნიც** აღიარებდა — **სტალინი რომ არ დაგვხმარებოდა, ჩან კაიშს ვერ დავამარცხებდითო!**

მოგეხსენებათ, 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა,** ხოლო **1949 წლის 10 დეკემბერს ჩან კაიში უახლოეს თანამებრძოლებთან და ერთგულ ჯარებთან ერთად სამუდამოდ გამოემშვიდობა კონტინენტურ ჩინეთს და გადავიდა კუნძულ ტაივანზე, რომელიც საუკუნების წინათ პორტუგალიელების ნავსაყუდელი გახლდათ.** მოკლედ, ჩინეთში მოხდა მსოფლიო ისტორიისთვის იშვიათი და უცნაური რამ — **დამარცხებული ჩან კაიშის ხელისუფლება წავიდა და კუნძულ ტაივანზე შექმნა ახალი ჩინეთი, რომელიც 1971 წლამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მთელ ჩინეთს წარმოადგენდა.**

იმ ოქროს წყალობით, რომელიც ჩინეთის მატერიკული ნაწილიდან კუნძულზე გადაიტანა, **ჩან კაიშმა** ტაივანი ააღორძინა და მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად აქცია. **დღეს ტაივანი ოფიციალურად ჩინეთის განუყოფელ ნაწილად ითვლება, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემით, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მიხედვით დანარჩენ ჩინეთს ოთხჯერ სჯობნის.**

**ჩან კაიში** და მისი „გომინდანი“ განწირული იყვნენ, რომ არა კორეის ომი და მისი დამანგრეველი შედეგები. **როცა ამერიკამ დაინახა ჩან კაიშის პოტენციალი, 1954 წლის 2 დეკემბერს ტაივანთან გააფორმა „ურთიერთუშიშროების“ შეთანხმება, რომლის ძალითაც აღიარა „გომინდანის“ ხელისუფლება და მოსალოდნელი სამხედრო აგრესიისგან კუნძულის დაცვა იკისრა.** ამ მიზნით, ტაივანში ამერიკის სამხედრო ბაზებიც გაიხსნა.

ტაივანი ტერიტორიულად საქართველოს ნახევარია, მაგრამ მისი ბიუჯეტი 240 მილიარდ დოლარს აჭარბებს და **ამერიკისა და მისი აგენტურის ხელში წარმოადგენს სერიოზულ ბერკეტს ჩინეთზე ზემოქმედების მოსახდენად.**

**ჩან კაიშმა** 88 წელი იცოცხლა და 1975 წელს გარდაიცვალა... მასზე ამბობენ, „ჩინეთი დაკარგაო“.

**არ ვიცი, როდის უგალობებს „მამა“ რუსუდან გოცირიძე თინ კუიშს** პოლიტიკურ სულთათანას და როდის წააჩანჩალებენ ამერიკული „ცერეუს“ სასაფლაოზე, მაგრამ **მისი დაკარგვით საქართველოს რომ არაფერი დააკლდება, დანამდვილებით ვიცი!**

***დიტო ჩუბინიძე***

## ტაივანიდან მიღებული დაფინანსებით თინა ხიდაშელმა საქართველოს ჩინეთი უნდა გადაჰკიდოს!

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

**მაქსიმ გორკი 1937 წელს გარდაიცვალა. მაგრამ მისი სიკვდილით სპეკულაცია დღემდე გრძელდება. ადრე ითვლებოდა, რომ ის ტროცკისტების დავალებით კრემლის ექიმებმა მოკლეს. ხოლო ხრუშჩოვის ე. წ. გარდაქმნის ეპოქაში დაიწყო ნართაულები, რომ მწერალი სტალინმა „მოიცილა". აქ ტყუილ-მართლის გარჩევა შეუძლებელია. განა 1937 წელს ბუნებრივი სიკვდილით არ იხოცებოდნენ? გორკი ხომ მოხუცი და ავადმყოფი იყო?**

ჯერ ერთი, გორკი **1937** კი არა, **1936 წლის 18 ივნისს** გარდაიცვალა. მეორეც, ის არც ისე მოხუცი იყო, მაშინ **68 წელი** შეუსრულდა, თუმცა, გეთანხმებით, მართლაც ავად იყო ძველი, გამდგარი ტუბერკულოზით.

ახლა მისი გარდაცვალების გარემოებებზე ვისაუბროთ, რომლებიც, ბევრი ლიტერატორისა და ისტორიკოსის აზრით (ვაქსბერგი, დონ ლევინი, ნიკულინი და სხვ.), **„დღემდე იდუმალების ბურუსით არის მოცული."** თანაც საგულისხმოა, რომ დასახელებული ავტორები საკმაოდ გამჭვირვალედ მიანიშნებენ ამაში **სტალინის „ავბედით როლზე".**


გორკი და სტალინი

მოდით, დავსვათ კითხვა — რისთვის სჭირდებოდა **სტალინს გორკის „მოცილება"?** ამიტომ ეპატიჟებოდა დაჟინებით მწერალს, რომელიც **სორენტოში** (იტალია) ცხოვრობდა და მოსკოვში ყველა პირობას უქმნიდა? ამ მიზნით გაუწია რეკომენდაცია **1934 წელს** შექმნილი სსრკ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე? ან იქნებ თავისი **„ბოროტმოქმედების"** შესანიღბად დაარქვა მწერლის სიცოცხლეშივე ქალაქ **ნიჟნი ნოვგოროდს გორკი?**

არა, ამ ვერსიის შემთხზველები აშკარად ვერ აბამენ თავს და ბოლოს. **გორკი** მთლიანად და სავსებით უჭერდა მხარს **სტალინის** პოლიტიკას, სოციალიზმის და ცხოვრების საბჭოთა წესის მთავარი ტრუბადური იყო. **„გორკი მოსკოვში მეფესავით ცხოვრობს, — აღნიშნავდა თავის დღიურში მწერალი მ. პრიშვინი, — მას რიაბუშინსკის** *(ცნობილი კაპიტალისტი — რედ.)* **კუთვნილი საუკეთესო სახლი მისცეს. დაცვა და ძაღლები დღედაღამ დარაჯობენ. გორკის პორტრეტებს „პრავდა" სტალინის პორტრეტების გვერდით ბეჭდავს. აი, სადამდე მივედით."**


გორკი და იაგოდა

ახლა საკითხის მეორე მხარე განვიხილოთ. რა თქმა უნდა, **36-37 წლებში** ადამიანები ბუნებრივადაც კვდებოდნენ და **გორკი** სავსებით შეიძლებოდა ფილტვების დაავადებას ემსხვერპლა. მაგრამ იყო თუ არა ასე სინამდვილეში?

მიღებულია, რომ **37-38 წლების** პროცესები მთლიანად გაყალბებული იყო, რომ განსასჯელები წამების ქვეშ ნებისმიერ რამეს აღიარებდნენ. ბუნებრივია, ჩეკისტები ხელებდაკაპიწებული შრომობდნენ, მაგრამ საინტერესოა, რომ ე. წ. **„ექიმი მკვლელები" 1938 წლის მარტში** პროცესზე (ღია, უცხოელების თანდასწრებით) უცხოური დაზვერვების სასარგებლოდ ჯაშუშურ საქმიანობას კატეგორიულად უარყოფდნენ, ხოლო **„არასწორი მკურნალობის დახმარებით" გორკისა და მისი ვაჟის მაქს პეშკოვის** მკვლელობა უპირობოდ აღიარეს. რატომ?


გორკი შვილთან – მაქს პეშკოვთან, რძალთან – ნადეჟდა პეშკოვასთან და შვილიშვილებთან ერთად

**ექიმმა ლევინმა** (კრემლის პოლიკლინიკის ექიმი) განაცხადა, რომ ეს შინაგან საქმეთა მაშინდელი სახკომის **იაგოდას** განკარგულებით გაკეთდა და მას **პროფესორები პლეტნიოვი** და **კაზაკოვი „ეხმარებოდნენ".** ისინიც განსასჯელთა სკამზე ისხდნენ და **ლევინის** ჩვენება დაადასტურეს. საკითხავია, რისთვის დასჭირდა **იაგოდას გორკის** და მისი შვილის მოკვლა?

ცნობილია, რომ **იაგოდა** არა მარტო მიღებული იყო **გორკის** სახლში, არამედ მის ბინადრებთან ძალზე ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. **მაქს პეშკოვის ცოლთან კი უფრო მეტიც — ინტიმური.** ჩეკისტი დონ ჟუანის რომანზე მთელი მოსკოვი ჭორაობდა. ქმარი, როგორც ცნობილია, ასეთ რამეებს ბოლოს იგებს.


მაქსიმ გორკის ფერფლის გამოსვენება კავშირების სახლიდან

ახლა დავაკვირდეთ, როგორ განვითარდა მოვლენები. **1934 წლის 11 მაისს მაქს პეშკოვი** ფილტვების ორმხრივი ანთებით უცაბედად კვდება. ორი წლის შემდეგ კი იგივე დაავადება **მამამისს — მაქსიმ გორკის** იმსხვერპლებს. ორივეს მკურნალი ექიმი **დოქტორი ლევინია,** კონსულტანტები — **პროფესორები პლეტნიოვი** და **კაზაკოვი.** აკავშირებს თუ არა ამ ორ სიკვდილს საერთო დანაშაულებრივი ჩანაფიქრი? ვფიქრობ, ადვილი სავარაუდოა, რომ **მაქსმა,** თუმცა, გვიან, მაინც შეიტყო ცოლის ღალატის შესახებ და იმ წუთიდან განწირული იყო. მისი მეტოქე ხომ ლუბიანკის ყოვლისშემძლე პატრონი გახლდათ. გამორიცხული არ არის, რომ მოგვიანებით **გორკიმ** შვილის დაღუპვის ნამდვილ მიზეზზე აიღო ეჭვი. ცნობილია, მაგალითად, რომ მწერლის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე **იაგოდამ** მათ სახლში სტუმრობა შეწყვიტა, მწერალსა და ჩეკისტს შორის გაურკვეველი მიზეზით შავმა კატამ გაირბინა, ხოლო **ნადეჟდა პეშკოვასთან** ჩეკისტის მგზნებარე რომანი გრძელდებოდა. და აი, დასახმარებლად კვლავ ერთგული **დოქტორი ლევინი** იჩქარის, **იაგოდას** ის დიდი ხანია, ანკესზე ჰყავს წამოგებული. **20-იანი წლების შუაგულში ლევინი** დააპატიმრეს და მხოლოდ ГПУ-ს თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილის **იაგოდას** ქომაგობით გაათავისუფლეს. აშკარაა, რომ **იაგოდას** მხრიდან ეს იძულებითი ნაბიჯია. **გორკის სტალინთან** სიახლოვე ყველას კარგად მოეხსენება. საკმარისია, პროლეტარმა მწერალმა პროლეტარ ბელადს ეჭვები გაუზიაროს, რომ **იაგოდას** სიცოცხლეს გროშის ფასიც აღარ ექნება.

მართლაც ასე მოხდა თუ არა სინამდვილეში? დღეს დაბეჯითებით პასუხის გაცემა ძნელია. ყოველ შემთხვევაში, **იაგოდამაც** და **ლევინმაც** გამოძიების დროს და სასამართლოზე ასე აჩვენეს. და ჩვენი აზრით, ეს ყველაფერი ძალზე წააგავს სიმართლეს.

**მართალია თუ არა, რომ სტალინი თვითონ არემონტებდა საკუთარ ფეხსაცმელს? სადღაც ისიც კი წამიკითხავს, რომ მან თავის ეკონომ ქალს ფეხსაცმელი შეუკერა. გვიამბეთ ამის შესახებ.**


ლევ ტოლსტოი

პასუხის გაცემას **სტალინიდან** კი არა — ნუ გაგიკვირდებათ — **ლევ ტოლსტოიდან** დავიწყებთ. ცნობილია, რომ **დიდმა მწერალმა არა მარტო ფეხსაცმელების შეკეთება იცოდა, არამედ თავისუფალ დროს საუცხოო ჩექმებს კერავდა.** კერძოდ, მისი ქალიშვილის მოგონებებიდან ვიცით, რომ **ტოლსტოიმ** მის ქმარს ჩექმები შეუკერა. სიძე ამ ჩექმებს არ ატარებდა და **ტოლსტოი** ძალიან განიცდიდა, რადგან ფიქრობდა, რომ ცუდად შეკერა. ჰოდა, ერთხელ, **ქალიშვილთან სტუმრობისას, დაინახა, რომ მისი შეკერილი ჩექმები წიგნის თაროზე მისივე თხზულებების კრებულის გვერდით ეწყო.**



მაგრამ ეს ისე — სიტყვამ მოიტანა. **ხარაზის ხელობას სტალინიც** ბრწყინვალედ ფლობდა, მას სახარაზო იარაღით და ტყავებით სავსე მთელი ყუთი ჰქონდა. **ბელადი** მართლაც თვითონ ირემონტებდა ფეხსაცმელებს. მაგალითად, **ლევი სტურუა** მოწმობს, რომ ბელადის პირველად ნახვისას მის შტიბლეტებზე დიდი საკერებლების დანახვამ გააოცა (1948 წლის ზაფხული). ეკონომისთვის შეკერილი ფეხსაცმლის ამბავიც ნამდვილია. **ვალენტინა ისტომინა,** რომელიც ათწლეულების განმავლობაში უვლიდა მახლობელ აგარაკს, გამუდმებით კოჭლობდა. ბელადმა ეს შენიშნა და უთხრა, რომ მას საგანგებო, მორგებული ფეხსაცმელი სჭირდება, თვითონ აუღო ზომა და თვითონვე შეკერა ფეხსაცმელი, რომელშიც ქალი თავს მოხერხებულად გრძნობდა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ — **გენერალისიმუსი** საკუთარ შინამოსამსახურეს ფეხის ზომას უღებს.

დასასრულ კი შემოგთავაზებთ ეპიზოდს საქართველოს კპ ცკ-ის ყოფილი პირველი მდივნის **აკაკი მგელაძის** მოგონებებიდან. ერთხელ **სტალინი, კაგანოვიჩი** და **მგელაძე** ერთად აღმოჩნდნენ და **სტალინი** დაინტერესდა, როგორი ოჯახიდან იყო საქართველოს ხელმძღვანელი. **„უბრალო ოჯახიდან,** — უპასუხა მგელაძემ, — **მამაჩემი მეწაღე იყო." „ჩვენც არა ვართ ჰაბსბურგები,** — გაეცინა გენერალისიმუსს, — **მეც მეწაღის შვილი ვარ. აი, ლაზარი კი პროფესიით თვითონაც მეწაღეა".** მერე ასევე მხიარულად თქვა: **„რა გამოდის? მეწაღეებმა ხელისუფლების მწვერვალზე მოიკალათეს!"**

გენერალისიმუსი
2024 წლის 29 იანვარი. №7 (243)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# „თუ საქართველოს პარლამენტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტაცია ზის, მაშინ აფხაზეთმა და ცხინვალმა რა დააშავა?“

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №54, 2024 წლის №1–5*

***ცნობილი ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე საქართველოს ხელისუფლებას მიმართავს და კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ საქართველოს პარლამენტიდან გაგრელი, სოხუმელი, ოჩამჩირელი და ცხინვალელი კაცის ხმა უნდა ისმოდეს:***



## მაყვალა ბერიანიძე:

## რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარების უკან წაღება დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოიქცევა საქართველოს ხელისუფლება!

— წინა კვირას აფხაზეთში გალერეა დაიწვა, სადაც 4 ათასამდე ფერწერული ტილო და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი განადგურდა. მიმაჩნია, რომ ეს არ ყოფილა შემთხვევით გაჩენილი ხანძარი და მოხდა ვანდალური ფაქტი, რაც მიზნად ისახავს აფხაზეთის ისტორიის და, საერთოდ, აფხაზი ხალხის კულტურისა და მემკვიდრეობის წაშლას!

**— თქვენი აზრით, მაინც ვინ დაწვა სოხუმის გალერეა?**

— ამას რომ აფხაზი არ გააკეთებდა, დარწმუნებული ვარ! იმაშიც დარწმუნებული ვარ, დედამიწაზე არ მოიძებნება აფხაზი, რომელიც იტყვის — ეს ქართველებმა ჩაიდინესო! აქედან გამომდინარე, აფხაზებს ვურჩევ, კარგად მიმოიხედონ გარშემო, დაფიქრდნენ და ისე გამოიტანონ დასკვნა, თუ ვის ინტერესებში შედის აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის კვალის წაშლა და იმის მტკიცება, რომ აქ კოლხური ცივილიზაცია კი არ იყო, არამედ სულ სხვა ხალხი და ეთნოსი ცხოვრობდა. თუ აფხაზები ამ ყველაფერს ჩაუკვირდებიან, მიხვდებიან, რომ ჩვენ — ქართველებსა და აფხაზებს — მართლაც ერთმანეთი გვყავს გადასარჩენი! აფხაზეთში გალერეის დაწვამ გამახსენა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაჩენილი ხანძარი, როცა მაშინდელი კომუნისტური ხელისუფლება შეეცადა, ეს უბედურება ორ პიროვნებას შორის მომხდარ კამათთან დაეკავშირებინა.

**— სხვათაშორის, აფხაზეთიდან მოდის ხმები, რომლის თანახმადაც, ბედიის ტაძარი, სადაც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ მესამეა დასაფლავებული, გადათხრილი და გაძარცვულია, ხოლო ბაგრატის ფრესკა — წაშლილი და იავარქმნილი!**

— 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერში რუსეთის „იკომმა“ აფხაზეთის შესახებ გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც წერია, რომ ბედიის მონასტერში ბაგრატ მესამის ფრესკა აღარ არსებობს! მაგრამ იტალიელი სპეციალისტების ანგარიშით, ბაგრატ მესამის ფრესკა ნამდვილად ხელუხლებელია. ცნობებულმა **ირაკლი ბელენავამ** 2015 წლის 22 დეკემბერს გამართულ კონფერენციაზე აფხაზეთის კულტურული ფასეულობების შესახებ შესანიშნავი მოხსენება გააკეთა, მაგრამ ეს პიროვნება მერე სამსახურიდან გაუშვეს, რის გამოც ძალიან ინერვიულა და გარდაიცვალა. ფაქტია, რომ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა ისევე, როგორც აფხაზური ენა, გადასარჩენია!

**— თქვენმა მოწოდებამ საქართველოს პარლამენტში აფხაზეთისა და ცხინვალის დეპუტაციის აღდგენის შესახებ დიდი ინტერესი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია!**

— თუ ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ვიბრძვით, მაშინ იმ 150 კაცში სად არიან აფხაზეთისა და ცხინვალის დეპუტაციები? თუ საქართველოს პარლამენტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტაცია ზის, მაშინ აფხაზეთმა და ცხინვალმა რა დააშავა? დავუშვათ, ჩავატარეთ 2024 წლის შემოდგომაზე არჩევნები და ღმერთის ნებით ისე მოხდა, რომ ორ თვეში აფხაზეთსა და ცხინვალში საქართველოს იურისდიქცია აღდგა, რას ვაპირებთ, ორ თვეში ისევ არჩევნებს ვნიშნავთ? **რატომ არ ისმის საქართველოს პარლამენტიდან გაგრელი, სოხუმელი, ლესელიძელი, ოჩამჩირელი, ცხინვალელი და ჯაველი კაცის ხმა?** ოჩამჩირელი დეპუტატი რომ იყოს დღეს საქართველოს პარლამენტში, იმ ბაზაზე, რომელიც რუსეთმა აღადგინა, ხომ აყვირდებოდა და ხმას აღიმაღლებდა? რა გახდა ამის გაკეთება? **ვინ უფრო კარგად გვეტყვის სიმართლეს აფხაზეთზე, იქაური კაცი თუ თბილისელი?**

ახალგორიდან ვარ წარმოშობით, იქ არის ჩემი 19 წლის ძმის, ბებიისა და პაპის საფლავები... ყველაფერი ვიცი, ახალგორში რაც ხდება. ახალგორი რუსეთმა გადააქცია ერთ უზარმაზარ სამხედრო ბაზად და საკმარისია, რამე მოხდეს, ხუთ წუთში ავტობანს გადაკეტავენ და აქ გაჩნდებიან! ჩემი ბიძაშვილი — **ბადრი** იქ არის, არ წამოვიდა ახალგორიდან და როგორ ფიქრობთ, ახალგორის შესახებ ბადრიმ უფრო მეტი იცის თუ იმან, ვინც დღეს პარლამენტში ზის, მაგრამ ახალგორი თვალით არ უნახავს? ბოლოს და ბოლოს, **ჟიული შარტავა** გვყავს — ანგელოზი ბიჭი, რომელიც ბაბუამისის, უფროსი **ჟიული შარტავას** დახვრეტიდან სამ თვეში დაიბადა. **ასეთი კაცი პარლამენტში არ უნდა გვყავდეს და აფხაზეთს არ უნდა წარმოადგენდეს?** ხელისუფლებები ვერ ბედავენ, თორემ აფხაზებისა და ქართველების შერიგების პროცესი დაწყებულია. ულამაზესი აფხაზი გოგონა — **ქვიწინია** გახდა **ზოიძეების** ოჯახის რძალი, ხოლო იმ გოგონას ძმამ ქართველი გოგონა მოიყვანა ცოლად. **ქუთათელაძემ** შეირთო აფხაზი გოგონა... მოკლედ, ეს პროცესი დაწყებულია, მაგრამ აფხაზეთზე იმან არ უნდა ილაპარაკოს, ვინც რუკაზე სოხუმს უცბად ვერ პოულობს.

**— მსგავსი შერეული ქორწინებები კარგია, მაგრამ საქმეს ვერ შველის. მთავარია, ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს, რაც ჯერჯერობით არ ჩანს, ანდა ჩანს და ჩვენ ვერ ვხედავთ!**

— ახლა ისეთი ცუდი დროა, ხელისუფლება სწორედ ისე უნდა იქცეოდეს, როგორც იქცევა! ახლა სიფრთხილის დროა, შიში და სიფრთხილე სხვადასხვა რამეა და ერთმანეთში ნუ ავურევთ! „სუს“-ის დირექტორმა **გრიგოლ ლილუაშვილმა,** რომელიც ძალიან ღირსეული კაცია, მაგრამ, ფაქტობრივად, მარტოა, რა ქნას? საკმარისია, სახელმწიფომ რამე აქტიურობა გამოიჩინოს და თუნდაც ფარული დიპლომატია აამოქმედოს, რომ უცხო ქვეყნის აგენტები მაშინვე ჩასაფრებული არიან.

მიმოვიხედოთ გარშემო და დავრწმუნდებით, რომ საქართველოში ოცამდე ქვეყნის სპეცსამსახური მაინც მოქმედებს. **ლუკაშენკომ** შევარდნაძის დროს თბილისში ორჯერ გამოგზავნა ჯგუფი — მომეხმარეთ, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე რუსეთი მაწვება და უკვე ველარ ვუძლებო! არავინ იცის, თუ რისთვის ჩავიდა **ლუკაშენკო** აფხაზეთში, რაზეც ჩვენმა მიშისტურმა და ლიბერალურმა მასმედიამ ერთი ვაი-უშველებელი ატეხა. **წარმოიდგინეთ, აფხაზეთში ჩავიდა ადამიანი, რომელმაც არ აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ ამის მიუხედავად სოხუმში ტაშისკვრით შეხვდნენ.** გვყავდეს სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე, რომელმაც საუნივერსიტეტო სახალხო დიპლომატიის სტარტი გამოაცხადა, ენგურსგაღმა სო-

*გაგრძელება მე–20 გვერდზე*

**„გყავდეს სოხუმის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ხონელიძე, რომელმაც საუნივერსიტეტო სახალხო დიპლომატიის სტარტი გამოაცხადა, ენგურსგაღმა სოხუმის უნივერსიტეტთან ურთიერთობების დალაგება შეძლო და ასეთი კაცის პოტენციალს არ იყენებდე, წარმოუდგენელია!“**



## „არ მოიძებნება აფხაზი, რომელიც იტყვის – ეს ქართველებმა ჩაიდინესო!“

## კვირგვინოსნები

**ირაკლი პეტრიაშვილი**
*„საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების“ თავმჯდომარე*



ზუსტად ვიცი, **ვინ უშლიდა ხელს საქართველოს ევროინტეგრაციას, მართლა კაბინეტ-კაბინეტ ვინ დადიოდა** — კონკრეტული სახელი და გვარები ვიცი.

„ინტერპრესნიუსი“

**ზურაბ აბაშიძე**
*თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე*



დღეს საქართველოში **ოპოზიცია არის განადგურებული,** რაც ძალიან სამწუხაროა.

„ინტერპრესნიუსი“

**ავთანდილ ცინცაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



გასაკვირია, რა უნდა ასწავლოს **მოღალატე გახარიას** პარტიის წევრმა სხვას. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, ვფიქრობ, **ყველაზე დიდი სასჯელი თქვენთვის ხაბეიშვილის წინამძღოლობაა.**

„აიპრესი“

**კონსტანტინე ზარნაძე**
*თბილისის საკრებულოს წევრი*



ნაციონალური მოძრაობის წევრებს მოვუწოდებ, რომ **ქეზერაშვილის** ქონებას გადახედონ, თქვან, **საიდან დააგროვა ამდენი მილიონი წლების განმავლობაში. მან გაძარცვა ქართული ჯარი და ამ ნაძარცვი ფულით საზღვარგარეთ წავიდა.** მის დაქვემდებარებაში ხართ თქვენ და თქვენი პარტიული ტელევიზიაც, სადაც **ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას ასაღებენ, როგორც ცუდად გაკეთებულ საქმეს.**

„აიპრესი“

**გიორგი შარაშიძე**
*თბილისის საკრებულოში ფრაქცია „საქართველოსთვის“ წევრი*



**შეგახსენებთ „ოცნებას“:** თქვენსა და ნაცებს შორის არათუ რაიმე სხვაობა აღარ არის, არამედ **თქვენ ერთმანეთზე უარესები ხართ.**

„ინტერპრესნიუსი“



# მაყვალა ბერიანიძე:

# ხელისუფლებები ვერ ბედავენ, თორემ აფხაზებისა და ქართველების შერიგების პროცესი დაწყებულია!

დასაწყისი მე-19 გვერდზე

ხუმის უნივერსიტეტთან ურთიერთობების დალაგება შეძლო და ასეთი კაცის პოტენციალს არ იყენებდე, წარმოუდგენელია! ამიტომაც მოვუწოდებ ხელისუფლებას, აფხაზეთის დასაბრუნებლად პროფესორ **ზურაბ ხონელიძის** რესურსი გამოიყენოს!

**— ოჩამჩირის სამხედრო ბაზაზე რუსეთი რას გეგმავს და მოსალოდნელია თუ არა, რომ ეს ბაზა გახდეს უკრაინის სამხედრო დარტყმის ობიექტი?**

— არ ვფიქრობ, რომ ოჩამჩირის ბაზას უკრაინელები დაარტყამენ, თუმცა, ოჩამჩირესთან დაკავშირებით ერთს ნამდვილად მოგახსენებთ: 2014 წელი იყო, როცა აფხაზებმა გადაწყვიტეს, დაცარიელებულ ოჩამჩირეში გალის რაიონის საზღვრისპირა ქართველი მოსახლეობა, ფაქტობრივად, სამურზაყანოს ქართველობა ჩაესახლებინათ. მაშინ იქ სხვებს უნდოდათ ჩასახლება, მაგრამ იმ სხვებს, რომლებზეც ახლა შეგნებულად არ ვისაუბრებ, აფხაზებმა იქ ჩასახლების უფლება არ მისცეს. მიმაჩნია, რომ აფხაზეთიც საქართველოა, ოჩამჩირეც საქართველოა და **თუ რუსებს სურთ ოჩამჩირის სამხედრო ბაზა, მაშინ კეთილი ინებონ და საქართველოს ბიუჯეტში ფული გადაიხადონ!** ეს უნდა მოხდეს ზუსტად ისე, როგორც ყაზახეთს უხდის რუსეთი ფულს კოსმოდრომ ბაიკონურის გამო.

**— მერედა, რუსეთი ამაზე წამოვა? რუსეთს ხომ აფხაზეთი ოკუპირებული აქვს?**

— ჩვენ ეს უნდა ვთქვათ და რუსეთის პასუხს დაველოდოთ! რუსეთი არის უზარმაზარი იმპერია, რომელიც მოქმედებს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. შედიოდა რუსეთის ინტერესებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება 1920 წლის 7 მაისს, რადგან პოლონეთთან ომი ჰქონდა? ჰოდა, ადგა და აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა! მაგრამ მერე შედიოდა მის ინტერესებში ამ აღიარების უკან წაღება? ადგა და 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება თავზე დაგვამხო, როცა 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი არმია შემოიყვანა. ამიტომ რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის აღიარებას უკან წაიღებს თუ არა, ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოიქცევა საქართველოს ხელისუფლება! ხომ ხედავთ, პუტინი უკრაინის შესახებ რას აცხადებს — **უკრაინა თავის ტერიტორიულ მთლიანობას ვერასოდეს აღადგენსო! მაგრამ საქართველოს მისამართით ასეთი განცხადებები კრემლიდან არ ისმის.**

**— რატომ ვერ ელაპარაკება საქართველოს ხელისუფლება რუსეთს, ამერიკისა და მისი აგენტურის ეშინია?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: დღეს მსოფლიო უდიდესი პოლიტიკური რყევების ფაზაშია. ამიტომ ახლა ჩვენისთანა პატარა ქვეყნის მიერ შეცდომის დაშვება არაფრით შეიძლება. ერთხელ ილია მეორე მოსკოვს ესტუმრა. ჩვენმა პატრიარქმა მოახერხა და **პუტინის** პირისპირ მარტო დარჩა, სადაც საქართველოს შესახებ ილაპარაკეს. მოკლედ, ამ თემაზე ბევრს აღარ გავაგრძელებ, მაგრამ ამ შეხვედრამდეც და განსაკუთრებით პუტინთან პირისპირ შეხვედრის შემდეგ, პატრიარქი სულ ლაპარაკობს, რომ საქართველო გაერთიანდება და გაბრწყინდება. გამოვიდა ერთი ჩიტირეკია ექსპერტი და ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ორგვერდიან ინტერვიუში განაცხადა — **პატრიარქისა და პუტინის შეხვედრას არ დავსწრებივარ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რაც ილაპარაკესო!** ასეთი კაცი, რომელმაც თავი გადაგვჭამა, განა საგიჟეთში არ არის წასაყვანი? გამოვიდა მეორე კიდევ უფრო დიდი ექსპერტი და იმან ორსაათიანი ლექცია ჩაგვიტარა — რუსეთთან დალაპარაკება არ შეიძლებაო! შევეკითხე — ღმერთმა კარგად გიმყოფოთ, მშვენიერი შვილიშვილები გყავთ, მაგრამ ყაჩაღებმა რომ რამე მოგპაროთ, ვის დაელაპარაკებით-მეთქი? — ყაჩაღს! — მერედა, ასეა ჩვენი საქმეც, ყაჩაღს ჰყავს წაყვანილი ჩვენი შვილები — აფხაზეთი და სამაჩაბლო და ნება იბოძე, ეს შვილები გადაარჩინეთ-მეთქი! — არა, მე ეგრე არ მიფიქრია! — მიპასუხა. — იფიქრე, ძმაო-მეთქი! ასეა, **დასაბრუნებელი გვყავს შვილები, რომლებიც წაგვართვეს და ყველაფერი უნდა გავილოთ მათ გადასარჩენად!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



„სუს“-ის დირექტორმა გრიგოლ ლილუაშვილმა, რომელიც ძალიან ღირსეული კაცია, მაგრამ, ფაქტობრივად, მარტოა, რა ქნას? საკმარისია, სახელმწიფომ რამე აქტიურობა გამოიჩინოს და თუნდაც ფარული დიპლომატია აამოქმედოს, რომ უცხო ქვეყნის აგენტები მაშინვე ჩასაფრებული არიან!“



დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2023 წლის №11-54, 2024 წლის №1-5



*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა** ირწმუნება, რომ შევარდნაძეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობა კი არა, კრემლის პირველკაცობა და სტალინის სავარძელში მოკალათება სურდა:*

— საქართველოსა და ქართველების უდიდესი პრობლემაა, რომ, თუ დავით აღმაშენებლის, თამარისა და გიორგი ბრწყინვალეს ეპოქას სათვალავში არ ჩავთვლით, ჩვენ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ არა **ერთიან,** არამედ **საერთო საქართველოში!** ზვიად გამსახურდიას იდეა იყო, ჩვენ გვეცხოვრა **ერთიან საქართველოში.** ამ იდეას დაუპირისპირდა ე.წ. ელიტური ინტელიგენცია, რომელიც პირდაპირ კუჭითა და სწორი ნაწლავით იყო მიერთებული შევარდნაძესთან. საქმე ის გახლავთ, რომ, თუ საქართველო გაერთიანდებოდა, მაშინ შევარდნაძე საქართველოში ვერ ჩამოვიდოდა. ამდენად, როცა **ევგენი პრიმაკოვმა** შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საქართველოში **არძინბა** ჩამოიყვანა, შევარდნაძესა და არძინბას შორის შეთანხმება ვერ მოხდა სწორედ იმიტომ, რომ არძინბა არა ერთიან, არამედ საერთო საქართველოში ცხოვრებას ითხოვდა.

შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ომი ორ ეტაპად აწარმოვა. თავდაპირველად მან დაამხო და თბილისიდან გააძევა პირველი პრეზიდენტი და მისი ეროვნული ხელისუფლება, ხოლო მეორე ეტაპზე აფხაზეთიდანაც შეუტია, როცა 1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმში ბანდიტები შეიყვანა. დიახ, შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია იმიტომ დაამხო, რომ საქართველოსთვის აფხაზეთი ჩამოეცილებინა!

ზოგადად, შევარდნაძე გახლდათ ბოროტი ნიჭის განსახიერება, რომელსაც წინასწარი გათვლის გარეშე ნაბიჯი არ გადაუდგამს. **ლავრენტი ბერიას** არ მოუხდენია ხელოვნების, კულტურისა და ეკლესიის მსახურთა ისეთი პოლიტიზაცია, როგორც ეს შევარდნაძემ გააკეთა! მან ისარგებლა ლენინის ცნობილი თეზით და როგორც კი **მჟავანაძეს** გადატრიალება მოუწყო, ბრძოლა გამოუცხადა **„სამ მტერს“** — მექრთამეობას, ეკლესიასა და ეროვნულობას! ედუარდმა ოფიციანტი ქალები და მზარეულებიც კი ციხეში გაუშვა, რათა კრემლისთვის თავი მოეწონებინა. არადა, ყველაზე დიდი კორუფციონერი და მექრთამე სინამდვილეში თავად იყო...

**შევარდნაძემ თავისი ორმოცწლიანი მმართველობის განმავლობაში საქართველოში კორუფციული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა შექმნა, რომელიც დღესაც წარმატებით მოქმედებს. დღევანდელი პოლიტიკოსების უდიდესი უმრავლესობა, გნებავთ, პოზიციიდან და, გნებავთ, ოპოზიციიდან, სწორედ შევარდნაძესთან და მის ოჯახთან გახლავთ დაკავშირებული.**

იმ 500 ქართველი მილიონერიდანაც, რომელიც დღეს საქართველოს ჰყავს, აბსოლუტური უმრავლესობა შევარდნაძის კარის ბიზნესმენი გახლდათ. ეს იყო კაცი, რომელსაც შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრად ჰყავდა **შოთა კვირაია,** რომელმაც შევარდნაძის თვალწინ სამეგრელოში შვიდი ხელფეხშეკრული და მიწაზე გართხმული ახალგაზრდა დახვრიტა. სწორედ მას დაავალა **ჯაბა იოსელიანის** დაპატიმრება და ზვიად გამსახურდიას

## კვირგვინოსნები

**თენგიზ ფხალაძე**
*„ჭიპას“ ასოცირებული პროფესორი*



**თუ ჩინეთი მხარს დაუჭერს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ლტოლვილთა დაბრუნებას,** შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტნიორობის გამოცხადების შემდეგ **მან ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა პოზიცია.**

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი როსტომაშვილი**
*„არსის“ დამფუძნებელი*



90-იან წლებში **სარდაფებში რომ უნივერსიტეტები ჰქონდათ გახსნილი** და კადრებმა რომ დაამთავრეს, **დღეს ასპარეზზე არიან გამოსულები და გადაწყვეტილებებს იღებენ.**

„ახალი თაობა“

**ალექსანდრე კვახაძე**
*ბირმინგემის უნივერსიტეტის დოქტორანტი*



აფხაზებისთვის **ყველაზე დიდი მტერი** ორი ქართველია — **ლავრენტი ბერია და გია ყარყარაშვილი.**

აფხაზურ სამეცნიერო წრეებში **ძალიან პოპულარულია მითი, რომ მეგრელები და სვანები ქართველები არ არიან.** ამიტომაცაა, რომ **ცდილობენ გალში მეგრული პრესის, ტელევიზიის შექმნას და ქართული ენის მეგრულით ჩანაცვლებას.**

„კვირის პალიტრა“

**გრიგოლ გეგელია**
*„ლელოს“ წევრი*



**მე და ნაცმოძრაობის წევრი ერთ ექიმთან რომ დავდიოდეთ,** პოლიტიკურ მსგავსებაზე მიუთითებს თუ იმაზე, რომ ექიმი არის კარგი? **ვთანამშრომლობთ არაერთ ტოპწამყვან კონსულტანტთან,** მათ შორის ერთ-ერთი არის **ჯერემი როზნერი.**

„რეზონანსი“

# იგორ კვესელავა:

# შევარდნაძემ ზვიად გამსახურდია იმიტომ დაამხო, რომ საქართველოსთვის აფხაზეთი ჩამოეცილებინა!



ფიზიკური ლიკვიდაციაც.

**— თუმცა, ეს დავალება, როგორც ჩანს, მხოლოდ კვირაიასთვის არ მიუცია...**

— **შევარდნაძემ** ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად სამი ჯგუფი შექმნა — შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროსა და გია ჭანტურიას ბანდა. ეს უკანასკნელი, ძირითადად, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წევრებით გახლდათ დაკომპლექტებული. თუმცა, კიდევ იყო **სპეციალური ჯგუფი,** რომელიც ამ სამივე ჯგუფს აკონტროლებდა, მხოლოდ შევარდნაძის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და მოქმედებდა აბსოლუტურად დამოუკიდებლად.

**— ვინ ხელმძღვანელობდა სპეციალურ ჯგუფს?**

— სწორედ ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა **პოლკოვნიკი ბასიკაშვილი,** რომელიც არსად ჩანს და პრეზიდენტის მკვლელობის საქმეზეც არავის დაუკითხავს. ჩემი ინფორმაციით, ეს ჯგუფი აღჭურვილი იყო სპეცაპარატურით, რომელიც ამერიკელებისაგან მიიღეს. სამეგრელოში ჩამოსული ზვიად გამსახურდიას ყოველი ნაბიჯი და მოძრაობა სწორედ ამ აპარატურის საშუალებით კონტროლდებოდა. ასე დაიქვემდებარეს ზვიად გამსახურდიას „გარემოცვის გარემოცვა“, რაც შევარდნაძის მაღალჩინოსანმა **ავთანდილ იოსელიანმა** ერთ-ერთ ინტერვიუში ახსენა. ვინც ამ კონტროლს დაექვემდებარა, მაგალითად, **ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და ბაჩუკი გვანცელაძე,** ისინი გადარჩნენ, ხოლო დანარჩენები მოიშორეს და გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით, შევარდნაძეს წინ რამდენიმე სცენარი ედო. ერთ-ერთი ითვალისწინებდა პირველი პრეზიდენტის „თვითმკვლელობას“, მაგრამ ამის განხორციელება და შეფუთვაც ურთულესი საქმე იყო. მეორე სცენარი გახლდათ აფხაზეთში ომის დაწყება...

**— შევარდნაძემ აფხაზეთის ომი ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად დაიწყო?**

— რა თქმა უნდა! მთელი ის უბედურება, რაც შევარდნაძემ აფხაზეთში ჩაიდინა, ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — **ზვიად გამსახურდიას საკითხის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას!** ამდენად, შევარდნაძისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, გაგრასა და სოხუმში რამდენი ქართველი დაიღუპებოდა და ითამაშებდნენ თუ არა ჩვენი ბიჭების მოჭრილი თავებით მტრები ფეხბურთს, მთავარი გახლდათ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა პლაცდარმის მოშლა აფხაზეთში.



თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ **მერაბ კოსტავას** — ე.წ. დისიდენტი **თამრიკო ჩხეიძე,** ხოლო ზვიადს მკვლელები მიუჩინა! სხვათაშორის,

## „შევარდნაძემ მერაბ კოსტავას – ე.წ. დისიდენტი თამრიკო ჩხეიძე, ხოლო ზვიადს მკვლელები მიუჩინა!“

ჩემი ინფორმაციით, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი **თამრიკო ჩხეიძის** „დავერბოვკება“ მოხდა მას შემდეგ, რაც შევარდნაძის ცეკას პირველი მდივნობის დროს სვეტიცხოველში მცხეთობის დღესასწაულში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს. **თამრიკო ჩხეიძემ** კარგად იცის, რომ უშიშროებაში მისი აგენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები დევს,

რის გამოც დამფრთხალია და ტელეეკრანიდან ხანდახან თუ ბედავს ხმის ამოღებას.



მერაბ კოსტავა და თამარ ჩხეიძე

გადატრიალების შემდეგ, როგორც კი ზვიად გამსახურდია საქართველოდან გააძევა, ვიდრე თბილისში ჩამოვიდოდა და ხუნტას სათავეში ჩაუდგებოდა, **ედუარდ შევარდნაძემ** საქართველოში 22 უცხოური სეიფი გამოაგზავნა. მათ შორის ერთ სეიფს ედუარდი არ შორდებოდა და სადაც წავიდოდა, სულ თან დაჰქონდა!

**— ეს სეიფები საქართველოში ვინ ჩამოიტანა?**

— სეიფები შევარდნაძემ იმ მოჭიდავეებსა და სპორტსმენებს ჩამოატანინა, რომლებიც **მამიაშვილის** მეთაურობით ედუარდსა და მის ოჯახს მოსაკოვში იცავდნენ. ცნობისათვის, ედუარდი, როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივნის **ჯეიმს ბეიკერის** პირადი აგენტი, დაცვის განსაკუთრებული მომსახურებით სარგებლობდა...

**— რა იყო იმ 22 სეიფში?**

— ეს არავინ იცის, მაგრამ, ხომ გეუბნებით, ერთ-ერთ სეიფს, სადაც გინდა წასულიყო, ამერიკაში, ბრიტანეთში თუ დასავლეთ საქართველოში, შევარდნაძე სულ თან დაატარებდა. დარწმუნებული ვარ, მასში ოქრო და ბრილიანტები არ იქნებოდა. სავარაუდოდ, შევარდნაძეს აქ შენახული ჰქონდა სკანდალური დოკუმენტები. ედუარდი კომპრომატებს თვით **გორბაჩოვის** წინააღმდეგაც კი აგროვებდა, რის შესახებაც მან შეიტყო და შევარდნაძესთან ურთიერთობა სწორედ ამის შემდეგ გაუფუჭდა. აი, მაგალითად, ცნობილია, რომ ე.წ. **აბაშის ექსპერიმენტის** დროს, როცა სტავროპოლის მხარის ცეკას საოლქო მდივანი **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი** აბაშის რაიკომის მდივანს **გურამ მგელაძეს** ეწვია, აბაშაში მას შევარდნაძეც დახვდა და სწორედ იქ გადაიკვეთა მათი გზები.

## შევარდნაძის მიზანი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობა კი არა, სტალინის სავარძელში ჩაჯდომა და კრემლის პირველკაცობა იყო. ამ გზაზე ის არავის და არაფერს ერიდებოდა.

1987 წლის 28 მაისს, სწორედ საბჭოთა სასაზღვრო ჯარების დღეს, 18 წლის გერმანელმა **მათიას რუსტმა** ათასი კილომეტრი იფრინა და მსუბუქი ჩეხური თვითმფრინავი „ჩესნა“ კრემლთან, წითელ მოედანზე, დასვა. ამ ინციდენტს საბჭოთა კავშირის სამი მარშალი და სამასი გენერალი შეეწირა, მათ შორის, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი **სერგეი სოკოლოვი.** არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ სოკოლოვსა და მის გუნდს, რომლებიც ამერიკის მიმართ გორბაჩოვისა და შევარდნაძის პოლიტიკას არ ემხრობოდნენ და, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირის გადასარჩენად იბრძოდნენ, გორბაჩოვმა მათიას რუსტის სახით პროვოკაცია მოუწყო. ვიცნობ რა მისი, როგორც ინტრიგების ხლართვის ოსტატის ხელწერას, არ გამოვრიცხავ, რომ ამ პროვოკაციაში გორბაჩოვთან ერთად შევარდნაძეც მონაწილეობდა.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი*



**თინა ხიდაშელის** ორგანიზაცია **ტაივანიდანაც იღებს დაფინანსებას.** დიახ, **ტაივანი არის დემოკრატიის კუნძული ჩინეთში,** ამას მთელი მსოფლიო უყურებს.

„პირველი არხი“

**თინა ხიდაშელი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**შალვა პაპუაშვილი კაცის კაციც** კი არ არის, **კაცის კაცის კაცია.**

„ახალი თაობა“

**ვახტანგ კაპანაძე**
*„ჯეოქეისის“ მკვლევარი, გენერალ-მაიორი*



არა მგონია, ამ ეტაპზე **რუსეთს ჰქონდეს შესაძლებლობა ან სურვილი, რომ უშუალოდ ნატოს დაუპირისპირდეს.**

„კვირის პალიტრა“

**კირილ ბუდანოვი**
*უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელი*



**რუსეთის ძლევამოსილების შესახებ ლეგენდა საპნის ბუშტია.**

„რეზონანსი“

**დმიტრო კულება**
*უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი*



იარაღი რომც დაგვიმთავრდეს, **ნიჩბებით ვიბრძოლებთ,** უკრაინისთვის სასწორზე ერის არსებობა დევს.

„ინტერპრესნიუსი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



მამაკაცს თუ **სამობილიზაციო ასაკი** აქვს, უკრაინაში უნდა იმყოფებოდეს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# ჯობს, ბოკუჩ ებულში იყვნენ!




**დეპუტატი ბოკუჩავა** თავისივე პირითა და ჭუტლექსაანთ ხელშეწყობით ამტკიცებს, რომ **2008 წლის ომთან დაკავშირებით შეკითხვები აღარავის დარჩა** კრემლის ნების აღმსრულებელი „ქართული ოცნებისა" და პუტინის დავალებების შემსრულებელი „ხალხის ძალის" გარდა. უფრო მეტიც, ომი რომ რუსეთმა დაიწყო, შეკითხვები ამაზეც აღარ არსებობსო.

**არ არსებობს კი არა, ახლა არსებობს, თუ არსებობს:**

**1. რატომ** გადაარქვეს სახელი კოდორის ხეობას ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, რატომ დაარქვეს ზემო აფხაზეთი და რატომ დათმეს ტყვიის გავარდნის გარეშე?

**2. რატომ** გადაიყვანეს ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მთავრობა ზემო აფხაზეთში, ანუ კოდორის ხეობაში, რატომ შეიტანეს უახლესი კომპიუტერული ტექნიკა, სამარი აღჭურვილობა, იარაღი და რატომ ჩააბარეს ყველაფერი რუსებს?

**3. რატომ** გადაუფორმეს რუსებს 70-ზე მეტი სტრატეგიული ობიექტი ომის დასრულებიდან რამდენიმე დღეში?

**4. რატომ** გადაიფორმეს გიული ალასანიამ და სხვა ე.წ. ბობოლებმა უამრავი სახელმწიფო ქონება 2008 წლის 9-10-11 აგვისტოს 1 ლარად?

**5. რატომ** გაქუსლეს ნაცმოძრაობის ე.წ. ლიდერებმა, მთავრობის წევრებმა და დეპუტატებმა წითელი ხიდისკენ მაშინ, როცა თბილისი იბომბებოდა? პრინციპში, მხოლოდ წითელი ხიდისკენ არა, კახეთის ტრასაზე რიგები იდგა, ნაცები თავშესაფარს აზერბაიჯანსაც სთხოვდნენ!

**6. რატომ** უწოდა მიხეილ სააკაშვილმა შიდა ქართლის 180-მდე სოფელს ქვების გროვა?

**7. რატომ** გადახნა ცხვირით იმავე სააკაშვილმა გორში მინდორ-ველები?

**8. რატომ** მიატოვა „ბრონიჟილეტიანმა" სააკაშვილმა „შარვალ-კასტუმიანი" საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი?

**9. რატომ** შეიტანეს ნაცებმა"ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე ცხინვალში ავტობუსებით დროშები და ბუშტები?

**10. რატომ** მოაწერეს ხელი ნაცებმა ევროსაბჭოს რეზოლუციას, სადაც დააფიქსირეს, რომ ომი საქართველომ დაიწყო?

**11. რატომ** ღეჭავდა იმ დღეებში სააკაშვილი ჰალსტუხს და რატომ მიირთმევდა მუდმივად დედიმისისას?

**12. რატომ** არ მოხდა შიდა ქართლში მოსახლეობის ევაკუაცია, როცა გარკვეულ წრეებში ჯერ კიდევ 4 აგვისტოს იყო ცნობილი, რომ რაღაცა იწყებოდა?

**13. რატომ** დაყარეს ე.წ. სარდლებმა ცხინვალის ქუჩებში ქართველი წვევამდელების ცხედრები, რომლებიც მოგვიანებით პატრიარქმა გადმოასვენა?

☺

**გავაგრძელოთ?**

**ჰმ... შეკითხვები აღარ არსებობსო!**

შეკითხვები აღარ არსებობს კი არა, ჯერ პასუხი არც ერთზე არ გახლავთ გაცემული და კიდე აქეთ იბრიქებიან.

მე პირადად ვისაც ვკითხე, ვერავინ მიპასუხა — **რატომ დაერქვა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი?**

ალბათ, პასუხი ვიღაცას აქვს, მაგრამ ყველა გაჩუმებულია, ემანდ რუსეთუმეობა არ დამწამონო.

**გინდათ რუსეთუმეობა დამწამეთ, გინდათ — ოსეთუმეობა, მითხარით, რატომ დაერქვა კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი?**

**რა, ეს არ იყო გამიზნული ღალატი?**

ასე რომ, ეგ **ბოკუჩავები** ბევრს ნუ ილაქლაქებენ და ჯობია, **ბოკუჩებულში** იყვნენ!

# ჯახნამამდის გზაც ჰქონიათ!



აგი ჯეელი საპარლამენტო ქანდარიდან გველაპარაკებოდა მამულიშვილობაზე, მორალზე, კანონზე, ნაღდ ევროპიელობაზე, დასავლურ ღირებულებებზე, გაგებასა და დახეულ ჯინსებზე, ახლა კი იძახის: **დიახ, ჩემი ცოლის ორგანიზაცია დაფინანსებას ტაივანიდანაც იღებსო.**

ტაივანიდანა-ცო!

გამოდის, **ასევე იღებს მანჯურიიდან, კენიიდან, ეთიოპიიდან, ბურკინა-ფასოდან, კონგოდან, მაროკოდან, ჯახნამიდან და არდან-ბურდანიდან.**

**აი, ვეღარ გავიგე, ბოლო-ბოლო ვისი ჯაშუშები არიან ესა და ამისი ცოლი თინა ძალო?**

**ნუთუ ყველასი?**

**ნუთუ ჯახნამისაც და არდან-ბურდანისაც?**

კი მაგრამ, რა ინტერესები უნდა ჰქონდეთ **ჯახნამასა** და **არდან-ბურდანს** საქართველოში?

☺

ჩემი აზრით, ჩამოთვლილ ქვეყნებს იმიტომაც მისდით საქმეები უკუღმა, **თინა ძალო** რომ ჰყავთ მთავარ ჯაშუშად კავკასიაში და მის მთავარ ასისტენტად **ბატონი უსუფა უზით.**

**ასე რომ, ჯახნამამდის გზაც ჰქონიათ!**



# პრო(ფუჰ!)სორები




სამოქალაქო **აქტივისტები თუ ტრაქტორისტები** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს **ჯაბა სამუშიას** მიადგნენ — კეკელიძეზე გამოსახლების დროს **ორი პროფესორი** რომ დააკავეს, ეგენი გაათავისუფლე, თორემ საპროტესტო აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს და შემდეგ მთელი საქართველო მოიცვებაო.

**მივმართავ თსუ-ს დაკავებულ „პრაფესორებს"!**

თქვე ჩემის ვართაპეტიანებო, თუ მართლა **პროფესორები** ხართ, საქმეს მიხედეთ, ლექციები წაიკითხეთ, სტუდენტები აღზარდეთ, გამოსახლებებზე რომ დარბიხართ და მტყუან-მართალი ვერ გაგირჩევიათ, ეგ რა თქვენი გასარკვევ-გადასაწყვეტია?! **თან რომ ჩაქუჩით სახელმწიფო დანიშნულების ავტომობილს მიადექით და ამტვრევთ, სირცხვილის გრძნობა სულ დაკარგეთ?**

ჰი, ჰი, ჰი! **პროფესორები** არა, შაშა, კოლა და **თემურ ჭყონია!**

## კვირგვინოსნები

### სალომე ზურაბიშვილი
*საქართველოს პრეზიდენტი*



**მიუღებელია ადამიანების გამოსახლება ზამთარსა და თოვლში,** მათი საკუთრების დაზიანება, მათი ღირსების შელახვა, **მევახშეების წახალისება.**

„რეზონანსი"

### მამუკა ხაზარაძე
*„ლელოს" ლიდერი*



ზამთარში **ოჯახების გარეთ გამოსახლება კატასტროფაა,** ჩემ დროს მსგავსი რაღაც არ ხდებოდა.

„იმედინიუსი"

### ზურაბ ჯაფარიძე
*„გირჩი — მეტი თავისუფლების" ლიდერი*



ვალს გადახდა სჭირდება — **თუ არ იარსებებს მექანიზმი, როგორ შეიძლება ადამიანი აიძულო, რომ ვალი გადაიხადოს, არავინ ვალს არ გადაიხდის** — არ მგონია, რომ **მევახშეობაში** რაიმე პრობლემა იყოს.

„ინტერპრესნიუსი"

### დავით მათიკაშვილი
*პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დროს **ხალხს სახლიდან პანჩურით ყრიდნენ, მამუკა ხაზარაძემ** კი საკუთარ გულში ჩაიხედოს, **ვინ ვის როგორ ასახლებდა.**

„ინტერპრესნიუსი"

### იაგო ხვიჩია
*„გირჩის" ერთ-ერთი ლიდერი*



**თუ სალომე ზურაბიშვილი ქართული ოპოზიციის ლიდერი გახდება, გამოდის, რომ „ქართული ოცნების" მეგობარი არის ოპოზიციის ლიდერი** — არ ვიცი, ამას იზამს თუ არა ოპოზიცია, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ **მე ამ საქმეში არ გავერევი.**

„ინტერპრესნიუსი"

# ხაზარაძის «ჩემ დროში»

***1989 წლის ავბედითი 18 თებერვლიდან ლამის 35 წლის შემდეგ მამუკა ხაზარაძემ ახალი სიბრძნე წამოაწვინა — ზამთარში გამოსახლება დაუშვებელია, ჩემ დროს ეგეთი რაღაცები არ ხდებოდაო*** *(აქ უნდა გავიცინოთ, სავალდებულოა!),* ***მითუმეტეს, როცა ამოცანა გვეკითხება: რას ნიშნავს „ჩემ დროს“? როდის იყო მისი დრო, საკაშვილის ზეობის ხანაში?***

მე არ ვიცი, კეკელიძის ქუჩაზე დატრიალებულ გაწი-გამოწიში ვინ მტყუანია და ვინ მართალი, მხოლოდ ერთს ვიტყვი — თუ ისესხე, უნდა დააბრუნო, თუ ვერ აბრუნებ, ეცადო, სარფიან გარიგებაზე წახვიდე, ამ დროს ვირზე შეჯდომა დამღუპველია. არადა, დაუჩემებიათ — უკანონო გამოსახლება იყოო... რანაირად იყო უკანონო, როცა პოლიციას სასამართლოს გადაწყვეტილება ეჭირა ხელში?

ჰოდა, იმის თქმა მინდოდა... **ბატონ მამუკის** ეგრევე ამოუყარეს, რამდენი ადამიანი ჰყავს **„თავის დროს“** გამოსახლებული და რამდენი ქონება აქვს **„თავის დროს“** წაღებული. ეს არ გახლავთ ერთი, ორი და სამი, ეს არის ასობით და ათასობით.

წარმოგიდგენიათ?

**ასობით და ათასობით!**

ახლა კი იმას მოგიყვებით, როგორ მიანგარიშა **ხაზარაძის კანტორამ** ვალის დაბრუნება.

მართალია, ჩემი ვალი სხვა ვალებთან შედარებით სასაცილოა, მაგრამ მე ვლაპარაკობ მიდგომაზე, წაგლეჯვასა და დამოკიდებულებაზე, ანუ იმაზე, როგორ ლაპარაკობს ჩათლახი პატიოსნებაზე:

**„თიბისის“** ბარათი მქონდა, რომლის საშუალებითაც კაი ხანს ხაზარაძეს „ხარკს“ ვუხდიდი. ეს ის ბარათია, რაღაც თანხას ,,საჩუქრად“ რომ დაგისვამენ ანგარიშზე, სანამ დახარჯავ, გიხარია და მერე ყოველი თვის ბოლოს თუ ვერ შეავსებ, პროცენტებს იხდი.

ამასწინებზე, როცა უკვე ძალიან ამომივიდა ყელში და მთლიანი თანხაც მოვიგდე ხელში, ეგრევე მივედი ერთ-ერთ ფილიალში ე.წ. კრედიტის გასაუქმებლად და ე.წ. ,,ერთგული ბარათის“ დასაჭრელად. ვიფიქრე, რაღა ხაზარაძეს ვაძლიო ყოველი თვის ბოლოს 70-80 ლარი პროცენტად, სჯობს, ჩემ შვილიშვილებს ვუყიდო კანფეტები-მეთქი და... ალბათ დამეთანხმებით, არცა ვტყუოდი. თან ამ შემთხვევაში ერთი ,,საინტერესო“ მომენტიც იყო — **ბანკი პერიოდულად ამ ე.წ. საკრედიტო თანხას ზრდიდა, ვითომ მასაჩუქრებდა — თუ იყო 2 ათასი, ცოტა ხანში გახდა 4 ათასი, მერე — 6 ათასი და ასე შემდეგ.**

ჰოდა, მივედი, მივიტანე მთლიანი თანხა ვალის დასაფარავად და ოპერატორს ამაყად განვუცხადე, რომ ამიერიდან აღარ მსურდა **მამუკა ხაზარაძესთან** რაიმე სახის ურთიერთობა, ახლავე, ამ წუთას ჩემ თვალწინ ბარათი დაჭერით-მეთქი, თან წარმოვიდგინე, როგორ გავულაწუნე ბატონ მამუკის კაუჭიან ცხვირში თავისი ბარათი და როგორ დახარა თავი შერცხვენილმა.

ოპერატორმა გოგონამ — არ არი პრობლემაო!

ძალიანაც კარგი-მეთქი!

მან ჩემი მონაცემები კომპიუტერში შეიყვანა, ცოტა ხანს იჩირთიფირთა და მეუბნება — **ძირითადი თანხისა და პროცენტის გარდა კიდევ 240 ლარი გექნებათ გადასახდელიო.**

მე მთლიანი თანხა მოვიტანე, პროცენტსაც გადავიხდი, ეს 240 ლარი რაღაა-მეთქი?

იცით, ესაო, ისაო, **აისერიო, მაისერიო, მისერი და მისერო.**

რა-მეთქი?

**აი, მთლიანი თანხა ხო არი, მერე არი პროცენტი და კიდე იმის პროცენტიო.**

ვერ გავიგე-მეთქი!

**აი, ეს ხო წრე არიო?**

დიახ-მეთქი.

**ჰოდა, ლავუაზიეს კანონის, ანუ ხაზარაძის კანონის თანახმად, დამატებით 240 ლარი გაქვთ გადასახდელი, ფეხები ეტევა და ტანი ვერაო.**

ვერაფერი გავიგე, მაგრამ ჯანდაბას, დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია სიმართლე-მეთქი?

ჯიბეები კარგად მოვიქექე, გონებაში მივდექ-მოვდექი და 239 ლარი მოვაგროვე.

დიახ, მეგობრებო, **6 ათასი ლარის გარდა, კიდე 239 ლარი მოვაგროვე,** 1 ლარი მაინც დამაკლდა!

ოპერატორ გოგონას მივაჩერდი — **რა ვქნა, მეტი არ მაქვს-მეთქი.**

ჰოდა, ბარათს ვერ გავაუქმებო.

გავიჭედე!

მაიცა, „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე მაქვს რაღაც თანხა, 1 ლარი იქიდან წამოვიღოთ-მეთქი.

**არა, წადით, სადმე მაგ ბანკის ბანკომატი იქნება, გამოიტანეთ და მოდით, დაგელოდებითო.**

დამელოდები, აბა, სად წახვალ-მეთქი? — გავიფიქრე გულში და წავედი. ბედი არ გინდა? გზის მეორე მხარეს იმ ბანკის ბანკომატი არ მუშაობდა.

დავბრუნდი.

ერთი იდეა მაქვს — **მე რომ ხშირად თანხა მეტობით შემომქონდა, ის სადღაც უნდა იყოს დაგროვილი, 1 ლარი იქიდან წამოვიღოთ-მეთქი** — ვეუბნები ოპერატორ გოგონას.

არა, ეგეთი რამე არ არსებობს, თუ თანხა მეტობით შემოგქონდა, ძირითად თანხას ემატებოდაო.

კი მივხვდი, რაღაცას მატყუებდა, ან უცოდინრობით მოსდიოდა, მაგრამ მაინც თავი დავუქნიე. ბოლოს ცოლს გადავურეკე და 1 ლარი მომიტანა.

განა წუთისოფელი ერთბაშად გაახარებს ვინმეს? ოპერატორი გოგონა მეუბნება — **ორ დღეში მობრძანდით და ბარათს გავაუქმებო.**

ახლა რა უჭირს-მეთქი?

ვერაო, ორ დღეში გელოდებითო.

მივედი... ზუსტად ორ დღეში!

ისევ წარმოვიდგინე, როგორ გავულაწუნე ხაზარაძეს ბარათი მოკაუჭებულ ცხვირში.

ოპერატორმა გოგონამ მონაცემები შეამოწმა, ვიღაცას დაურეკა, ცოტა ხანს ისევ იჩირთიფირთა და ოპერატორ ბიჭთან გამაგზავნა, იქვე მეზობლად.

ოპერატორმა ბიჭმა — **ბატონო გელა, მეტობით რომ თანხა შემოგქონდათ, ის არის დაგროვილი ერთ-ერთ ანგარიშზე და უნდა გაიტანოთო.**

ვახ, რამდენია-მეთქი?

45 ლარიო.

**მერე, 1 ლარზე რატომ მაწვალეთ-მეთქი?**

ეგ მე არ ვიციო.

კაი, არ იცი, ნუ იცი... აი, დარდი-მეთქი. გონებაში გადავიანგარიშე, 240-ს 45 გამოვაკელი და გული დამწყდა, **ხაზარაძემ 195 ლარი მაინც ამახია.**

არა, მე იმას კი არ ვამბობ, ვალი არ უნდა დააბრუნოთ-მეთქი, რასაკვირველია, უნდა დააბრუნოთ, მაგრამ რაღაცას რომ გახევენ, ხომ უნდა იცოდე, რას გახევენ?

ჰოდა, ახლა ეს ხაზარაძე გველაპარაკება — **ჩემ დროს** ეგეთები არ ხდებოდაო.

ჰა, ჰა, ჰა!

**ჩემ დროსო.**

**შენ დროს** კი არა, შენ ბანკში ახლაც იგივე ხდება, რაც მუდამ ხდებოდა!

1 ლარს არავის აპატიებ, ბიჭო, 1 ლარს!

1 საათით რომ ვინმემ გადაგიცილოს, ეგრევე 20-ლარიან ჯარიმას ააკრავ!

ეგ კი არა, ბოლოს 13 თეთრი ნაშთი დარჩა და ბარათი ვერ დაჭრეს, სანამ შენს რომელიღაცა ანგარიშზე არ დასვეს, ამის გამო კიდე 1 საათი მალოდინეს.

13 თეთრი, გესმის?!

***გელა ზედელაშვილი***






**P.S.**

„მუსტანგი“ რაღა შუაშიაო? იკითხავთ, ალბათ, და მართლებიც იქნებით. ამასწინებზე **ხაზარაძემ** თავისი გარაჟიდან ამერიკული „მუსტანგი“ გამოაგორა — **სოფელ-სოფელ ამით უნდა ვიარო, მოსახლეობას შევხვდე და ბიძინა ივანიშვილი დავამარცხო-ვო.** თან იმავე ბიძინა ივანიშვილს დროს უთვლის — **ამდენი და ამდენი დღის შემდეგ მოსკოვში იქნებაო.** ჰა, ჰა, ჰა! ემანდ, 2024 წლის 18 თებერვლისათვის, **მერაბ კოსტავასთვის მიყენებული შეურაცხყოფის 35-ე წლისთავზე,** თვითონ არ აღმოჩნდეს გეპეის პირველი კორპუსის წინ, გადაჭრილი სკამის ფეხით ხელში!

## კვირგვინოსნები

**ალი ბაბაევი**
*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე*



ვუსმენდი „ლელოს“ ლიდერის **მამუკა ხაზარაძის** გამოსვლას, რომელიც სხვადასხვა რეგიონში ოფისებს ხსნის და პარტიის წარმომადგენლებს ნიშნავს — მათ შორის მარნეულშიც და მინდა, შევახსენო მას, რომ სწორედ მათი, **ხაზარაძე-ჯაფარიძის ხელმძღვანელობის პერიოდში 15 ოჯახს გაუყიდა ბინები მარნეულში „თიბისი ბანკმა“,** თან ისე, რომ მეპატრონეებიც არ გააფრთხილა. ეს ადამიანები წლების განმავლობაში **კორუფციით და ათასი მაქინაციით მდიდრდებოდნენ** და ახლა რა სინდისით დგანან ხალხის წინაშე, როგორ ბედავენ და ატყუებენ მათ?!

„საერთო გაზეთი“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



ხელისუფლებით იმედგაცრუება ოპოზიციის სანდოობას არ ნიშნავს. **გაიხსენებენ, თუ როგორ იდგა ზურა ჯაფარიძე საოკუპაციო ხაზთან შარვალჩახდილი. მამუკა ხაზარაძეზე გაიხსენებენ, თუ როგორ ყრიდა მისი ბანკი ხალხს იპოთეკაში ჩადებული ბინებიდან** და ა.შ. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყავს ისეთი ოპოზიციური ძალები, რომელთა ერთადერთი მინუსი მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობასთან ურთიერთობაა, **მათ თავიანთი ცოდვაც ბევრი აქვთ.**

„კვირის პალიტრა“

**რომან გოცირიძე**
*„ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი*



სანამ ნაციონალურ მოძრაობაში ვიყავი, **ბანკებისთვის მევახშეს არ ვაძახებინებდი** და არც სიტყვა **„მევახშის“** გამოყენება ხდებოდა იშვიათი შემთხვევების გარდა.

„აიპრესი“

**დავით გამყრელიძე**
*ყოფილი დეპუტატი*



ჯერჯერობით **ამ ეტაპზე არ ჩანს არანაირი ნიშანი** იმისა, რომ **ოპოზიციას** შეუძლია **„ოცნებას“** მოუგოს.

„ახალი თაობა“



# რა უნდა ვიცოდეთ

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე გაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი-ფორტე“,** რომლებსაც ათასობით ადამიანი ღებულობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.




**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

## კახა საბახტარიშვილი:

## ეს უნიკალური პრეპარატი ღვიძლის გაცხიმოვნებისა და ციროზის დროს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელსაც ექიმები რატომღაც იგნორირებას უკეთებენ!

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ქოლესტერინთან დაკავშირებულ არაერთ მითს აქარწყლებს და აცხადებს, რომ სტატინები, რომლებსაც მაღალი ქოლესტერინის დროს პაციენტებს უნიშნავენ, გულის კუნთის გამართულად მუშაობას ანგრევს:***

— საქართველოში **ქოლესტერინის** ანალიზს ყოველდღიურად ათასობით ადამიანი იკეთებს და შედეგებს მოუთმენლად ელოდება. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, თუ საერთო ქოლესტერინი მაღალია, ხოლო ე.წ. ცუდი ქოლესტერინი — ნორმაზე მეტი, მაშინ ადამიანის ჯანმრთელობას დიდი საფრთხე ემუქრება. ეს აზრი თითქმის 50 წელზე მეტია, გაბატონებულია, მაგრამ 2018 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კარდიოლოგთა ასოციაციამ აღიარა, რომ **„საერთო ქოლესტერინს გულის დაავადებებთან არსებითი კავშირი არა აქვს!“** ბუნებრივად დაისმის კითხვა — ნუთუ მართლა ასეთი საფრთხის შემცველია მაღალი ქოლესტერინი და ქოლესტერინით მდიდარი საკვების მიღება?

ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ ორგანიზმისთვის საჭირო ქოლესტერინის 75 პროცენტს თავად ორგანიზმი გამოიმუშავებს! ეს დაახლოებით 30 გრამი ქოლესტერინია დღე-ღამეში... 30 გრამი ქოლესტერინი საკვების სახით რომ მივიღოთ, 24 საათის განმავლობაში შემდეგი პროდუქტები უნდა შევჭამოთ: 14 ცალი კვერცხი, 300 ნაჭერი ბეკონი და ნახევარი კილოგრამი კარაქი, რაც ცხადია, წარმოუდგენელია. ნორმალური ადამიანი ამდენ საჭმელს ამ ხნის განმავლობაში ვერაფრით შეჭამს. ამიტომ ე.წ. უქოლესტერინო დიეტა — **კვირაში მაქსიმუმ 2-3 ცალი კვერცხის მიღება, კარაქისა და ბეკონის მნიშვნელოვნად შეზღუდვა, ცხიმებზე საერთოდ უარის თქმა და მრავალი ასეთი „რჩევა“** — არამარტო არაფრის მომცემი, არამედ ჯანმრთელობისთვის ძალზე საზიანოა!

**— რატომ გამოიმუშავებს ორგანიზმი ყოველდღიურად ამდენ ქოლესტერინს?**

— ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 100 ტრილიონი უჯრედისგან შედგება. ყველა მათგანს აქვს თავისი გარსი, რომლის საშენი მასალაც სწორედ ქოლესტერინია. რამდენიმე წლის წინათ ვწერდით, რომ ამერიკის პრეზიდენტი, გენერალი **დუაიტ ეიზენჰაუერი** პირადმა ექიმებმა დაბალქოლესტერინულ დიეტაზე დასვეს, რადგან ქოლესტერინი მტრად მიაჩნდათ. შედეგად — **უჯრედებმა ქოლესტერინის სახით საკმარისი საშენი მასალა ვერ მიიღეს და ამ ე.წ. დიეტიდან ორი წლისთავზე პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გარდაიცვალა.**

ადამიანის ორგანიზმისთვის ქოლესტერინის როლი განუზომელია. D ვიტამინს სწორედ ქოლესტერინი ქმნის, რომლის როლი ორგანიზმისთვის განუზომლად დიდია. გარდა ამისა, როგორც ქალის, ისე კაცის ყველა სასქესო ჰორმონი — **ტესტოსტერონი, ესტროგენები, პროგესტერონი, ოქსიტოცინი** — ქოლესტერინისგან წარმოიშობა. ნაღველსაც ქოლესტერინი ქმნის. ნაღვლის გარეშე კი ცხიმების დაშლა და ცხიმებიდან ცხიმში ხსნადი ვიტამინების გამოყოფა შეუძლებელია. ქოლესტერინს უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო მოქმედებაც გააჩნია, კერძოდ, თუ ორგანიზმში რაიმე ინფექცია შეიჭრა, ქოლესტერინი მატულობს და ბაქტერიულ ტოქსინებს ანეიტრალებს.

**— თუ ქოლესტერინს ამდენი სიკეთე მოაქვს, მაშინ რატომ იბრძვის ხალხი მის წინააღმდეგ?**

— ქოლესტერინი ორ ჯგუფად იყოფა — ე.წ. კარგი, ანუ მაღალი სიმკვრივის ქოლესტერინი და ცუდი, ანუ დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი. უფრო ზუსტი იქნება, თუ გამოვიყენებთ ტერმინს — **„მაღალი და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინები“.** ქოლესტერინი ცხიმია და წყალსა და სისხლში არ იხსნება. ის მოქცეულია ლიპოპროტეინების კაფსულაში, ერთგვარ კონტეინერში, რომლის მეშვეობითაც ქოლესტერინის ტრანსპორტირება ხორციელდება. **მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებს ქოლესტერინი სისხლძარღვებიდან გამოაქვს და ღვიძლში მიაქვს.** ასეთი ლიპოპროტეინი კარგად ითვლება. **დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინს კი ქოლესტერინი ღვიძლიდან არტერიებსა და უჯრედებში გადააქვს.** ასეთ ლიპოპროტეინებს ცუდად თვლიან, რაც არასწორად მიგვაჩნია. კერძოდ, თუ ქოლესტერინი უჯრედისთვის საშენი მასალაა, როგორ შეიძლება ის „ცუდი“ იყოს? საქმე ის გახლავთ, რომ ე.წ. ცუდ ქოლესტერინშიც განირჩევა ძალზე დაბალი სიმკვრივის, **B ტიპის ქოლესტერინი,** რომელიც წვრილი და მკვრივია. სწორედ B ტიპის ქოლესტერინი ქმნის პრობლემას. ის ეროზიით, ტრავმით, ანთებით დაზიანებული სისხლძარღვის კედელში აღწევს და როგორც ლეიკოპლასტირი ან დოლბანდი მას გადაეკვრება. თითქოს ეს კარგია, რადგან სისხლძარღვის დაზიანებული უბანი იფარება, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს პლასტირი უკვე **ათეროსკლეროზული ფოლაქია,** რომელიც თრომბების გაჩენას და, შესაბამისად, ინფარქტისა და ინსულტის განვითარებას უწყობს ხელს.

B ტიპის, ანუ ცუდი ქოლესტერინის ნორმაში მოსაქცევად პაციენტებს უნიშნავენ **სტატინებს,** ანუ ქოლესტერინის დამწევ წამლებს (ლიპრიმარი, ლივაზო, ატორვასტატინი, როზუვასტატინი და ა.შ.), რომლებიც ქოლესტერინის წარმომშობ ფერმენტებს თრგუნავენ. ამით ე.წ. ცუდი ქოლესტერინი თითქოს ნორმაში მოდის, მაგრამ, რადგან ორგანიზმში ქოლესტერინი ხელოვნური გზით დათრგუნვის შედეგად საკმარისად არ გამომუშავდება, იქმნება მთელი რიგი პრობლემები. კერძოდ,



## „როგორც ქალის, ისე კაცის ყველა სასქესო ჰორმონი - ტესტოსტერონი, ესტროგენები, პროგესტერონი, ოქსიტოცინი - ქოლესტერინისგან წარმოიშობა. ნაღველსაც ქოლესტერინი ქმნის!“



**„ამერიკის პრეზიდენტი, გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი პირადმა ექიმებმა დაბალქოლესტერინულ დიეტაზე დასვეს, რადგან ქოლესტერინი მტრად მიაჩნდათ. შედეგად — უჯრედებმა ქოლესტერინის სახით საკმარისი საშენი მასალა ვერ მიიღეს და ამ ე.წ. დიეტიდან ორი წლისთავზე პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გარდაიცვალა!“**

**სტატინების ხანგრძლივად გამოყენების შედეგად ვითარდება კუნთების ტკივილი, ერექტიული დისფუნქცია, მცირდება მამაკაცთა სასქესო ჰორმონის - ტესტოსტერონის გამომუშავება, ვითარდება**

# ქოლესტერინის შესახებ

**ნეიროპათია, მატულობს დიაბეტის, სიმსივნისა და თავის ტვინში სისხლჩაქცევის რისკი.**

**ქოლესტერინის დამწევი ტაბლეტების მიზეზით ორგანიზმში ქოლესტერინის გამომუშავების დათრგუნვის გამო ტვინის უჯრედები საკმარის საშენ მასალას ვერ ღებულობენ, რაც დემენციის, ჭკუასუსტობისა და ალცჰაიმერის დაავადების განვითარებისთვის საუკეთესო მიზეზია.** სტატინები აზიანებენ ღვიძლსაც და იწვევენ მის გაცხიმოვნებას. არადა, ქოლესტერინის დამწევ ტაბლეტებს პაციენტებს უნიშნავენ მუდმივად, მთელი ცხოვრების განმავლობაში.

**— მაშინ რა არის გამოსავალი?**

— ცხადია, თუ B ტიპის, ანუ ძალიან დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინი მაღალია, მისი ასე დატოვება არ შეიძლება. მაგრამ ისიც არ შეიძლება, რომ ორგანიზმში ქოლესტერინის გამომუშავება დავთრგუნოთ. არის ერთი შესანიშნავი საშუალება, რომელიც სტატინების გამოგონებამდე ქოლესტერინის დონის დასარეგულირებლად საკმაოდ წარმატებით გამოიყენებოდა. დღეს ეს პრეპარატი პირდაპირი მნიშვნელობით მიგდებული და მივიწყებულია.

**— წინა ინტერვიუში სწორედ ამ პრეპარატზე მიანიშნებდით?**

— დიახ! ეს უნიკალური პრეპარატი გახლავთ **ვიტამინ B3-ის ფორმა,** რომელსაც **ნიაცინი** ეწოდება. **ნიაცინი** ძალიან იაფი პრეპარატია და შეერთებულ შტატებში მისი ღირებულება 4 დოლარს არ აღემატება. სწორედ ამ სიიაფის გამო არ უკეთდება მას არანაირი რეკლამა, რადგან

**მსოფლიო ფარმაცევტული მაფია დაინტერესებულია, ქოლესტერინის მაღალ დონეს ძვირადღირებული და უამრავი გვერდითი მოვლენების მქონე სტატინების ჯგუფის პრეპარატებით ებრძოლოს, ვიდრე იაფი და ეფექტური ნიაცინით!**

**— სტატინების ჯგუფის რომელიმე ძვირადღირებული პრეპარატი იაფფასიან ნიაცინზე უფრო ეფექტურია?**

— ნიაცინის მთავარი ღირსება ის არის, რომ არავითარი გვერდითი მოქმედება არ გააჩნია. **ნიაცინი** არ თრგუნავს ქოლესტერინის გამომუშავების ბუნებრივ პროცესს, ე.წ. ცუდ ქოლესტერინს ნაღვლად გარდაქმნის, რითიც მის დონეს დაბლა სწევს. ნაღვლის მომატებით ორგანიზმს ზედმეტი ქოლესტერინიც სცილდება. **ნიაცინი** აუმჯობესებს ლიპიდების ცვლას და, რაც მთავარია, კარგი ქოლესტერინის დონეს ამაღლებს.

**თუ ქოლესტერინის დამწევი ტაბლეტები ღვიძლის გაცხიმოვნებას იწვევს, ნიაცინს პირიქით, ღვიძლიდან ზედმეტი ცხიმი გამოაქვს.** ამდენად, ეს უნიკალური პრეპარატი ღვიძლის გაცხიმოვნებისა და ციროზის დროს ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომელსაც ექიმები რატომღაც იგნორირებას უკეთებენ! რაც მთავარია, მთელი მსოფლიო ებრძვის ათეროსკლეროზს, რომელიც წლების განმავლობაში შეუმჩნევლად მიმდინარეობს და რეალურად თუ განვსჯით, მისი შესაჩერებელი წამალი ბუნებაში არ არსებობს. ათეროსკლეროზის დროს იმუნური სისტემა აქტიურდება და სისხლძარღვებში ანთებითი პროცესი იწყება, რაც მისი დაზიანებით მთავრდება. დაზიანებულ უბნებზე კი, როგორც ვიცით, ათეროსკლეროზული ფოლაქები წარმოიქმნება... ამის შემდეგ ინფარქტამდე და ინსულტამდე მანძილი ძალიან მოკლეა.

ნიაცინს უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო და ანტიოქსიდანტური თვისებები აქვს, რითიც ის ჟანგვის პროცესებს თრგუნავს და ათეროსკლეროზის პროგრესს ანელებს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **ადრე ნიაცინს წარმატებით იყენებდნენ შიზოფრენიისა და ფსიქიკური პრობლემების სამკურნალოდ, მაგრამ დღეს ნიაცინი ამ მიზნით იშვიათად გამოიყენება.**

**— ნიაცინის შესახებ წერენ, რომ თითქოს ის ღვიძლს ვნებს, კერძოდ წამლავს!**

— მიგვაჩნია, რომ ეს არის ბინძური ანტიპიარი, რათა ეს მართლაცდა სასწაულმოქმედი, მაგრამ იაფფასიანი პრეპარატი ხალხს დაავიწყონ და მისი ძვირადღირებული ანალოგები სარფიანად გაყიდონ. ადრე ნიაცინს პაციენტებს დიდი დოზით უნიშნავდნენ — 2-3 ათასი ერთეული რაოდენობით. ამ რაოდენობის პრეპარატს შესაძლოა, მართლაც გამოეწვია ღვიძლის ინტოქსიკაცია, მითუფრო მაშინ, თუ ადამიანი ნიაცინს დიდი ხნის განმავლობაში ღებულობდა. დღეს კი ნიაცინის დღიური ნორმა 50-დან 500 ერთეულამდე მერყეობს, რაც ღვიძლისთვის აბსოლუტურად უსაფრთხოა.

**თუ ნიაცინი ღვიძლს წამლავს, მაშინ რა უნდა ვთქვათ იმ ბევრ ცნობილ პრეპარატზე, რომელსაც ინსტრუქციაში პირდაპირ უწერია, რომ შესაძლოა გამოიწვიოს ღებინება, კომა, თვითმკვლელობამდე მიყვანაც კი და ა.შ.** ასეთი პრეპარატები ძალიან ბევრია, მაგრამ ამჯერად მათ არ დავასახელებთ!

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ პლაცებო-კვლევები, რომელიც ადამიანებზე სტატინების ზემოქმედებას ადგენს, არ არსებობს და არცერთი კვლევა არ ამტკიცებს, რომ სტატინები გულის შეტევის რისკს ამცირებს და სიცოცხლეს ახანგრძლივებს. **დადგენილია, რომ, ვინც სტატინებს ღებულობს, მათ ორგანიზმში კოენზინ Q10-ის გამომუშავება მცირდება, რადგან სტატინები მას ბლოკავენ.** კოენზინ Q10-ს ჩვენ ვრცელი საუბარი მივუძღვენით და აღვნიშნეთ, რომ გულის კუნთის გამართულად მუშაობისთვის ეს კოფერმენტი აუცილებელზე აუცილებელია. რაკი სტატინები კოენზინ Q10-ს თრგუნავს, ის გულს როგორ უნდა დაეხმაროს? ამის განსჯა მკითხველისთვის მიგვინდია...

**— ნიაცინის გარდა არსებობს თუ არა ვიტამინ B3-ის სხვა ფორმაც?**

— არსებობს და მას **ნიაცინამიდი** ჰქვია! ის სისხლძარღვებსა და ქოლესტერინზე არ მოქმედებს, მაგრამ შესანიშნავი ეფექტი აქვს კანის რთული დაავადებების — აკნეს, დერმატიტის, როზაცეასა და თვით ფსორიაზის დროსაც კი. მისი ეფექტურობა ფსორიაზის მკურნალობაში იმაში მდგომარეობს, რომ ფსორიაზი, საერთოდ, აუტოიმუნური დაავადებაა, რომლის დროსაც ორგანიზმში ჰისტამინის დონე მაღალია. **ნიაცინამიდი** კი ბუნებრივი ანტიჰისტამინური საშუალებაა და ძალზე ეფექტურია ართრიტების დროსაც კი. **ნიაცინამიდის** ნაკლებობა იწვევს პელაგრას, რომელიც კუჭის აშლილობით, დეპრესიით, დემენციით და კანის პრობლემებით ხასიათდება. ვისაც ჰიპოთირეოზი აწუხებს და ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები ნაკლებად გამოუმუშავდება, ქოლესტერინი და მათ შორის ცუდი ქოლესტერინიც, მაღალი აქვს. ასეთ ავადმყოფებსაც სტატინებს უნიშნავენ მაშინ, როცა პრობლემა ფარისებრ ჯირკვალშია. როდესაც ასეთი პაციენტებისთვის საკმაოდ ეფექტური ჰომეოპათიური მკურნალობა დამინიშნავს და ფარისებრი ჯირკვალი წესრიგში მოსულა, ქოლესტერინიც ყოველგვარი სტატინების გარეშე ნორმას დაბრუნებია. ორმოცდაათი წლის ზემოთ ფარისებრ ჯირკვალში ჰორმონები ნაკლებად გამომუშავდება. მიგვაჩნია, რომ ასაკოვან ხალხში ქოლესტერინის მატების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ ეს არის!

**— ნიაცინის გარდა, ცუდი ქოლესტერინის დასაწევად სხვა ბუნებრივი საშუალება არსებობს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს! ცუდი ქოლესტერინის დასაწევად საუკეთესო საშუალებებია **ცივი გაწურვით მიღებული ზეითუნის ზეთი, ავოკადო, თევზის ქონი** (განსაკუთრებით ვირთევზას ღვიძლი), **შავი შოკოლადი, ნუში, კაკალი და ფსტა!** რაც გინდა გაგიკვირდეთ, ცუდ ქოლესტერინს ეფექტურად ებრძვის ქოლესტერინით მდიდარი კვერცხი და კარაქი. კვერცხის გული შეიცავს ქოლინს და ლეციტინს, რომელსაც ზედმეტი ქოლესტერინი ორგანიზმიდან გამოჰყავს, ხოლო კვერცხის გულში არსებული ქოლესტერინი ორგანიზმისთვის სასარგებლო და საჭიროა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში მსოფლიოში სახელგანთქმული დიეტოლოგის **ბორის პოკროვსკის** მიერ რუსეთის ერთ-ერთ დიდ ფერმაში შესწავლილი იქნა თანამშრომლების ლიპიდური პროფილი. ისინი დღის განმავლობაში 17-20 კვერცხს მიირთმევდნენ, მაგრამ არცერთს მაღალი ქოლესტერინი არ ჰქონდა. რაც შეეხება კარაქს, ის შეიცავს K2 ვიტამინს, რომელიც ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას უშლის ხელს. ამდენად, **ვისაც კვერცხი და კარაქი უყვარს, ქოლესტერინის მომატების ნუ შეეშინდება!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

















**„ცუდი ქოლესტერინის დასაწევად საუკეთესო საშუალებებია ცივი გაწურვით მიღებული ზეითუნის ზეთი, ავოკადო, თევზის ქონი *(განსაკუთრებით ვირთევზას ღვიძლი)*, შავი შოკოლადი, ნუში, კაკალი და ფსტა!“**





**„ვისაც კვერცხი და კარაქი უყვარს, ქოლესტერინის მომატების ნუ შეეშინდება!“**

# შევარდნაძის საიდუმლო




დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №46–49, 51–52, 2024 წლის №1–5

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***



## როგორ დანიშნა შევარდნაძემ „საპატიო პოლიციელად“ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი

**ედუარდ შევარდნაძე** თავის მემუარებში ვრცელ ადგილს უთმობს კარიერულ აღმასვლას საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნობამდე. თხრობისას ის, ერთი შეხედვით, დადებითად მოიხსენიებს თავის წინამორბედს — ვასილ მჟავანაძეს, თუმცა, მაინც ვერ იკავებს თავს, ამდენი წლების შემდეგ კვლავ წიხლი ჩააზილოს:

***„ორმოცდაათიანი წლების ბოლოს და სამოციან წლებში საქართველოს პირველი პირი ვასილ მჟავანაძე გახლდათ. საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის თანამდებობაზე იგი ნიკიტა ხრუშჩოვმა წამოაყენა, რომელიც ომის წლებიდან მას კარგად იცნობდა. იგი მოქმედი არმიის გენერალი — ნაბრძოლი, ძალზე ლმობიერი, მიმნდობი და გულუბრყვილო კაცი იყო. ბევრი სარგებლობდა მისი ამ ხასიათით, ხელს ითბობდა მისი უახლოესი წრეც“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 67).*

როგორც ხედავთ, მემუარისტი **მჟავანაძეს** ხრუშჩოვის მიერ საქართველოს პირველ პირად დანიშნულ, შემთხვევით კაცად გვიხატავს — გულუბრყვილო ტიპად, რომლის დროსაც საქართველოში კორუფცია ყვაოდა მჟავანაძის კლანის პარპაშით!

შემდეგ შევარდნაძე ამტკიცებს, რომ სწორედ ამ კორუფციის მხილების გამო გახდა საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი:

***„ვასილ მჟავანაძე კარგად მეპყრობოდა, რამაც გამაბედვინა, მისთვის სიმართლე მეთქვა იმაზე, რაც ხდებოდა რესპუბლიკაში, რას ამბობდა ხალხი, რა უკმაყოფილება მწიფდებოდა საზოგადოებაში. ამის პასუხად და, ალბათ, სხვა რამის გამოც, ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დამნიშნეს, შემდეგ მინისტრად დამაწინაურეს“*** *(იქვე, გვ. 67).*

ანუ **შევარდნაძე** აღიარებს, რომ მჟავანაძე კარგად ეპყრობოდა: სწორედ მჟავანაძემ შენიშნა ის ქუთაისში სტუმრობისას, იმერეთის აქტივის შეკრებაზე და თბილისში გადმოიყვანა რესპუბლიკის კომკავშირის ცეკაში ერთ-ერთ ხელმძღვანელად!

თუმცა, როცა შევარდნაძე შსს-ში თავის კარიერულ წინსვლაზე საუბრობს, მხოლოდ ბურუსით მოცულ ფრაზას — **„ალბათ, სხვა რამის გამოც“** ახსენებს, არადა, იმას კი მალავს, რომ მისი შს მინისტრად აღზევება ბრეჟნევის ეპოქის გავლენიანი საკავშირო შს მინისტრის **შჩოლოკოვის** პირადი გადაწყვეტილებით მოხდა!

და არც ის უნდა იყოს ძნელი მისახვედრი, რომ **შჩოლოკოვის** მიერ შევარდნაძის საქართველოს შს მინისტრად დანიშვნა ერთგვარი ტრამპლინი იყო საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობისაკენ. და შევარდნაძე არც მალავს, რომ შს მინისტრად დანიშვნისთანავე მან მჟავანაძის ჩანაცვლებისთვის დაიწყო მზადება:

***„ახალგაზრდა უკომპრომისო იდეალისტი ვიყავი. თანამოაზრე ბევრი მყავდა, ჩემ გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდები, დიდი იმედებით აღსავსე ენერგიული ადამიანები — მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, მეცნიერები, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომელთაც ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა სურდათ. ისინი ჩემში ლიდერს ხედავდნენ და გვერდში ამომიდგნენ“*** *(იქვე, გვ. 67).*

როგორც ხედავთ, შევარდნაძე ღიად წერს, როგორ დაიწყო თავისი „სამეფო ამალის“ შექმნა ტახტისათვის ბრძოლის დასაწყისშივე და იხსენებს, რომ არამხოლოდ ახალგაზრდების, არამედ ჭარმაგი მოღვაწეების მიმხრობა-გადაბირებაც დაიწყო:

***„ჩემთან დადგნენ უფროსი თაობის ცნობილი ადამიანებიც, რომელთა გვერდით ყოფნასაც არაფერი დამავიწყებს. ერთ-ერთი მათგანი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი გახლდათ.***

***მე მქონდა ბედნიერება, საკმაოდ დიდხანს და საკმაოდ ახლო ურთიერთობები მქონოდა ამ გამორჩეულ პიროვნებასთან ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც საქართველოს კომკავშირის ცეკას პირველი მდივანი, პარტიის ბიუროს წევრი ვიყავი და ოფიციალურ შეხვედრებსა თუ ღონისძიებებზე ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს“*** *(იქვე, გვ. 67).*

ის კი არა, მემუარისტი იხსენებს, რომ აკადემიკოსებთან ხშირად სუფრაზეც ილხენდა, არადა, ცნობილია, რომ **შევარდნაძე** ქართული სუფრებისა და სმა-ჭამის დიდი მოტრფიალე არ იყო, მაგრამ ამ მსხვერპლსაც იღებდა, რადგან კარიერისთვის სჭირდებოდა:

***„ამ ოფიციალური შეხვედრების გარდა იყო სხვა, არაოფიციალური შეხვედრებიც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის სერგი დურმიშიძის ბინაში. ჩვენ, მე და ბატონი სერგი, თბილისში, მცხეთის ქუჩაზე, მეზობლები ვიყავით. იგი გასაოცარი პიროვნება გახლდათ, დიდად განათლებული, ენამჭევრი, პირად ურთიერთობებში უაღრესად ღრმა და ფაქიზი. მას ხშირად სტუმრობდნენ ბატონი ნიკო, ბატონები ილია ვეკუა*** *(შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი),* ***პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, აკადემიკოსები — შოთა და ალექსანდრე ძიძიგურები, პოეტი-აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე. ჩვეულებრივი თავშეყრა იყო — სუფრით, საუბრით, მეტად საინტერესო თბილი ურთიერთობებით, გონებამახვილობით“*** *(იქვე, გვ. 67).*

მეტიც, **შევარდნაძემ** კარიერისტული მიზნებისთვის წარმოუდგენელი რამ გააკეთა — მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ნიკო მუსხელიშვილი** „საპატიო მილიციელადაც“ კი აკურთხა:

***„შინაგან საქმეთა მინისტრად რომ დამნიშნეს, ვისთანაც მეთქმოდა, ყველას ვთხოვე, გვერდით დამდგომოდა, რომ ამ დაშლილი, დანგრეული და ავტორიტეტშელახული უწყებიდან ისეთი სისტემა შეგვექმნა, რომელიც საზოგადოებასთან თანამშრომლობით ნდობას მოიპოვებდა.***

***მოკლედ, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოვაყალიბეთ საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტი. ჩემ გვერდით, უპირველეს ყოვლისა, მწერლები — ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, რეზო ამაშუკელი დადგნენ... ჩვენი საზოგადოების დიდად ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმაც არ ითაკილეს ჩვენთან ყოფნა. ხშირად ეს თავად მათში ღიმილსაც იწვევდა. სად მილიცია და სად, მაგალითად, როგორც უკვე ვთქვი, დიდი მეცნიერი ნიკო მუსხელიშვილი ან ლენინური პრემიის ლაურეატი, მსახიობი სერგო ზაქარიაძე თუ მათი რანგის მოღვაწენი“*** *(იქვე, გვ. 68).*

შევარდნაძე თავად იხსენებს ერთ ანეკდოტად შემორჩენილ ამბავს, როგორ შეიფერა ეს „საპატიო მილიციელობა“ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ნიკო მუსხელიშვილმა:**

***„მეორე დღეს, სამსახურში რომ მივიდა, მეცნიერებათა აკადემიაში კარი სერგი დურმიშიძემ შეუღო, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა და, როგორც მოგახსენეთ, მისმა მეგობარმა. ჩვეულებრივ მიესალმა, ნიკო კი სხვანაირად უყურებს, ამრეზით და გოროზად, მერე უხეში ტონით ეკითხება:***

*— როგორ მესალმები?!*

*სერგი დაიბნა, ამას არ ელოდა.*

*— გუშინდელი დღიდან მე საპატიო მილიციელი ვარ! ახლა ფორმა არ მაცვია, მაგრამ იცოდე, როგორც წესია, ისე უნდა მომესალმო! —* ***მკაცრად უთხრა ბატონმა ნიკომ. იყო ამაზე მერე სიცილ-ხარხარი“*** *(იქვე, გვ. 69).*

შემდეგ **შევარდნაძე** იხსენებს, როგორ ებრძოდა მისგან შევიწროებული „ცეხავიკების“ მაფია და ამის სადემონსტრაციოდ მოჰყავს ერთი ამბავი, რომელიც ცნობილმა რუსმა პიანისტმა **მსტისლავ როსტროპოვიჩმა** წერილში მისწერა **ელისო ვირსალაძეს:**

***„თბილისში დაბადებულმა ერთმა ნაცნობმა დამირეკა და მთხოვა, მისულიყავი მასთან ერთ მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით. მე მასთან გალინა ვიშნევსკაიასთან ერთად მივედი. მან კარგად იცოდა ჩემი მეგობრობის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრ ნიკოლაი შჩოლოკოვთან და მკითხა, ფული ხომ არ გვჭირდებოდა(!!!). შემდეგ შემოგვთავაზა, დაგვეთანხმებინა ნიკოლაი შჩოლოკოვი თბილისიდან ედუარდ შევარდნაძის წამოყვანაზე, ჩვენ კი, ე.ი. მე და გალიას, ფულით სავსე ჩემოდანს გადმოგვცემდნენ — ერთ მილიონ მანეთს.***

*რა თქმა უნდა, ეს იმ მაფიისგან მოდიოდა, რომელსაც შევარდნაძის ყოფნა ხელს უშლიდა საქმიანობის გაფართოებაში. ამ ეპიზოდმა დამარწმუნა, რომ ბატონი შევარდნაძე მოუსყიდავია და ვფიქრობ, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და გამოცდილება განსაკუთრებით სასარგებლო იქნება.*

***მე არ მინდა თქვენს ცხოვრებაში ჩარევა. თქვენ თავად მოძებნით გზას სიმშვიდისა და მშვიდობისაკენ მშობლიურ ქვეყანაში, მაგრამ ნება მივეცი თავს, მომეთხრო ისტორია, რომელიც ნათელს ჰფენს იმ ადამიანის თვისებებს, რომელიც თქვენს დასახმარებლად არის მოწადინებული“*** *(იქვე, გვ. 70).*

მემუარისტი ამას არ წერს, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს წერილი **როსტროპოვიჩმა** მოსკოვიდან **ელისო ვირსალაძეს** თბილისში მოსწერა 1992 წლის დასაწყისში, როდესაც საქართველოში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება რუსეთის ხელისბიჭმა პუტჩისტებმა დაამხეს, საბჭოთა კავშირდანგრეულ, ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ უმუშევარ შევარდნაძეს კი წამოწყებული აქვს „საქართველოში **მეორედ მოსვლის“** გეგმა!

ჰოდა, შევარდნაძემ სწორედ ამ გეგმის პიარ-კამპანიაში ჩააბა თავისი მეგობარი **მსტისლავ როსტროპოვიჩი,** რომელიც **ელისო ვირსალაძის** სახით, მთელ ქართულ სახელოვნებო ელიტას მოუწოდებს — მშვიდობა თუ გინდათ საქართველოში, დროზე დააბრუნეთ თბილისში პირველ კაცად ეს მოუსყიდავი და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე შევარდნაძეო!

რა იცოდა **როსტროპოვიჩმა,** რომ ნაპუტჩარ საქართველოში „მეორედ მოსულმა“ და „მოუსყიდავმა“ შევარდნაძემ მთელი საქართველო ისეთ მყრალ კორუფციულ ჭაობში ჩაფლა, რომ 30 წლის შემდეგაც ვერ ამოვსულვართ!

მხოლოდ თურქეთში ჯართად გაყიდულ ქარხნებში 10 მილიარდ დოლარზე მეტია ჩაჯიბებული, ხალხის ანაბრებიდან ასობით მილიონი დოლარის მოპარვაზე რომ არაფერი ვთქვათ და კიდევ ვინ მოთვლის, როგორ გაგვაბედნიერა პატიოსნების სიმბოლო შევარდნაძემ.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

*გაზეთ „კომუნისტის“ ეს ნომერი, რომელიც მტკვარზე დიღმისა და დიდუბის დამაკავშირებელი ხიდის გახსნას გვაუწყებს, დღეის სწორს, 1954 წლის 29 იანვარს გამოვიდა. ზუსტად 70 წლის შემდეგ ამ მიდამოებში კვლავ სამშენებლო ბუმია — დასასრულს უახლოვდება საკუთრივ ხიდისა და წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია. მალე ტრანსპორტის მოძრაობაც ორმხრივად აღდგება.*



ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1954 Წ. № 24 (9800).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲘᲓᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 24 (9800) | პარასკევი, 29 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

...თბილისელმა მშრომელებმა — საექსპლოატაციოდ გადაცემულია დიდუბის ხიდი მდინარე მტკვარზე. იგი ქალაქის მარცხენა ნაწილს აკავშირებს დიღმის პლატოსთან, სადაც მოკლე ხანში გაშენდება ახალი საცხოვრებელი კვარტალები, ეს ხიდი უმოკლესი მანძილით აკავშირებს ლენინისა და სტალინის რაიონებს ორჯონიკიძის რაიონთან.

დიდუბის რკინაბეტონის ხიდი თბილისის ყველაზე დიდი ხიდია. მისი თვითეული ტროტუარის სიგანე უდრის 3,25 მეტრს, ტროტუარებს გაკეთებული აქვს ბაზალტის ქვის ბორდიურები.

ხიდის სისადავე შეხამებულია ქართული ეროვნული სტილის არქიტექტურულ გაფორმებასთან. ხიდი და პარაპეტები ორივე მხრივ მოპირკეთებულია სახიანი ბოლნისის ტუფით. მალების კიდური თაღები ფასადის მხრიდან დამშვენებულია გრანიტით. ხიდს აქვს სახიანი თუჯის რიკული, რომელიც დადგმულია ალგეთის ბაზალტის ფრიზზე. ხიდის მარჯვენა მხარეს აღმართულია ორი მხატვრულად გაფორმებული სვეტი, ხიდის შესასვლელთან დგას გაპრიალებული გრანიტის ბოწკინტი, დამშვენებული ნამგლისა და უროს ემბლემით, თუჯის ბოძებზე დადგმულია 12 ლამპიონი.

ხიდის მშენებლებმა დიდი მოცულობის სამუშაოები განახორციელეს. შესრულებულია მრავალი ათეული ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები. ჩასხმულია ათეულ ათასობით კუბური მეტრი ბეტონი.

ხიდის პროექტი შეადგინა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის — „სოიუზდორპროექტის“ თბილისის ფილიალმა. პროექტის ავტორია ინჟინერი კ. დიდიძე. პროექტის არქიტექტურული ნაწილის ავტორია სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი არქიტექტორი ა. ქურდიანი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: დიდუბის ხიდის საერთო ხედი. ფოტო გ. ვახტანგაძისა.

# 70 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ!

**70 წლის წინათ** დიდუბის ხიდი თავისი მასშტაბით თბილისში არსებულ ყველაზე დიდ ხიდად ითვლებოდა. იგი აშენდა ორმალიანი რკინაბეტონით, მოპირკეთდა ბოლნისის ოქროსფერი ტუფითა და რუხი გრანიტით. ხიდს ჰქონდა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ორნამენტები და საბჭოთა სიმბოლიკა, რომელიც მოგვიანებით მოხსნეს, თავად ხიდს კი მშენებლობის მაშინდელი ხელმძღვანელის — **ᲨᲝᲗᲐ ᲨᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სახელი უწოდეს.

**70 წლის შემდეგ** ამ ხიდის სრული რეაბილიტაცია თბილისის მერმა **ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ** განახორციელა. **ავარიულ მდგომარეობაში მყოფ ხიდს გაუმაგრეს საყრდენები, დააგეს ასფალტი, განაახლეს ფილები და მოაჯირები, მოწესრიგდა ტროტუარი და განათების სისტემა.**

დიდუბის ხიდის აღდგენა და წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია ერთ-ერთია იმ მასშტაბურ სამუშაოთა შორის, რაც **ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ** თავისი მერობის პერიოდში თბილისში განახორციელა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 2022 წელს თბილისი აღმოჩნდა მსოფლიოს 100 საუკეთესო ქალაქის ნუსხაში, ხოლო გავლენიანმა საერთაშორისო გამოცემამ „National Geographic“ მსოფლიოს ქალაქების სპეციალურ გზამკვლევშიც შეიყვანა.

**ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ** რამდენიმეწლიანი შრომის შედეგია, რომ ახალი წლის ღამეს „CNN“-ის ეთერში გავიდა საგანგებო რეპორტაჟი თბილისიდან, მათი კორესპონდენტი რესპუბლიკის მოედანზე იდგა და აღფრთოვანებით ამბობდა: **„ეს არის თბილისის თაიმზ სქვერი“.** უფრო მეტიც, იმავე „CNN“-მა თბილისი ევროპის 20 ლამაზ ქალაქს შორის დაასახელა. **რომ არა თბილისის მერიისა და კახი კალაძის თავდაუზოგავი შრომა, თბილისის ქუჩებისა და სკვერების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა, გზის საფარის შეცვლა და გამწვანება, თბილისი კვლავ შენობებზე მიკრული გიფსოკარდონებისა და აეროპორტის გაფრენილი სახურავის ამარა დარჩებოდა.** ამიტომაც არის სასაცილო, სააკაშვილის მადიდებელთა მხრიდან **ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ** ნასროლი ტალახი და ქილიკი. ამ დაუნახაობას კოლექტიური ნატა ფერაძის სინდრომი ჰქვია. მერე რა, თუ აღმშენებელს ვიღაცამ ფეხი ვერ აუწყო, შესაძლოა, შეეშალა კიდეც. შეცდომებს არ უშვებენ მხოლოდ იქ, სადაც არაფერს აკეთებენ. ცხადია, მძიმეა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის დანაშაული, მაგრამ, მეორე მხრივ, მძიმეა მავანის უპასუხისმგებლობაზე პასუხისმგებლობის აღებაც!

კარგად გვახსოვს, ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტი როგორი ხალისით ამცნობდა საზოგადოებას ვაკის პარკში დაღუპული გოგონას ტრაგიკულ ისტორიას. აკი, დღესაც წუხს მავანი, რომ თბილისის ცაზე ბომბები არცვივა და ხელაღებით არ ინგრევა ყველაფერი, რაც **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** შექმნა საქართველოს საკეთილდღეოდ, **აწუხებთ მისი პოლიტიკაში დაბრუნებაც, ის, რომ სანქცირებულია და მაინც კარგად არის.** სპეციალურად ხაზგასმით ახსენებენ წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის პროცესში ჩართულ კომპანია „პარმასაც“, რომელიც, მათი თქმით, **ბერა ივანიშვილის** მეგობარს ეკუთვნის... **ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲛ** ცალსახად აღნიშნა, რომ წერეთლის გამზირზე მომუშავე კონტრაქტორ კომპანიებთან ხელშეკრულების გაწყვეტა რეაბილიტაციის დასრულების ვადაზე არ იმოქმედებს და საავტომობილო მოძრაობა იანვრის ბოლოს — დათქმულ დროს სრულად აღდგება.




# 70 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲘᲓᲣᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ!








მსგავსი მასშტაბის სამუშაოები წერეთლის გამზირზე აქამდე არ ჩატარებულა, აქ გზის საფარის რეაბილიტაციასთან ერთად ფუნდამენტურად განახლდა მიწისქვეშა კომუნიკაციები. ეს ყველაფერი ძალიან კარგად იციან წერეთლის გამზირზე მცხოვრებლებმა და ამ საკითხებზე ვაი-გულშემატკივართა ვარამი მათ ნამდვილად არ სჭირდებათ.

*ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲛᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ*

# დავით კობეშავიძე: მე, როგორც საქართველოს მოქალაქე და ქართველი ექიმი, ვამაყობ, რომ საქართველოში მშობიარობა არის უფასო და სახელმწიფო სრულად ფარავს ყველა დანახარჯს!



***2023 წელს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში პაციენტთა უსაფრთხოებისა და ხელშეწყობისათვის არაერთი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, რაც საერთაშორისო აკრედიტაციის დანერგვაში, მედიკამენტებზე რეფერენტული ფასის დაწესებაში, საყოველთაო დაზღვევის ახალი „დიარჯი“ მოდელის დანერგვაში, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სრულად დაფინანსებასა და სხვა არაერთ რეგულაციაში გამოიხატა.***

*სამშობიარო სახლი და პედიატრიული საავადმყოფო* ***„ИМЕДИС КЛИНИКА“*** *ერთ-ერთი მოწინავე სამედიცინო დაწესებულებაა, რომელმაც ქვეყანაში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დანერგილ ახალ რეგულაციებს მაქსიმალურად მოკლე ვადებში აუწყო ფეხი.*

***რამდენად რთული გამოწვევებით იყო აღსავსე გარდამავალი პერიოდი და რა სიახლეებია ამ ეტაპზე პაციენტებისთვის? — აღნიშნულ საკითხზე „იმედის კლინიკის“ დირექტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, მეან-გინეკოლოგ დავით კობეშავიძეს ვესაუბრებით:***

— ჯანდაცვის სისტემაში მართლაც საოცარი რეფორმები დაიწყო. საკუთრივ ჩვენს კლინიკაში ამოქმედდა მოზრდილ ბავშვთა უახლესი სტანდარტების რეანიმაცია, იქმნება საკმაოდ სოლიდური ბავშვთა ქირურგიული ცენტრი, ასევე წარმატებით გავიარეთ საერთაშორისო აკრედიტაცია.

სიმართლე გითხრათ, თავიდან საკმაოდ სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი საერთაშორისო აკრედიტაციის მიმართ, თუმცა, დღეს სიამაყით მინდა, აღვნიშნო, რომ კლინიკა სრულ შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ახალ რეგულაციებთან, რისთვისაც უცხოელ ექსპერტთა უმაღლესი შეფასება დავიმსახურეთ და მაქსიმალურად მოვერგეთ ევროპულ სტანდარტებს.

მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სავალდებულო გახადა კლინიკების საერთაშორისო აკრედიტაცია, ჩვენმა კლინიკამ ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო თანამშრომლობა გერმანულ KTQ international-თან, მოხდა ახალი პროფესიების ათვისება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადახალისება როგორც ექიმების, ასევე საშუალო და უმცროსი მედპერსონალის გადამზადება. 2023 წლის ნოემბერში 4 ექსპერტი იმყოფებოდა შემაჯამებელ რევიზიაზე და მათი ერთობლივი აზრით გადაწყდა, „იმედის კლინიკას“ 3 წლით საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭოს. ეს არის მუდმივი განვითარებისა და წინსვლის წინაპირობა, რაც მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს.

**— კლინიკების უმრავლესობას არც კი დაუწყია აკრედიტაციისთვის მზადება... ბევრი სამედიცინო დაწესებულება უკმაყოფილოა არსებული რეფორმებით, რაც უპირობოდ მოსალოდნელი ფინანსური დანახარჯების მოლოდინით არის გამოწვეული. რამდენად მძიმე ტვირთი იყო თქვენთვის კლინიკის ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი?**

— რასაკვირველია, სამედიცინო დაწესებულების მორგება ყველა თანამედროვე სტანდარტზე საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯთან არის დაკავშირებული და ეს პროცესი არც ჩვენი კლინიკისთვის ყოფილა მარტივი. მოგვიწია არამარტო ფინანსური დანახარჯების გაწევა, არამედ დამატებითი სერვისების დანერგვა. ამ პროცესში ძალიან დაგვეხმარა კლინიკაში შემუშავებული განსაკუთრებული მიდგომები პაციენტთა და მათი ოჯახის წევრების მიმართ, მათ შორის, ჯანდაცვის ომბუდსმენის სამსახური, რომელიც ჩვენთან უკვე ათეულ წელზე მეტია, მოქმედებს. „იმედის კლინიკის“ ძლიერ მხარედ დასახელდა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, რაც უფასო სამედიცინო აქციებით, ეროვნულ პროექტებში სპეციალისტთა ჩართულობით, წარჩინებული სტუდენტების წახალისებით, მედიასთან მუდმივი კომუნიკაციით არის გარანტირებული. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესს, სწორ მენეჯმენტს, ეთიკის კომისიისა და ხარისხის მართვის სამსახურის გამართულ მუშაობას.

**დღევანდელი გადასახედიდან ყველა სამედიცინო დაწესებულებას წარმატება მინდა ვუსურვო აკრედიტაციის საკმაოდ რთულ გზაზე. საქართველოში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მიახლოება ევროპულ თუ ამერიკულ სტანდარტებთან თითოეული მოქალაქის და პოტენციური პაციენტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია!**

**— მშობიარობის დაფინანსება სახელმწიფომ 500 ლარიდან 1222 ლარამდე გაზარდა, საკეისრო კვეთის ანაზღაურებაც 800 ლარის ნაცვლად უკვე 1222 ლარია. ამასთან, ფიზიოლოგიური მშობიარობისა და საკეისრო კვეთის ტარიფის გათანაბრებამ სამედიცინო საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. როგორ შეაფასებდით ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გადადგმულ ამ კონკრეტულ ნაბიჯს და საყოველთაო დაზღვევის „დიარჯი“ სისტემის ამოქმედებას სამეანო სექტორში?**

— „დიარჯი“ სისტემის ამოქმედება მეანობაში საშვილიშვილო საქმე და უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად! აღსანიშნავია ისიც, რომ „დიარჯი“ პროგრამაში მონაწილე კლინიკები გარკვეულწილად შეზღუდული ვართ საკეისრო კვეთების წარმოებაში, რაც აუცილებლად შეამცირებს საკეისრო კვეთის რიცხვს. მეტიც, საკეისრო კვეთა მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც ფრიად პოპულარული იყო, დღეისათვის თითქმის აღარ ხდება. გასული წლის ნოემბრის მეორე ნახევრიდან ჩვენს კლინიკაში საგრძნობლად გაიზარდა როგორც პირველადი ორსულობის მომართვიანობა, ასევე შობადობა.


Kooperation für Transparenz und Qualität im Gesundheitswesen
KTQ-Zertifikat
www.ktq.de
ZERTIFIKAT

The Cooperation for Transparency and Quality in Healthcare GmbH

awards to

**Imedi Klinik**

Vepkhistkaosani St. 38, G-0159 Tbilisi

the KTQ certificate based on the KTQ Manual Hospital version 2021.

**The quality management system complies with the KTQ criteria.**

- Patient orientation
- Employee orientation
- Safety
- Information and communication
- Corporate governance
- Quality- and clinical riskmanagement

The successful KTQ certification based on the PDCA cycle takes into account the requirements of the current quality management guidelines of the G-BA and the recommendations, which are particularly relevant to patient safety, of the Patient Safety Action Alliance (APS).

| | |
|---|---|
| Certification agency | KTQ-GmbH, Berlin |
| Valid from | 29.11.2023 |
| to | 28.11.2026 |
| Certificate-no. | 2023-0042 KH |

Ronald Neubauer
Geschäftsführer

Thomas Meißner
Für den Deutschen Pflegerat

Dr. med. Thilo Grüning MSc
Für die Deutsche Krankenhausgesellschaft

Dr. med. Josef Mischo
Für die Bundesärztekammer

## ორსულ ქალბატონს და მის ოჯახს დღეს უკვე აქვს იმის განცდა, რომ არანაირი დამატებითი სახსრების მოძიება აღარ დასჭირდება

## კვირგვინოსნები

### ივანე ჩხაიძე
*იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკის დირექტორი*



**„კოვიდ-19“-მა** დაგვარწმუნა, რომ **პანდემია შეიძლება მომავალშიც განმეორდეს სხვა ვირუსით, სხვა ბაქტერიით თუ სხვა ბიოტერორიზმის იარაღით.** ვირუსებისა და ბაქტერიების ჩამონათვალში შეიძლება მოხვდეს საგანგებოდ შექმნილი **სინთეზური ბიოტერორიზმის იარაღი,** ანუ შეიძლება შეიქმნას სრულიად უცნობი ვირუსი, რომელიც **„X დაავადების“** გამომწვევი გახდეს.

„კვირის პალიტრა“

### ანიტა რაჭველიშვილი
*მომღერალი*



არიან ისეთებიც, ვინც **საათობით თეატრის წინ ყვავილებით ხელში მელოდებიან,** ისინი ძალიან უცნაური ადამიანები არიან და მათი ცოტა მეშინია. მთავარია, ასეთები რაღაცით არ გააღიზიანო, თორემ მერე უკვე ცუდი რამეების გაკეთება შეუძლიათ. **ქართველი კაცები მენტალიტეტით უფრო ახლოს არიან ჩემთან, ვიდრე ევროპელები ან ამერიკელები,** რომლებთანაც საერთო ენის გამონახვას თითქმის ვერ ვახერხებ. **ქართველმა კაცებმა ქალის სხვანაირი პატივისცემა იციან.**

„სარკე“

### ლევან ტიელიძე
*გლაციოლოგი*



**სტიქიამ არაერთხელ შეგვახსენა თავი** და ყოველ ჯერზე ის დიდი ზარალით დასრულდა. უნდა ველოდოთ, რომ **მსგავსი სტიქიური უბედურებები კიდევ იქნება** და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

„კვირის პალიტრა“

# „ქალს, რომელიც აბორტს გადაიფიქრებს, ორსულობის პერიოდში თანხას არაფერში გადავახდევინებთ, მის პატარას კი 18 წლამდე „იმედის კლინიკა" უფასოდ მოემსახურება!"

## მშობიარობის დანახარჯის დასაფარად. მასზე ზრუნავს სახელმწიფო, რომლისთვისაც პრიორიტეტია თითოეული დაბადებული ახალშობილი!

ჯანსაღი კონკურენციის პირობებში პაციენტი უკვე თამამად არჩევს ისეთ კლინიკას, სადაც შექმნილია მაქსიმალური კომფორტი, მუშაობს პროფესიონალთა გუნდი, დანერგილია პაციენტის ინტერესებზე მორგებული სერვისები, უფლებების დაცვის სამსახური და ა.შ.

**— რამდენად ხშირად სარგებლობენ ორსულები ვიაიპ მომსახურებით და ეთიშებიან საყოველთაო დაზღვევის „დიარჯი" სისტემას? რამდენადაც საზოგადოებისთვის ცნობილია, ამის საშუალებას სახელმწიფო ნებისმიერ ორსულს აძლევს...**

— ვიაიპ განყოფილება ჩვენს კლინიკაშიც ფუნქციონირებს და ვისაც სურვილი და ფინანსური შესაძლებლობა აქვს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას ერთჯერადად ეთიშება, რათა დამატებითი სერვისებით ისარგებლოს. ეს საკითხი იდეალურად არის დარეგულირებული კანონმდებლობით და ყველა განყოფილებაში იმდენად კომფორტული პირობებია შექმნილი პაციენტებისათვის, რომ ექსკლუზიური მომსახურებით სულ რამდენიმე მშობიარემ თუ ისარგებლა. **მე, როგორც საქართველოს მოქალაქე და ქართველი ექიმი, ვამაყობ, რომ საქართველოში მშობიარობა არის უფასო და სახელმწიფო სრულად ფარავს ყველა დანახარჯს!**

**— უქმნის თუ არა საფრთხეს ე.წ. აყვანილი ექიმის ინსტიტუტს „დიარჯი" სისტემა? ფინანსურად ხომ არ დაზარალდნენ მეან-გინეკოლოგები?**

— პირიქით, დღეს ყველას აქვს საშუალება, მისთვის სასურველ ექიმთან იმშობიაროს. სხვა საქმეა, რამდენად კმაყოფილია ექიმი თავისი ანაზღაურებით. ეს საკითხი ექიმისა და კლინიკის ადმინისტრაციის გასარკვევია. საბედნიეროდ, „იმედის კლინიკაში" შევძელით ექიმებისათვის იმ ანაზღაურების შენარჩუნება, რაც ადრე ჰქონდათ. მოგეხსენებათ, ანაზღაურება კონფიდენციალური თემაა, მაგრამ ნებისმიერ ჩვენს ექიმს რომ ჰკითხოთ, დაადასტურებენ — მათ ანაზღაურებაზე „დიარჯი" სისტემის ამოქმედებას ზეგავლენა არ მოუხდენია. თუმცა, მიმაჩნია, რომ ე.წ. აყვანილი ექიმების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხებზე სამომავლოდ კიდევ უნდა ვიმუშაოთ.

**— ქვეყანაში ასევე გამკაცრდა რეგულაციები აბორტებთან დაკავშირებით... რამდენად შეამცირა მშობიარობის ხელოვნურად შეწყვეტის რიცხვი ახალმა რეგულაციებმა კონკრეტულად თქვენს კლინიკაში?**

— 2024 წლის 1 იანვრიდან 5-დღიანი მოსაფიქრებელი ვადის გასვლის შემდეგ, აბორტისწინა გასაუბრებას და კონსულტაციას მეან-გინეკოლოგის გარდა სოცმუშაკი და ფსიქოლოგიც უტარებენ პაციენტს. საბედნიეროდ, წლის დასაწყისში უკვე გვქონდა სასიამოვნო პრეცედენტი — **აბორტზე მოსულმა ქალბატონმა ჩვენი ფსიქოლოგის ჩართულობით გადაიფიქრა ორსულობის შეწყვეტა.** მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ ქალბატონს ორსულობის პერიოდში აბსოლუტურად უფასოდ ჩავუტარებთ კვლევებს და გავუწევთ სათანადო კონსულტაციებს. ამასთანავე მისი შვილი „იმედის კლინიკის" პედიატრიულ საავადმყოფოში 18 წლის ასაკამდე ასევე სრულიად უფასოდ მიიღებს ყველა სახის სერვისს. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, „იმედის კლინიკის" მენეჯმენტმა მიიღო გლობალური გადაწყვეტილება: **ქალს, რომელიც აბორტს გადაიფიქრებს, ორსულობის პერიოდში თანხას არაფერში გადავახდევინებთ, მის პატარას კი 18 წლამდე „იმედის კლინიკა" უფასოდ მოემსახურება!**

აბორტის რეგულაციების გარკვეულწილად გამკაცრება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის პირობებში. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს საკუთარი მოქალაქეებისათვის, ვფიქრობ, კერძო სექტორმაც ქვეყნის სასიკეთოდ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას და გარკვეული ფინანსური პასუხისმგებლობა აიღოს.

**— კიდევ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?**

— ალბათ, გემახსოვრებათ ის დრო, როცა მედიამ და ჟურნალისტებმა იმდენი გააკეთეს, რომ პაციენტსა და ექიმს შორის უფსკრული გაჩნდა. ეს იმჟამინდელი ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი იყო. დღეისათვის რეალობა შეცვლილია, ამიტომ მინდა, მივმართო მედიას და თითოეულ ჟურნალისტს მოვუწოდო თანამშრომლობისაკენ. ჩვენ ერთად შეგვიძლია, ავამაღლოთ მოსახლეობის ცნობიერება, გავუღრმავოთ სანიტარიულ-ჰიგიენური განათლება, ჩამოვუყალიბოთ სწორი შეხედულებები სქესობრივი ცხოვრებისა და ორსულობა-მშობიარობის შესახებ, ვესაუბროთ საკეისრო კვეთის საფრთხეებზე, გართულებებზე და ფიზიოლოგიური მშობიარობის უპირატესობებზე.

მაშინ, როდესაც სახელმწიფო და ჯანდაცვის სამინისტრო ყველაფერს აკეთებს დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ექიმების, კერძო სექტორისა და მედიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. **სწორი და მიზანმიმართული ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოება ქვეყნის მასშტაბით ჩვენს უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს ერისა და ქვეყნის წინაშე!**

**„დიარჯი" სისტემის ამოქმედება მეანობაში საშვილიშვილო საქმე და უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში დემოგრაფიული ვითარების გასაუმჯობესებლად!"**

*ესაუბრა*
***მეგი საჯაია***


ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 57-ე წელია,
მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!




მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80


თამარისი Tamarisi
დაინახე:


ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics


## კვირგვინოსნები

**თედო ბექაური**
*„ცეკვავენ ვარსკვლავების" გამარჯვებული*



მართალი ადამიანი უფრო იჩაგრება, ვიდრე ყალბი, მაგრამ **ბოლოს მაინც სამართალი ჭამს ხოლმე პურს.** ვცხოვრობდი და ვცხოვრობ სოფლურად. არაფერი შეცვლილა არც ფილმის და არც „ცეკვავენ ვარსკვლავების" მერე. **ჩემი სახლი, ჩემი სოფელი ყველაზე მეტად მიყვარს. რა სიმაღლესაც არ უნდა მივაღწიო, ჩემი საძირკველი ჩემი სოფელია.**

„ახალი თაობა"

**ანი ხუციშვილი**
*თედო ბექაურის მეუღლე*



ჩემთვის მთავარი აღმოჩენა იყო, რომ **თედოს ცეკვა შესძლებია.** მანამდე ცეკვის მიმართ ინტერესი არ ჰქონია. **საკუთარ ქორწილში ვერ შეასრულა ცეკვა,** ამიტომ ვფიქრობდი, რომ ცეკვის ნიჭი არ ჰქონდა და გაუჭირდებოდა.

„სარკე"

**ნინო ლეჟავა**
*მსახიობი*



ერთ გოგონას ხელი შევუწყვე ყველანაირად, რომ ქორწინებით დაესრულებინა თავისი არეული ურთიერთობა. **მას ვუნდოდი ბავშვის ნათლიად.** მომიბრუნდა უკვე ნათლობაზე და მითხრა, **ჩემს ქმარს არ უნდა, რომ მონათლო, იმიტომ, რომ ბავშვს უნდა ჰყავდეს ბედნიერი და მდიდარი ნათლიაო.** გავუღიმე და ვუთხარი, ოღონდ შენ იყავი კარგად და ამ საკითხის გამო ნუ მოგივათ კონფლიქტი-მეთქი. ახლა მე ვზივარ და მის გასაგონად ვამბობ, რომ **მე ვარ უბედნიერესი და უმდიდრესი იმიტომ, რომ მყავს გარშემო ისეთი მეგობრები, რომლებსაც ჯიბეცარიელიც ვუყვარვარ და ჯიბესავსეც.**

„სარკე"

**ონისე ონიანი**
*მსახიობი*



შეიძლება, ისეთ რამეზე **გავბრაზდე,** რაც არ იყოს ძალიან **გასაბრაზებელი,** მაგრამ **ვბრაზდები,** რა ვქნა. **ზოგჯერ გასვანებაც ვიცი.**

„ახალი თაობა"



# მიხეილ ცაგარელი:

# პლანეტა ვენერა მამაკაცის ჰოროსკოპში

*— როგორი მამაკაცი იწყებს ხშირად სასიყვარულო ურთიერთობას კინკლაობით, თუმცა, ერთი ნახვით შეყვარებაც შეუძლია და ამავდროულად, მასთან სასიყვარულო კავშირი ეკლიანი ვარდების ხეივანში სეირნობის ტოლფასია? რა შემთხვევაში ირჩევს მამაკაცი ძლიერ, შემდგარ, პიროვნული თვისებებით გამორჩეულ მობილურ ქალბატონებს, ანდა ვინ არ რეაგირებს ქალურ ხრიკებზე? ეძებს და აფასებს ქალში წინდახედულობას, გონიერებას, განათლებას და თვლის, რომ გრძნობა დრომ უნდა გამოსცადოს? როგორ მამაკაცს უყვარდება ხშირად ქალი, რომელთანაც ადრე მეგობრობდა? რატომ არის ამგვარ მამაკაცთან ურთიერთობა სასიამოვნოც და რთულიც ანდა რა მოეთხოვებათ და რისი გათვალისწინება მართებთ ქალბატონებს ამ თუ სხვა კონკრეტულ შემთხვევაში? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი*** *გვესაუბრება.*

— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მამაკაცის პირად ჰოროსკოპში პლანეტა ვენერას განლაგებას ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში სასიყვარულო პარტნიორის არჩევისას და რა უნდა გაითვალისწინოს როგორც მამაკაცმა, ისე მისმა რჩეულმა.

— 8. **ღრიანკალის ზოდიაქოში პლანეტა ვენერას განლაგების შემთხვევაში მამაკაცი ყველაფერში და, მათ შორის, სიყვარულშიც განსაკუთრებით ვნებიანია. მას ერთი ნახვით შეყვარება შეუძლია და ასევე ძალუძს, ქალბატონსაც თავგზა აუბნიოს. ამგვარი მამაკაცი განსაკუთრებულ სიამოვნებას იღებს გაბრძოლებისას და წინააღმდეგობის გაწევისას, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ მასთან სასიყვარულო კავშირი კინკლაობით ან კონფლიქტით დაიწყება.** სწორედ ეს ნეგატივი შეიძლება გახდეს ის ნაპერწკალი, რომელიც მის გულში სიყვარულის ცეცხლს გააღვივებს. მის გვერდით იოლად შეიძლება დაიმკვიდროს ადგილი ძლიერმა ან თუნდაც კაპასმა ქალბატონმა, რომელთანაც ამგვარი მამაკაცი არასდროს მოიწყენს. დანარჩენ მანდილოსნებს კი ვურჩევთ, არასდროს დაივიწყონ, რომ ამგვარი მამაკაცის სიყვარული, ეკლებიან, ვარდების ხეივანში სეირნობის ტოლფასია, ანუ ერთი მხრივ სურნელოვანი, ლამაზი, ხოლო მეორე მხრივ მტკივნეული და დაუნდობელი.

9. **პირად ჰოროსკოპში მშვილდოსნის ზოდიაქოში პლანეტა ვენერას განლაგებისას კი მამაკაცი ერთგვარი ელიტურობის და განსაკუთრებულობის სიმბოლოა, რაც თითოეული მათგანისთვის განსხვავებულად ვლინდება, ანუ ზოგიერთ მათგანს უფრო მეტად იზიდავს მაღალი სტატუსის მქონე ქალბატონები, ზოგს კი გარკვეული განათლების, პროფესიისა თუ საქმიანობის სფეროს წარმომადგენლები, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს ქალბატონი უნდა იყოს ძლიერი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული, შემდგარი და წარმატებული.** მას საკუთარი მოსაზრება-შეხედულებანი უნდა გააჩნდეს, იყოს მობილური და იოლად მოემზადოს სადმე გასამგზავრებლად. ყოველივე ამის გამო, ამგვარ მამაკაცთან ძალიან გაუჭირდება ყოფნა ქალბატონს, რომელიც პიროვნულობას ნაკლებად ავლენს და, პირიქით, ცდილობს, პარტნიორის თვისებებს შეეგუოს.

10. **მამაკაცის პირად ჰოროსკოპში პლანეტა ვენერას თხის რქის ზოდიაქოს განლაგების შემთხვევაში, იგი ქალბატონებისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მამაკაცი განწყობილია ფლირტისთვის და გასართობად, მას იმდენად ძლიერი თავდაცვის უნარი გააჩნია, რომ ქალბატონთა ხრიკებზე არ რეაგირებს, ამიტომ ურთიერთობას ამყარებს მხოლოდ სერიოზულ ქალებთან.** ამგვარი მამაკაცი ეძიებს და აფასებს წინდახედულობას, პრაქტიკულობას, გონიერებას, განათლებას. ამავდროულად მიიჩნევს, რომ გრძნობა დრომ უნდა გამოსცადოს. ამის გამო იგი სერიოზული სასიყვრულო ურთიერთობის მიუხედავად დიდხანს არ ქორწინდება. გარდა ამისა, მას კონსევატიული შეხედულებებიც ახასიათებს. კერძოდ, კი ის, რომ მამაკაცი წყვილში მთავარია და ის განაგებს. შესაბამისად, ქალბატონს, რომელსაც ამგვარ მამაკაცთან კავშირი სურს, ლიდერობა მას უნდა დაუთმოს.

11. **პირად ჰოროსკოპში მერწყულის ზოდიაქოში პლანეტა ვენერას განლაგებისას ეს მამაკაცი ქალბატონებთან ტოლფარდოვნად ურთიერთობს, რადგან თვლის, რომ წყვილის ურთიერთობაში სქესს მნიშვნელობა არა აქვს და ორივე მხარე სრულფასოვანია. ამგვარ მამაკაცს ხშირად უყვარდება ქალი, რომელთანაც მანამდე მეგობრობდა, ამიტომ ურთიერთობა მასთან სასიამოვნო და მომხიბვლელია. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა, საკმაოდ რთულიც აღმოჩნდეს. განსაკუთრებით იმ ქალბატონებისთვის, რომელთა სურვილია, თავით გადაეშვას სასიყვარულო მორევში.** ამ წყვილის ურთიერთობა, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე შესაძლოა, ძალიან ნელა განვითარდეს. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ამგვარი მამაკაცის დაჩქარება ან გაკონტროლება და რაიმეს აკრძალვა არ შეიძლება. ეს მისთვის მიუღებელია.

12. **პირად ჰოროსკოპში პლანეტა ვენერას თევზების ზოდიაქოს ნიშანში განლაგების შემთხვევაში, მამაკაცი რაღაცით გვაგონებს იმ მამაკაცს, რომელსაც ვენერა კირჩხიბში აქვს განლაგებული, რამეთუ ასევე განსაკუთრებულად აფასებს ქალბატონებში სინაზეს, ოჯახში ჰარმონიული და მყუდრო ატმოსფეროს შექმნის უნარს.** თუმცა, ამ ორ მამაკაცს შორის ის განსხვავებაა, რომ ეს უკანასკნელი, თევზების ზოდიაქოს ნიშნის ზეგავლენით, ყურადღებიან და მზრუნველ ქალბატონებზე უფრო მეტად იხიბლება საიდუმლოებით მოსილი, უჩვეულო და ამოცუნობი ბუნების მანდილოსნებით. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში, ამ ქალბატონს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ამგვარი მამაკაცისთვის იგი რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს, არ უნდა მისცეს მას ბოლომდე მოდუნების საშუალება, რათა სიყვარულმა სხვა ყველაფერი არ დაავიწყოს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 29 იანვარი - 4 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საქმის გასაუმჯობესებლად აუცილებელია საჭირო კავშირების დამყარება, საბუთების მომზადება და წინასწარ სამოქმედო გეგმის შედგენა. კარგი პერიოდია ინფორმაციის შესაგროვებლად, ოღონდ საიდუმლოდ ნუ იმოქმედებთ, რათა კოლეგების თვალში ავტორიტეტი არ შეგელახოთ. ნათესავებისგან დახმარებას მიიღებთ, დედმამიშვილებთან კავშირიც გააქტიურდება. სასიყვარულო სფეროში სიმშვიდე თქვენს კავშირს გაამყარებს.

**კურო** (21.04-20.05)
ადრე დაწყებული საქმე დროულად დაასრულეთ, რათა ახალი პროექტის გააზრებისა და მომზადებისთვის დრო დაიტოვოთ. ეცადეთ, ახალი იდეები კეთილ საქმეებს, პარტნიორთა დახმარებასა და ბიზნესის გაფართოებას მოახმაროთ, სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებას მოერიდეთ, რათა ამან პრობლემები არ შექმნას ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან. საქმეთა სიუხვის გამო შესაძლოა, პირადი ურთიერთობებისთვის დრო აღარ დაგრჩეთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ამ კვირაში თქვენი ცხოვრება განსაკუთრებით მრავალფეროვანი და შესამჩნევი გახდება. კარგი პერიოდია საქმიანობის გასაუმჯობესებლად. თქვენი შრომით ნელა, მაგრამ წარმატებით ივლით მიზნის მისაღწევად. მოგზაურობა-მოლაპარაკებებისთვის სასიკეთო პერიოდია. ახალი ნაცნობობა რომანტიკულად განგაწყობთ. კარგი ამტანობის მიუხედავად, ეცადეთ, ბევრი ენერგია არ დახარჯოთ და დროდადრო დაისვენეთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
გამორჩეული პერიოდი იქნება ბევრი შეხვედრა-კონტაქტებით, როგორც ავტორიტეტულ და თანამდებობის პირებთან, ისე ახლობლებთან და საინტერესო ადამიანებთან. მიზნის მიღწევისას ეცადეთ, განსაუკთრებულად კატეგორიული არ იყოთ. თქვენი პოზიციის დაცვისას არ არის სასურველი რადიკალური რეფორმების განხორციელებაც. პარტნიორთან უთანხმოების შემთხვევაში, გააზრებულად იმოქმედეთ. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.

**ლომი** (23.07-23.08)
სოციალურ-ეკონომიკური წინსვლისთვის საჭიროა მეტი აქტიურობა. საქმეში დახმარებას გავლენიანი პირნი ან თანამზრახველნი გაგიწევენ. შესაძლოა, მეგობრული ურთიერთობა დიდ სიყვარულში გადაიზარდოს. რომანტიკული კავშირი გულახდილი და უფრო სასიამოვნო გახდება. შვილებმა შესაძლოა, მეტი დრო მოითხოვონ, რაც დამატებით პრობლემას შეგიქმნით. მოგზაურობა კი სასიკეთო და შედეგიანი იქნება.

**ქალწული** (24.08-23.09)
ეცადეთ, უფრო დამთმობი იყოთ და წარმატებას პირად ურთიერთობასა და სამსახურში დიპლომატიური ხერხით მიაღწიოთ. ერთობლივი საქმიანობა უფრო წარმატებული იქნება. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას მოერიდეთ, რათა შეცდომა არ დაუშვათ. კარგი პერიოდია ხანმოკლე მოგზაურობისთვის და ახალი კავშირების დასამყარებლად. ამტანობის დაქვეითების შემთხვევაში, ექიმს დროულად მიაკითხეთ და ხშირ-ხშირად დაისვენეთ.

## 29 იანვარი - 4 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
პროფესიულ სარბიელზე მრავალი ახალი იდეა გექნებათ, მაგრამ მიზანი და სამოქმედო ტაქტიკა წინასწარ უნდა აირჩიოთ. ამ შემთხვევაში მონდომებასაც დაგიფასებენ და კარგ შემოსავალსაც მიიღებთ. იურიდიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობას მოერიდეთ და საბუთებიც მოაწესრიგეთ. სასიყვარულო სფეროში წარმატება გელოდებათ, მაგრამ დაქორწინება ჯობს, გადადოთ. კარგი პერიოდია როგორც საქმიანი მივლინებებისთვის, ისე დასვენებისთვის.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ახალი წინადადებების განხილვას მეტი დრო დაუთმეთ, რადგან შესაძლოა, ინფორმაცია სრული არ იყოს ანდა შემოწმებას საჭიროებდეს. სასიყვარულო სფეროში ცვლილებები რეკომენდებული არ არის, რათა ფსიქოსომატური მდგომარეობა არ გაიუარესოთ. მოზღვავებული ენერგიის მიუხედავად, მძიმე ფიზიკურ სამუშაოს თავი აარიდეთ, რათა არ დაშავდეთ. ასევე მოერიდეთ ინტენსიურ ვარჯიშსაც. მივლინება ან დასვენების მიზნით სადმე გამგზავრებაც ჯობს, გადადოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საჭის მართვისას.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
რეფორმატორული იდეები და ორგანიზატორული უნარი სათანადოდ დაგიფასდებათ ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა მაინც არ იქნება სახარბიელო. სხვათა აზრს პატივი ეცით და ამგვარად უსიამოვნებათა ტალღას აიცილებთ. პარტნიორებისგან მიღებული დაპირებები ან შემოთავაზებები მომავალში კარგ პერსპექტივას გპირდებათ. ახლო მანძილზე მოგზაურობაც პოზიტიურად ჩაივლის.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საურთიერთობო წრის გაფართოებისა და ახალი ინფორმაციების მიმართ ინტერესი უფრო სოციალურად აქტიურს გაგხდით. გადაადგილებების, შეხვედრებისა და მოლაპარაკებების რიცხვი იმატებს. სასიამოვნო საზოგადოებაში ყოფნის დროს შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც სერიოზული სასიყვარულო ურთიერთობა ჩამოგიყალბდეთ, რომანტიკული შეხვედრები ბევრ დროს ითხოვს. ამან კი შესაძლოა, სამსახურის საქმეს ზიანი მიაყენოს. მოგზაურობაც შესაძლოა, ჩაიშალოს.

**მერწყული** (20.01-18.02)
გადაადგილება-კონტაქტების რიცხვი მოიმატებს. ორგანიზატორული მონაცემები და რეფორმატორული იდეები ხელმძღვანელი პირების მიერ სათანადოდ იქნება შეფასებული, თუმცა, მატერიალური საკითხი უცვლელი დარჩება. სხვის აზრს პატივი მიაგეთ, რათა უსიამოვნებებს ოჯახსა და პარიტნიორებთან ურთიერთობისას თავი აარიდოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
საქმიანი წრის გაფართოება იმედებს ჩაგისახავთ. ხალხის დიდ მასასთან ურთიერთობა, დაყოლიება და მოლაპარაკების წარმოება გაგიადვილდებათ. კარგი პერიოდია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეებისთვის, სახლში რემონტისთვის ან ინტერიერის შესაცვლელად. ეცადეთ, პერიოდულად დაისვენოთ ანდა ქალაქგარეთ გაისეირნოთ. პირად ურთიერთობაში მოსალოდნელია სასიამოვნო სიახლეები.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 29 იანვარი და 3,4 თებერვალი

**25 იანვარი - სავსემთვარეობა**
**10 თებერვალი - ახალმთვარეობა**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 29 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.17 საათზე, ჩადის 17.12 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 20.49 საათზე, ჩადის 30 იანვარს 09.13 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 22.13 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ინფორმაცია აუცილებლად შეამოწმეთ. მაღალია სიყალბის ალბათობა. ურთიერთობისას ზედმეტად ხისტი, პირდაპირი, კრიტიკული ნუ იქნებით. ეფექტურია თვალების, ნერვული და ლიმფური სისტემის, ტერფების მკურნალობა. დღეს მეტად გაერკვევით საკუთარ ღირსებებსა და ნაკლოვანებებში. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, აუდიტისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, ტანსაცმლის შესაძენად, ხელსაქმეობისთვის, ნივთების (ჩანთის) მოსაწესრიგებლად. არ არის სასურველი ქორწინება, ნიშნობა, სარისკო ქმედება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 30 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.16 საათზე, ჩადის 17.13 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.49) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 21.49 საათზე, ჩადის 31 იანვარს 09.31 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.27 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.21 საათიდან 12.05 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მიცემული სიტყვა აუცილებლად უნდა შეასრულოთ. შეუსრულებელ დაპირებებს ნუ გასცემთ. დღეს და ხვალ სახლში მეტი დრო გაატარეთ, საოჯახო, ყოფითი საკითხები გადაწყვიტეთ, პარტნიორთან შესაძლებელია საკამათო საკითხის გადაჭრა. ეფექტურია კბილების მკურნალობა, კოსმეტიკური პროცედურები, ზედმეტი წონისგან გათავისუფლება, წელზე, თირკმლის მერიდიანსა და ტერფებზე წერტილოვანი მასაჟი. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ნიშნობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. მოერიდეთ ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 31 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.15 საათზე, ჩადის 17.14 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 22.49 საათზე, ჩადის 1 თებერვალს 09.49 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 23.43 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** სხვათა აზრს ყური დაუგდეთ. პრობლემები მოაგვარეთ მხოლოდ დიპლომატიურად, კომპრომისის დაშვებით. იმატებს ჭორების, სიცრუის, ცილისწამების ალბათობა. ხელი შეეწყობა ზედმეტი წონისგან გათავისუფლებას, თირკმლების მერიდიანზე მასაჟს. არ არის სასურველი ზედმეტი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, ნიშნობისთვის, შემოქმედებისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის და მკურნალობის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, კანი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ტოპაზი, სარდონიქსი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 1 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.14 საათზე, ჩადის 17.16 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (23.23) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 23.52 საათზე, ჩადის 2 თებერვალს 10.08 საათზე (მთვარის 21-ე დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.04 საათიდან 23.38 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პარტნიორების აზრი გაითვალისწინეთ. თუმცა, სხვათა გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. არ არის სასურველი ზედმეტად მლაშე საკვების, სითხეების მიღება, ცხოველებით ვაჭრობა. შედეგიანი იქნება თირკმლების მერიდიანზე მასაჟი. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის, ხელოვნების ნიმუშის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, ქორწინებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, თანამშრომლობისთვის, სამართლიანობის დასაცავად და რთულ საკითხთა დიპლომატიური გზით მშვიდობიანად მოსაგვარებლად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებლულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ცირკონი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 2 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.13 საათზე, ჩადის 17.17 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 3 თებერვალს 10.29 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 02.01 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა ინტელექტუალური განვითარებისთვის, ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მასაჟისთვის. დღეს და ხვალ ემოციურობა განაპირობებს ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობების გამოვლენას (უფრო მანდილოსნებში). მოერიდეთ სარკასტულობას, განაწყენებას, ეჭვიანობას. არ არის სასურველი სხივური თერაპია, რენტგენი, გინეკოლოგიური გამოკვლევა, ინტიმური კონტაქტები, ალკოჰოლის მიღება, ნოტარიუსთან საბუთების გაფორმება, ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა. **ქვები:** ოპალი, ონიქსი, ობსიდიანი, ტოპაზი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 3 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.12 საათზე, ჩადის 17.18 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 00.51 საათზე, ჩადის 10.51 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 03.23 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 03.20 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მანდილოსნები უფრო აგრესიულნი იქნებიან. არ არის სასურველი რენტგენი, სხივური თერაპია, გინეკოლოგიური გამოკვლევა, ინტიმური კონტაქტები, ალკოჰოლის მიღება, ახალი საქმის დაწყება, მგზავრობა, ბინის შეცვლა, სოცუზრუნველყოფისა და სადაზღვევო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სესხის აღება. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპენტენტურობის გამოსავლენად, გეგმების დასახვისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, რეცხვისთვის, რემონტისთვის, დაკარგული ნივთების საძიებლად, ავტორიტეტულ ადამიანებთან ურთიერთობისთვის, ცხოველებისა და ანტიკვარიატის შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, ყელ-ყურ-ცხვირის სამკურნალოდ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, ქრიზოპრაზი, იასპი. **პოზიტიური** დღეა კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 4 თებერვალი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.11 საათზე, ჩადის 17.19 საათზე. **მთვარე** გადაინცვლებს (10.24) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 02.05 საათზე, ჩადის 11.25 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 04.51 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.25 საათიდან 10.29 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** პროვოკაციული დღეა, ეცადეთ, პრობლემის კონსტრუქციულად გადაწყვეტის შესაძლებლობა იპოვოთ. ნუ შეიზღუდავთ ახალი შთაბეჭდილების მიღების შესაძლებლობას. კარგი დღეა ბუნების წიაღთან კონტაქტისთვის, ტურისტული ლაშქრობებისთვის, სულიერ-ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, მგზავრობისთვის, ვარჯიშისთვის, ურთიერთობისას მეტი მოთმინება და თავდაჭერა გამოავლინეთ. არ არის სასურველი სარკასტულობა, სისხლის გადასხმა, სულსწრაფობის გამოვლენა, ეგოიზმი. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ქარვა, საფირონი, ლაზურიტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



**29 იანვარი - თაყვანისცემა პატიოსანთა ჯაჭვთა წმიდისა და ყოვლადქებულისა პეტრესი**

✝ 29 იანვარი. ორშაბათი. **თაყვანისცემა პატიოსანთა ჯაჭვთა წმიდისა და ყოვლადქებულისა მოციქულისა პეტრესი,** რომელთაგან განთავისუფლებულ იქნა საპყრობილეში ანგელოზისა მიერ. მოწამეთა: **პევსიპესი, ელასიპესი, მესიპესი** და **მამისდედისა** მათისა **ნეონილასი;** მოწამისა **დანაქტი წიგნისმკითხველისა;** მღვდელმოწამისა **დამასკინ გაბროველისა;** ღირსისა **რომილე ვიდინელისა, ათონელისა** და მისთანა: **ნესტორისა, მარტინისა, დანიელისა, სისოსი, ზოსიმასი და გრიგოლისა;** ღირსისა **ონორატისა,** არელატის მთავარეპისკოპოსისა.

✝ 30 იანვარი. სამშაბათი. ღირსისა და ღმერთშემოსილისა **ანტონი დიდისა,** მეგვიპტელისა; მოწამეთა **იუნილასი** და **ტურვონისა;** კეთილმსახურისა მეფისა **თეოდოსი დიდისა,** წარმომავლობით იბერიელისა; ღირსისა **ანტონი ახლისა,** სასწაულმოქმედისა; წმიდისა **მარტირისა;** მოწამისა **გიორგი იოანინელისა;** ღირსისა **აქილე აღმსარებელისა,** მეგვიპტელი განდეგილისა; ღირსისა **ანტონისა;** ღირსისა **ფილოთეოსისა.**

✝ 31 იანვარი. ოთხშაბათი. **მიცვალება წმ. მეფე თამარისა;** ათანასესი და კირილესი, ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსთა; ღირსისა **ეფრემ მცირისა,** ფილოსოფოსისა; ღირსისა **ალექსი მღვდელმონაზონისა;** ღირსისა **მარკიანე კვირინელისა;** მოწამისა **თეოდულე ანაზარბელისა;** მოწამეთა: **ელადი კომენტარისისა, თეოდულესი, ბოითესი, ევაგრესი** და **მაკარისა; იოაკიმესი,** ტირნოვოს პატრიარქისა; **მაქსიმესი,** უნგროვლახეთის ეპისკოპოსისა, სერბელისა; ღირსთა **კირილესი** და **მარიამისა** — სერგი რადონეჟელის მშობელთა; ღირსისა **ეფრემისა,** მილასონელი ეპისკოპოსისა.

✝ 1 თებერვალი. ხუთშაბათი. ღირსისა **მაკარი დიდისა,** მეგვიპტელისა; ღირსისა **ანტონი მესვეტისა,** მარტყოფელისა, სასწაულმოქმედისა; **მარკოზ ევგენიკოსისა,** ეფესელი მთავარეპისკოპოსისა; ქალწულმოწამისა **ევფრასია** ნიკომიდიელისა; ღირსისა **მაკარი ალექსანდრიელისა,** რომაელისა, ქალაქელისა; **არსენისა,** კერკირელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა **ამბა ანტონისა,** რომელსა ერქვა **რავახ; გრიგოლ ღმრთისმეტყველის** წმიდათა ნაწილთა აღმოყვანება ნაზიანზიდან კონსტანტინოპოლს; ღირსისა **მელეტი ვალესიელისა,** აღმსარებელისა; ხსენება ნიკეაში მომხდარი უდიდესი სასწაულისა, როდესაც **ბასილი დიდმა** ლოცვით გააღო კათოლიკე ეკლესიის კარი და გადასცა ეკლესია მართლმადიდებლებს; ღირსისა **მაკარისა,** იერისოსის ეპისკოპოსისა.

✝ 2 თებერვალი. პარასკევი. ღირსისა და ღმერთშემოსილისა **ექვთიმე დიდისა;** ღირსისა **ექვთიმე აღმსარებელისა;** მოწამეთა: **ბასუსი, ევსევისა, ევტუქისა** და **ვისილიდოსი;** მოწამე მამათა: **ინასი, რიმასი** და **პინასი;** მართლისა **პეტრე მეზვერეყოფილისა;** კეთილმსახურისა მეფისა **ლეონ დიდისა,** მაკელისად წოდებულისა; ღირსთა **ექვთიმე მდუმარისა** და **ლავრენტი დაყუდებულისა,** კიევპეჩორელთა; მოწამისა **ზაქარია პატრელისა; ექვთიმესი,** ტირნოვოს პატრიარქისა.

✝ 3 თებერვალი. შაბათი. ღირსისა **მაქსიმე აღმსარებელისა;** მოწამისა **ნეოფიტესი,** რომელი იყო ნიკია ქალაქით ბითვინიისა; მოწამეთა: **ევგენი ტრაპეზუნტელისა** და მის თანა უალერიანესი, **კანდიდოსი** და **აკვილასი;** ქალწულმოწამისა **აგნია რომაელისა;** მოწამისა **ანასტასისა,** მაქსიმე აღმსარებელის მოწაფისა; ღირსისა **მაქსიმე ბერძენისა;** ღირსისა **ზოსიმესი,** სირაკუზელი ეპისკოპოსისა; ღირსისა **აპოლონ ეგვიპტელისა;** ოთხთა ტვირელ მოწამეთა; ღირსისა ნეოფიტე ვათოპედელისა, ათონელისა; **კრება ვათოპედის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „ნუგეშინისმცემელი“; მოწამისა პატროკლესი; ყოველთა მოწამეთა, რომელნი სტეფანესითგან ვიდრე დღენდელად დღედმდე წამებულ არიან კეთილითა წამებითა ყოველსა სოფელსა. წმინდა პატრიარქ კალისტრატესი.**

✝ 4 თებერვალი. კვირა. მოციქულისა **70-თაგანისა ტიმოთესი;** ღირსმოწამისა **ანასტასი სპარსისა;** მოწამეთა: **მანუელ, გიორგი, პეტრე** და ლეონტი ეპისკოპოსთა, **სიონი, გაბრიელ, იოანე, ლეონტი** და პაროდი ხუცესთა და სხვათა 368-თა; მღვდელმოწამისა **ბიკენტი დიაკონისა,** სარაგოსელისა; ღირსისა **იოსებ კრეტელისა,** განწმენდილისა.



**„ასავალ-დასავალის“ რედაქცია** მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი **ქართველი მწერლის,** აკაკი წერეთლის, ნიკო ლორთქიფანიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიების ლაურეატის

## ლეილა მესხის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და ახლობლებს.

*__პანაშვიდი:__ ორშაბათს, 29 იანვარს. მისამართი: თბილისი, ქუთაისის ქუჩა 10, I სადარბაზო, მე-15 სართული.*
*__გამოსვენება:__ სამშაბათს,30 იანვარს, 14 საათზე. მისამართი: აგლაძის 2, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.*

**ხათუნა ჟორდანია, ჯემალ სეფიაშვილი, ზურაბ ხაჭაპურიძე, ვან ბაიბურთი, თეა ჟვანია, გივი შუგაროვი** თანაგრძნობას უცხადებენ **თამაზ ყიფიანსა** და **არაიკ ბაბაჯანიანს** მეუღლისა და სიდედრის, უკეთილშობილესი ქალბატონის

## ლალი ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ფისკი; 8. იადონი; 11. პარანოია; 12. რატომ; 13. უთავო; 14. ბარონი; 16. დარაბებს; 17. კანოე; 18. ტეიდე; 19. ბონო; 20. დარეჯანი; 24. ზვარი; 25. ჯინი; 27. ლუნეტი; 28. ტრაპიზონი; 29. სიპი; 31. ნორმა; 32. ლიბია; 35. ცოცხალი; 36. მესხი; 37. თორნიკე; 38. მარგო; 39. არამისი; 43. ბროლი; 44. კამერა; 47. ტენტი; 48. სუნიტები; 49. თითი; 51. ვოსტოკი; 52. გიდი; 54. მიჩიგანი; 58. რუმბა; 59. დედანი; 62. დანი; 63. კილომეტრი; 64. ორბი; 65. ოფელია; 66. ამაო.

შვეულად: 1. საჰარა; 2. სანაძე; 3. ქოლერა; 4. ფაუსტი; 5 სტალინი; 6. იროკეზი; 7. სტენდალი; 8. იმბეცილი; 9. დარუბანდი; 10. ილი; 15. ნანატრი; 20. დოტაცია; 21. რეაქცია; 22. ჯეირანი; 23. ნეოლითი; 25. ჯინორია; 26. ნარგილე; 29. სამება; 30. პასტორი; 32. ლიმიტი; 33. ბურუნდი; 34. ანონიმი; 40. რაუტი; 41. მაისი; 42. სქემა; 44. კივი; 45. მესიე; 46. რაობა; 49. თირი; 50. თამარი; 52. გადია; 53. დანია; 54. მოკო; 55. ჩელო; 56. გემო; 57. ნატი; 59. დიო; 60. დღე; 61. ნეი.

**მონეტაბაკარადიოგენერალისტილიტერილენინიავი**
**პარმალიმილიციალივერისაგავაშლიმანიკიურიში**

| ლითონის ფული | უმაღლესი ხარისხის ბროლი | ძველი ბერძენი მწერალი | რალის მონაწილე | პირობითი ასოითი ნიშანი | პროლეტარიატის ბელადი | კააასი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფრანგი ფერმწერი | ბრტყლად შემწვარი ვარია | მაუწყებლობის საშუალება | სამხედრო ჩინი | წელთაღრიცხვის სისტემა | ლავსანის სახელწოდება ინგლისში | სიო |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. სახელმწიფო ხაზინა; 8. მგალობელი ჩიტი; 11. ერთგვარი ფსიქიკური დაავადება; 12. რისთვის? 13. თომას მაინ რიდი — „... მხედარი"; 14. თავადაზნაურული ტიტული დასავლეთ ევროპის ქვეყნებში; 16. ლაშა თაბუკაშვილი — „... მიღმა გაზაფხულია"; 17. მოკლე ნიჩბიანი სპორტული ნავი; 18. ვულკანი კანარის კუნძულებზე; 19. ირლანდიელი მუსიკოს-მომღერალი; 20. ლუარსაბ თათქარიძის ცოლი; 24. დიდი ვენახი; 25. ბოთლში გამომწყვდეული ზღაპრის პერსონაჟი; 27. საველე სიმაგრე (ძვ.); 28. ქალაქი თურქეთში; 29. სრიალა ზედაპირის მქონე რამ; 31. საყოველთაოდ აღიარებული აუცილებელი წესი; 32. აფრიკის სახელმწიფო; 35. მკვდრის ანტონიმი; 36. ქართველი ექსფეხბურთელი; 37. ა. წერეთელი „... ერისთავი"; 38. ა. დიუმა — „დედოფალი..."; 39. ა. დიუმას ერთ-ერთი მუშკეტერი; 43. უმაღლესი ხარისხის მინა; 44. პატიმრის საკანი; 47. ტილოს ფარდული; 48. სუნიზმის მიმდევარი მუსლიმანები; 49. ხელის, ფეხის მოძრავი ნაწილი; 51. რუსული კოსმოსური ხომალდი; 52. ექსკურსიამძღოლი; 54. აშშ-ის შტატიც და ტბაც; 58. მექსიკური წარმოშობის ცეკვა; 59. თავდაპირველი ტექსტი; 62. ძიუდოისტების ოსტატობის ხარისხი; 63. სიგრძის საზომი ერთეული; 64. მტაცებელი ფრინველი; 65. ჰამლეტის სატრფო; 66. ფუჭი, უნაყოფო.

შვეულად: 1. უდაბნო აფრიკაში; 2. ქართველი კალათბურთელი; 3. მწვავე გადამდები დაავადება; 4. გოეთეს ნაწარმოები; 5. სოსო ჯულაშვილი; 6. ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ერთ-ერთი ტომის წარმომადგენელი; 7. ფრანგი მწერალი; 8. გონებასუსტი ადამიანი; 9. ქალაქი, რომლის ძველი სახელია დერბენდი; 10. სანელებელი; 15. რაც, ვინც ენატრებოდათ; 20. სახელმწიფო ფულადი დახმარება; 21. ინგა გრიგოლიას გადაცემის სახელწოდება; 22. ქურციკი; 23. ქვის ხანის უკანასკნელი ეპოქა; 25. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 26. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 29. ტაძარი თბილისში; 30. პროტესტანტების მღვდელი; 32. ზღვრული ნორმა; 33. აფრიკის სახელმწიფო; 34. უცნობი ავტორი; 40. დარბაზობა; 41. ვარდობისთვე; 42. რისამე წინასწარი მონახაზი, გეგმა; 44. ტროპიკული ხილი; 45. მიმართვა მამაკაცისადმი საფრანგეთში; 46. რისამე არსი, შინაარსი; 49. ნაცრისფერი რბილი ქვა, მჭადაქვა; 50. საქართველოს მეფე ქალი; 52. სხვისი შვილის გამზრდელი ქალი; 53. ჰამლეტის სამშობლო; 54. ყავის სახეობა; 55. ვიოლონჩელი (შემოკლ.); 56. ერთ-ერთი შეგრძნება; 57. ზამში; 59. ჟალუზების ქართული ფირმა; 60. ფილმი — „... უკანასკნელი, ... პირველი"; 61. ნაპოლეონის მარშალი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| აივანი, დერეფანი | სამართალდამცავი ორგანო (ძვ.) | ძეხვის სახეობა | გოლზურორთი „ფორსაიტების ..." | მიჩურინის ხილი | ხელის ფრჩხილების მოვლა | მოუხარშავი |
|---|---|---|---|---|---|---|

| ქალაქი იტალიაში | უხმო სიცილი | ციმციმი | ფილმი – „.... უზნის მელოდიები" | ე.წ. „დიდებული" მცენარე | ტროას აღმომჩენი | რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

? ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

♀♂ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 29 ორშ. | 📰 | ✈ | ☯ | ♀♂ | 📰 | 🤝 | 👎 | 📖 | ♀♂ | 👍 | 🦁 | ! |
| 30 სამშ. | 👫 | 🌴 | 🌴 | 🔔 | ♀♂ | 📰 | 👫 | ☝ | 👫 | ♀♂ | ? | ♠ |
| 31 ოთხშ. | ? | ! | 🎁 | 🍷 | 🍷 | ! | 😐 | 🌴 | ♠ | ? | ☺ | 🍷 |




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

♠ ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

! გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2024 წლის 29 იანვარი - 4 თებერვალი №6 (1524)

გამოდის ორშაბათობით

2 009882 637296

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**


გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001

Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol